პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან [illegible] 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 5 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 102 (2145)

დღიური

- პოლონეთში თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელს ლიზარევს.
- გადადგა იაპონიის შინაგან საქმეთა მინისტრი სუზუკი.
- რეფორმისტების თავდასხმა მექსიკის კომპარტიის ცენტრზე.
- 6 მაისს გაიხსნება რუმინეთის გლეხთა [illegible] პარტიის ყრილობა.
- შტეტინში დაიწყო ფარულ პოლიტიკურ მკვლელობათა მონაწილეების პროცესი.
- ამერიკის რეფორმისტებმა პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატად წამოაყენეს გუვერი.
- გრიგალი ბულგარეთში.—მოკლულია 80 კაცი, დაჭრილია 60.

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა მაისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

სოციალისტურ მშენებლობის მძლავრი იარაღი

მუშათა ბეჭდვითი სიტყვა ერთი უძლიერესი იარაღთაგანია იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც ჩვენს წინაშე წამოჭრილია სამეურნეო მშენებლობის და კულტურულ რევოლიუციის დარგში. ამიტომაც არაჩვეულებრივ იზრდება მშრომელ მასების ლტოლვა გაზეთისა და წიგნებისადმი, ამავე დროს ცხოვრება სულ მეტ მოთხოვნილებებს უყენებს ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციას.

ოქტომბრის რევოლიუციამ ხელი შეუწყო მუშურ-გლეხურ მასსების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას და მათ კულტურულ დონის ამაღლებას. საბჭოთა ხელისუფლების საგანმანათლებლო ღონისძიებებმა შეამცირა წერა კითხვის უცოდინართა რიცხვი და მოსახლეობაში გააძლიერა ცოდნის შეძენის, სწავლის წყურვილი. ქვეყნის სამეურნეო აღორძინებამ მუშას და გლეხს ფართე შესაძლებლობა მისცა დაეწაფოს ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების კითხვას. აქედან—ჩვენ გვაქვს საგამომცემლო საქმის ისეთი ზრდა, რომლის მსგავსი რამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არც კი დაესიზმრებოდა ვინმეს. სხვადასხვა წიგნების და გაზეთების ტირაჟმა უდიდეს რიცხვს მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლება და სხვა სათანადო ორგანიზაციები საშუალებებს და ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რათა ბეჭდვითი სიტყვაზე მშრომელთა გაზრდილი მოთხოვნილება მთლიანად დააკმაყოფილოს, რათა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებები ხელმისაწვდომი გახადონ ყოველი მუშის და გლეხისათვის და ეს ნაწარმოებნი თავისი შინაარსით და ფორმით სავსებით შეეფერებოდნენ მათ მომხმარებელთა ინტერესებს და სოციალიზმის მიზნებს.

ამ დარგში უეჭველად ძალიან ბევრი რამ არის გაკეთებული. მაგრამ წინ გვიძევს გაცილებით მეტი სამოქმედო ასპარეზი. ავიღოთ წიგნების შედგენის საქმე. ცნობილია, რომ მომზადებული საბჭოთა ავტორები ჯერ კიდევ ცოტა მოგვეპოვება. აქედან იშვიათი არ არის მოვლენა, როცა ჩვენში გამოცემულ წიგნების შინაარსი იდეოლოგიურად არ არის მტკიცე, ხანდახან კი სრულიად მიუღებელიცაა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უცხო იდეოლოგიურ გავლენის განდევნას საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვიდან და ნამდვილი მარქსისტული მსოფლმხედველობის და საბჭოთა თვალსაზრისის დაცვას ყველაფერ იმაში, რაც იბეჭდება, მით უმეტეს იმაში, რაც იცემა სახელგამისა და სხვა საბჭოთა ორგანიზაციების ფირმით.

ჩვენ ფართედ მოვკიდეთ ხელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციას სოციალისტურ ნიადაგზე. ამ მუშაობაში მასსების შეგნებული ჩაბმისათვის აუცილებელია მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან პოპულიარული, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული ლიტერატურის გამოცემა და მისი ფართედ გავრცელება. ისევე ითქმის ლიტერატურაზე, რომელიც შეეხება მშრომელ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას და ცრუმორწმუნოებებთან ბრძოლას. თავის თავად ცხადია, მთელი ეს მასალა გადმოცემულ უნდა იქნეს არა მშრალად, სოციალისტურ მშენებლობის გარეშე მაყურებლის ხელით, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, არამედ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩვენი მიზნების და ღონისძიებათა მოხერხებული პროპაგანდის ხასიათი. ვიმეორებთ, ამ მხრივ დიდი ნაბიჯებია გადადგმული, მაგრამ არსებული ნაკლულევანებანი უნდა ავიშოროთ და მუშაობა უფრო უნდა გავაფართოვოთ.

კერძოდ საჭიროა შევჩერდეთ ჩვენს ყოველდღიურ პრესაზე, რომლის როლი განსაკუთრებულია. საბჭოთა გაზეთი უკვე ღრმად შეიჭრა მასსებში, გახდა მათი კოლექტიური ორგანიზატორი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო. ის ამუშავებს და რაზმავს მუშათა საზოგადოებრივ აზრს იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც ჩვენს წინაშე დგანან. წარმოების რაციონალიზაცია, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების გაიაფება, მშენებლობის გაჯანსაღება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, პარტიის ხაზის გადამახინჯებასთან, აპარატის გაუმჯობესება, ხარჯების შემცირება და მომჭირნეობის დაცვა და მრავალი სხვა—აი საითკენაა მიქცეული პრესის ყურადღება.

ყველა ამ დარგში ახსნა-განმარტებითი მუშაობასთან ერთად, უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს აპარატსა და მშენებლობაში ჯერ კიდევ ბლომად არსებულ ნაკლულოვანებათა შეუბრალებელ მხილებას და აღმოფხვრას. საჭიროება თვითკრიტიკის, რომელიც ყოველთვის შეადგენდა ჩვენი მუშაობის ერთ უმთავრეს მეთოდს, ეხლა განსაკუთრებული ხაზგასმითაა წამოყენებული. მთელი ჩვენი საქმიანობა უნდა მიმდინარეობდეს [illegible] თვითკრიტიკის ნიადაგზე.

ეს კი, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, გულისხმობს მუშათა და გლეხთა ფართე მასსების მიზიდვას საგაზეთო მუშაობაში, ვინაიდან მხოლოდ მშრომელთა სისტემატიური კონტროლის გზით შესაძლებელია ნაკლულევანებათა გამომჟღავნება-გამოსწორება. ამიტომ მუშგლეხკორთა მოძრაობის გაღრმავება უნდა შეიქმნეს ჩვენი პრესის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი საგანი. მუშა და გლეხკორესპონდენტების ქსელის გაფართოება, მათი მჭიდროდ დაახლოება გაზეთებთან, მათზე ხელმძღვანელობის გაძლიერება—პრესამ აქეთკენ უნდა აიღოს მაგარი გეზი.

დღეს, მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეა. მისი ამოცანების გაშუქების, მის გარშემო მშრომელ მასსების დარაზმვის დღე. ეჭვი არ არის, რომ ამ მასსების აქტიური დახმარებით, ბეჭდვითი სიტყვა პირნათლად გაამართლებს თავის ამოცანების განხორციელებას და შეიქნება სოციალისტურ მშენებლობის უფრო მძლავრ იარაღად.

ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის

„ბეჭდვითი სიტყვა უნდა ემსახურებოდეს სოციალისტურ აღმშენებლობას".
ლენინი.

როცა სრულიად რუსეთის მრავალეროვნებიან მუშათა კლასის ავანგარდმა, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდენ, „ძველი" ბოლშევიკური—„პრავდა"-ს პირველი ნომრის გამოსვლის დღე (1912 წ., 5 მაისი) მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღედ გამოაცხადა, ამით მან პროლეტარული რევოლიუციის ბედი დაუკავშირა ბოლშევიკების ინტერნაციონალურ—კომუნისტურ პარტიას და მის ბეჭდვით სიტყვას.

დიდი ოქტომბრის რევოლიუციით დაიწყო ახალი ეპოქა მსოფლიო ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაშიც, რადგან ამ დროიდან დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე გაუქმდა თავის არსებით ვიწრო კლასიური და ბურჟუაზიულ-ექსპლოატატორული ბეჭდვითი სიტყვა. პროლეტარული პრესა, რომელიც არსებითად არის ბეჭდვითი სიტყვა მასსიური და მასებისათვის, წარმოადგენს მშრომელ მასების ორგანიზაციის ძლიერ იარაღს განსაზღვრულ, რეალურ—კონკრეტულ მოქმედებათა განსახორციელებლად პროლეტარული რევოლიუციის გზაზე. დედამიწის ყველა ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის გარდა, ბეჭდვითი სიტყვა უკანასკნელ დრომდე ემსახურებოდა და ემსახურება, მცირე გამოკლებით, მშრომელთა ექსპლოატაციას—ჩაგვრის საქმეს. მხოლოდ საბჭოების ქვეყანაში ბეჭდვითი სიტყვა წარმოადგენს ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ყოველგვარ ფორმებისა და, საერთოდ, ძველი ყოფა-ცხოვრების ჩარჩოებისაგან განმათავისუფლებელ საშუალებას. ბეჭდვითი სიტყვა ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში არის მსოფლიოში ერთად-ერთი, რომელსაც შეუძლია თავისუფლად გამოხატოს მუშათა კლასის ნებისყოფა, ინტერესები და რომელიც ემსახურება პროლეტარებისა და მშრომელი გლეხობის საჭიროებას. საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის გზა არ იყო ადვილი ისე, როგორც არ იყო ადვილი პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების გზა.

და ეხლა ბეჭდვითი სიტყვის დარგში ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები, უფრო მეტი ვიდრე სხვა დარგებში. აქ ჩვენ დიდათ გადავაჭარბეთ ომის წინადროინდელ დონეს, როგორც რაოდენობით, ისე ხარისხითაც.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა იჭრება ქალაქისა და სოფლის მშრომელ მოსახლეობის სიღრმეში. იგი ხდება მასიური, ვინაიდან პერიოდულ გამოცემას არა თუ კითხულობენ, არამედ ამ გამოცემებში უკვე კიდეც სწერენ მრავალი და მრავალი პირები მასებიდან.. აი აქ არის ჩვენი შემდგომი წარმატებების და გამარჯვების საწინდარი.

რამდენადაც უფრო მეტი იქნება მუშათა და გლეხ კორესპონდენტთა ლაშქარი, მით უფრო წარსდგამს წინ ნაბიჯს გაზეთი, მით უფრო ნაყოფიერი იქნება იგი, მით უფრო წარმატებით შეასრულებს ის თავის როლს—პარტიისა და საბჭ. ხელისუფლების დამხმარის როლს საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს მშენებლობაში, ყოველგვარ ნაკლულოვანებებსა, ბოროტ-მოქმედებებსა და უკუღმართობასთან ბრძოლაში.

„კარგად დაყენებულ ბეჭდვითი სიტყვის გარეშე წარმოუდგენელია საღი, მტკიცე პარტიული და საბჭოთა მშენებლობა"..

„უფრო მეტი შემოწმება იმის, თუ რამდენად კომუნისტურია ყოველივე ახალი"—ამაოდ არ ამბობდა ამ სიტყვებს დაუვიწყარი ილიჩი.

მასების კულტურული ზრდის მაჩვენებელი არის არაპერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ზრდაც. ბეჭდვითი სიტყვა, საერთოდ, არა მარტო აფართოებს პროლეტარული და გლეხური მასების პოლიტიკურ ჰორიზონტს, არამედ უშუალოდ აბამს მათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ქმნის არა მარტო მკითხველს, არამედ მშენებელს, მწერალს და სხ. და სხ. ბევრი რამ გააკეთა ჩვენმა ბეჭდვითი სიტყვამ, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი, მომავალში. რასაკვირველია, ჩვენ აქაც მოვიპოვებთ გამარჯვებას მშრომელ მასებთან ერთად და მათი კონტროლის საშუალებით. მათ წინაშე. ჩვენი საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენით და წარმოებასა და პრესაში მათი ჩაბმით ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ ისე, როგორც ვიმარჯვებთ ამავე საშუალებით დანარჩენ ფრონტებზე.

ბეჭდვითი სიტყვის ერთი მთავარი დარგთაგანია კედლის გაზეთები წარმოებებსა და დაწესებულებებში. უნდა გავხადოთ ისინი, როგორც საერთოდ მთელი ბეჭდვითი სიტყვა, „საწარმოო თათბირებისა" და უფლებამოსილ კოლექტივების მიერ პრაქტიკულად გადაჭრილ, მეურნეობის საუკეთესო ორგანიზაციის, გაიაფების, კოოპერაციის, კოლექტივიზაციის და საერთოდ მუშურ-გლეხურ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხებით გამშუქებელ ორგანოებათ, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სოციალისტურ მშენებლობას და თანდათანობით აღმოფხვრან კაპიტალისტური ელემენტების ყოველგვარი ნაშთები, ე. ი. ნეპმანები ქალაქად და კულაკები სოფლად.

ჩვენი მთავარი ძალა, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, არის პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც მუდამ ხელმძღვანელობს საკავშირო ლენინური კომპარტია (ბ) და რომელიც სპობს მუშათა და გლეხთა მასების წინაშე აღმართულ ყოველგვარ დაბრკოლებებს, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტურ მშენებლობის და ბეჭდვითი სიტყვის დარგებში.

ბეჭდვითი სიტყვის დღეს საჭიროა ამოცანად დავისახოთ ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობის ყოველმხრივი განმტკიცება და გაფართოება, მისთვის ყოველმხრივ ხელის შეწყობა იმ მიზნით, რომ ბეჭდვითი სიტყვა გახდეს მილიონ მუშებისა და გლეხების კოლექტიური ორგანიზატორი სოციალიზმის საბოლოო გასამარჯვებლად, იმ სოციალიზმის, რომელსაც მივყევართ ბრწყინვალე კომუნიზმის უკლასო საზოგადოებისაკენ.

ყოველივე ამას ჩვენ მივაღწევთ ბეჭდვითი სიტყვის წარმოებაშიდაც ჩვენი შეცდომების და ნაკლულოვანებების დაუნდობელი კრიტიკით და თვითკრიტიკით. მხოლოდ მაშინ ბეჭდვითი სიტყვა გადაგვადგმევინებს დიდ ნაბიჯს წინ დიად პროლეტარული რევოლიუციის გზაზე, სხვათა შორის, დიად კულტურული რევოლიუციის გზაზეც. ამით ჩვენ შევასრულებთ პროლეტარული რევოლიუციის ბელადის, ამხ. ლენინის დიად მცნებებს და ლენინური კომპარტიის (ბ) უკანასკნელ მე-15 ყრილობის დავალება-დირექტივებს.

გაუმარჯოს ჩვენს პროლეტარულ ბეჭდვითი სიტყვას ამ გზაზე!...

მიხა ცხაკაია.

ჩან-ძო-ლინის ჯარების სასტიკი დამარცხება

სამხრეთელებმა დაიკავეს ქ. ცზინანი.—ბრძოლის დროს მათ ტყვეთ ჩაიგდეს 20.000 შანდუნელი

პოლონეთის პრესა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ

დეტერდინგი დათმობაზე მიდის საბჭოთა ნავთით ვაჭრობის საკითხში

ბრძოლა ჩინეთში

სამხრეთელებმა დაიკავეს ცზინანი

ტოკიო, 3 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად სამხრეთის ჯარებმა დაიკავეს ცზინანი. (ადს)

ძარცვა ცზინანში

ტოკიო, 3 მაისი. იაპონიის სააგენტო სიმბუნ რენგოს ცნობით, ჩრდილოელების ჯარებმა უკან დახევის დროს გაძარცვეს ცზინანი. ძარცვას ბოლო მოუღეს სამხრეთელთა ჯარებმა. (ადს)

ყუმბარების დაშენა შანხაისათვის

პარიზი, 3 მაისი. შანხაელი კორესპონდენტი იუწყება: „ჩრდილოეთის ჯარების ორმა ჰაეროპლანმა ყუმბარები დაუშინა ქალაქის ჩინურ ნაწილს და არსენალს, რამაც პანიკა გამოიწვია მოსახლეობაში. ჯერ-ჯერობით არ არის ცნობები მსხვერპლთა რაოდენობის და ზარალის შესახებ. კონცესიის ტერიტორია არ დაზარალებულა".

შანხაი, 3 მაისი. ჩრდილოელთა ორმა ჰაეროპლანმა 17 ყუმბარა გადმოაგდო, რომლებიც დაეცა ქალაქის ჩინური ნაწილი ტერიტორიაზე. მოკლულია ორი კაცი, დაჭრილიც ორი ბავშვი. (ადს)

ჩან-კაი-ში ცზინანში

შანხაი, 3 მაისი. გომინის სააგენტოს ცნობით, ჩან-კაი-ში მივიდა ცზინანში და გამოაქვეყნა პროკლამაცია უკანონო გადასახადების გაუქმების შესახებ. იაპონიის ჯარების სარდალი ეწვია ჩან-კაი-შის და განაცხადა, რომ სამხრეთელი ჯარების მოსვლის შემდეგ იაპონელების შიში გაიფანტა, რის გამო იაპონიის საკონსულოს და კომერციულ დაწესებულებათა გარშემო გამართული ყველა თავდასაცავი მოწყობილობა მოიხსნება.

შემდეგ სააგენტო იუწყება, რომ შანდუნის პროვინციის ტერიტორია ყვითელი მდინარის სამხრეთით განთავისუფ[illegible] დუნის ჯარებმა, რომლებმაც ცინდაოსაკენ დაიხიეს, იარაღი დაჰყარეს. სამხრეთელების ავანგარდებმა გადალახეს ყვითელი მდინარე და ლეჭოუსაკენ მიიწევენ. სამხრეთელებმა დაატყვევეს 20.000 შანდუნელი და ხელში ჩაიგდეს ბევრი იარაღი. (ადს)

კომუნისტების სიკვდილით დასჯა.

შანხაი, 3 მაისი. ხანკოუში სიკვდილით დასაჯეს კომუნისტი ქალი იშიაცზე, რომელიც ხელისუფლების მოთხოვნით გასცა საფრანგეთის კონსულმა საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე.

ჩანშადან მიღებული ცნობით, სიკვდილით დასაჯეს პან-ჩან-ჩა, ლილინში ამას წინად მომხდარ კომუნისტურ აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი (ადს).

აჯანყებულთა მოქმედება

შანხაი, 3 მაისი. „რეპებლიკენ დეილი ნიუს"-ის ცნობით, აჯანყებულთა რაზმებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით დაიჭირეს ფუცუნხუ და ვასანხიანი— „აღმოსავლეთ მდინარის" რაიონში. (ადს)

ლიუ-ჩჟი-ლიუ სამხრეთელების მხარეზე გადავიდა

ტოკიო, 3 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით მუკდენელი გენერალი ლიუ-ჩჟი-ლიუ გადავიდა სამხრეთელების მხარეზე. ცზინან-ცინდაოს რკინის გზის რაიონში ლიუ-ჩჟი-ლიუს ჯარებმა, რომელიც 10.000 კაცისაგან შესდგება, დაიწყეს სამხედრო მოქმედება მუკდენელების წინააღმდეგ. (ადს)

ჩჟან-ცზუნ-ჩანმა ხელმძღვანელობა სუნ-ჩუან-ფანს გადასცა

შანხაი, 3 მაისი. იუწყებიან, რომ ჩჟან-ცზუნ-ჩანი ჩამოშორდა საქმეებს და სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა ჩააბარა სუნ-ჩუან-ფანს (ადს).

მუკდენელებმა დაიჭირეს ჩანდე

პეკინი, 3 მაისი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 1 მაისს მუკდენელებმა დაიჭირეს ჩანდე; ფინ იუ-სიანის ჯარებმა 10.000 კაცი დაჰკარგეს და ჩანინისა და ტაიკაუსაკენ დაიხიეს (ადს).

ცზინანში დახოცილი იაპონელები

ტოკიო, 3 მაისი. იაპონიის სამხედრო სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ ცზინანის განაპირა უბნებში ჩინელებმა დახოცეს 100 იაპონელი ჯარისკაცები (ადს).

სიკვდილით დასჯა და დაპატიმრება

პეკინი, 3 მაისი. გოვენის სააგენტოს ცნობით, ხანკოუში სიკვდილით დასაჯეს 2 ქალი. ისინი რამოდენიმე დღის წინად საფრანგეთის ხელისუფლებამ გადასცა ხანკოუს ხელისუფლებას.

ტოკიო, 3 მაისი. გაზეთების ცნობით, დააპატიმრეს ორი ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი, რომელთაც ბრალს სდებენ იმაში, რომ ამზადებდენ თავდასხმას შინაგან საქმეთა მინისტრზე.

შანხაი, 3 მაისი. ნანკინში დააპატიმრეს შანხაის გაზეთ „ჩაინა ტაიმს"-ის კორესპონდენტი ლი-ტი-ჩანი, რომელსაც ბრალს სდებენ კომუნისტებისადმი თანაგრძნობაში (ადს).

იაპონელები მანჯურიაში და შანდუნში

ტოკიო, 3 მაისი. სიმბუნრენგოს სააგენტო იუწყება: [illegible] ნის დარინიდან ცინდაოში ერთი ბრიგადა, ვინაიდან მიღებულია ცნობები, რომ ცზინანში სერიოზული მდგომარეობაა. ამავე დროს კორეიდან იგზავნება ჯარები მანჯურიაში იქ მყოფი იაპონელი ჯარების შესაცვლელად. თუ მდგომარეობა გაუარესდა, ჩინეთში დამატებით გაიგზავნება ჯარები".

შეტაკება განახლდა

ტოკიო, 3 მაისი. 4 მაისს განახლდა შეტაკება იაპონელ და ჩინელ ჯარებს შორის ცზინანში. იაპონელი ჯარები შეუდგენ ჩინელების განიარაღებას. (ადს).

ბრძოლები ცზინანის ქუჩებში

ტოკიო, 4 მაისი. იაპონიის სააგენტო იუწყება, რომ ცზინანის ქუჩებში დაიწყო ბრძოლები იმის გამო, რომ იაპონელებმა სცადეს განეიარაღებიათ სამხრეთელები, რომლებმაც წინააღმდეგ შეთანხმებისა, უარი განაცხადეს დაეცალათ ქალაქის იაპონური ნაწილი. ბრძოლებმა გამოიწვია სატელეფონო კავშირის გაწყვეტა იაპონელთა ცალკე სამხედრო ნაწილებს შორის. დღემდე განიარაღებულია 2.000 სამხრეთელი. როგორც იუწყებიან, ბრძოლაში მონაწილეობას იღებს 15.000 სამხრეთელი. (ადს).

პოლონეთს ეშინია

საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების

ვარშავა, 3 მაისი. „გლოს პრავდი" ბეჭდავს საერთაშორისო პოლიტიკის დიდ მიმოხილვებს. ამ მიმოხილვებს ხელს აწერს სპექტატორი. რედაქციის შენიშვნებიდან შეიძლება გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ სპექტატორის ფსევდონიმით სწერს პოლონეთის საგარეო პოლიტიკის თვალსაჩინო მოღვაწე.

უკანასკნელ მიმოხილვაში სპექტატორი სწერს: „ბრიანის პოლიტიკა საფრანგეთის პოლიტიკაა. ეს პოლიტიკა არ შეიცვლება, თუ მას პუანკარე გაატარებს. ყველასათვის აშკარაა, რომ საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა ვითარდება შეთანხმების ნიშან ქვეშ. ეს შეთანხმება სულ უფრო და უფრო მტკიცდება ეკონომიური და ფინანსიური ურთიერთობით. უახლოეს წლებში უნდა მოველოდეთ შეთანხმებას რეინის ოლქის შესახებ. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ გამოვიტანოთ აქედან შესაფერი დასკვნა".

ავტორი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი არ შეჩერდება დიდი მსხვერპლის წინაშე, რათა დაიცვას ვერსალის ხელშეკრულება. (ადს).

დეტერდინგი უკან იხევს

„როიალ დეტჩ შელლი" თანახმაა, რომ ამერიკელებმა საბჭოთა ნავთით ივაჭრონ ინგლისში, მხოლოდ მოითხოვს მოგების ნახევარს

ლონდონი, 3 მაისი. როგორც „იუნაიტედ პრესს"-ი იუწყება, დეტერდინგი დაბრუნდა გერმანიიდან. ცნობა იმის შესახებ, რომ დეტერდინგი ბერლინში აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანიის ნავთის ტრესტების აქციების შეძენის შესახებ, არ მართლდება.

„იუნაიტედ პრესის" სააგენტო იუწყება, რომ „როიალ დეტჩ შელლიმ" (დეტერდინგის ტრესტი) „სტანდარტ ოილს" მიმართა შემდეგი წინადადებით: საბჭოთა ორგანიზაციებმა, რომლებიც ნავთით ვაჭრობენ, არ უნდა გაავრცელონ თავისი მოღვაწეობა ინგლისში, თუმცა „როიალ დეტჩ შელლის" არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ ამერიკის კომპანია „ვაკუუმ ოილ"-მა გაჰყიდოს საბჭოთა ნავთი ინგლისში. „როიალ დეტჩ შელლი" სააგენტოს ცნობის თანახმად, მოითხოვს მიიღოს მონაწილეობა 50 პროც.-დე „სტანდარტ ოილისა" და „ვაკუუმ ოილ კომპანის" საბჭოთა ნავთის სავაჭრო ოპერაციებში. „როიალ დეტჩ შელლი" მოითხოვს აგრეთვე, რომ ამ ოპერაციებიდან მიღებულ მოგების 5 პროც. გადაიდოს რუსეთის ნავთის საწარმოების ყოფილ მეპატრონეთა პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად.

შტრეზემანის განცხადება

ბირკენჰედის ჩასვლის შესახებ ბერლინში

ბერლინი, 3 მაისი. „კელნიშე ცეიტუნგ"-ის თანამშრომელი ესაუბრა შტრეზემანს იმ ცნობების შესახებ, რომლებიც გამოაქვეყნა გერმანიისა [illegible] ბერლინში ჩასვლასთან დაკავშირებით.

შტრეზემანმა განაცხადა: „ერთადერთი საუბრის დროს ჩემთან ბირკენჰედს არ გადაუდგამს არავითარი ნაბიჯები, რომლების შესახებაც იუწყებოდენ გაზეთები და, რომლებიც, თითქოს, მიზნად ისახავენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ინგლის-საფრანგეთის - გერმანიის შეთანხმებას. ასეთ შეთანხმების იდეაც კი არ [illegible] თების ცნობები, თითქოს საუბარის მსვლელობაში ჰქონდა გერმანიის თანხმობის მიღება ასეთ გეგმებზე. ჩემბერლენის მდგომარეობის შესარყევად. (ადს).

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

მუშათა პარტია კონფლიქტის შესახებ

ლონდონი, 3 მაისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ, რომელმაც მაკდონალდის თავმჯდომარეობით განიხილა ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობის საკითხი, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„მუშათა პარტია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ უთანხმოება ინგლისის და ეგვიპტის მთავრობებს შორის უკვე მოგვარებულია. მუშათა პარტია ფიქრობს, რომ სანამ არსებული მდგომარეობა არ შეიცვლება და 4 მუხლი სუეცის არხის დაცვა, ეგვიპტის დაცვა თავდასხმისაგან, უცხოელების დაცვა და სუდანი) რჩება უთანხმოების საგნათ, ასეთ ინციდენტებს ყოველ წუთში შეუძლია ჩაგვითრიოს ჩვენ კონფლიქტში. საფრთხე ძლიერდება მით, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობდა ეგვიპტისათვის თავზე მოეხვია თავისი შეხედულებები ულტიმატუმისა და მუქარის გზით.

მუშათა პარტია საჭიროდ სთვლის, რათა ინგლისის მთავრობამ განიმეოროს განცხადება, რომ გამოყოფილი 4 მუხლი თავისუფალ განხილვისა და მეგობრულ შეთანხმების გზით უნდა გადაიქცეს კონვენციის საგნათ" (ადს).

პირველი მაისის დღესასწაულის გაკვეთილი

როგორც ყველა დამნახავს დეპეშებიდან, 1 მაისის დღესასწაული წელს განსაკუთრებული ენტუზიაზმით ჩატარდა. თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირში — გამარჯვებული შრომის ქვეყანაში საპირველმაისო დემონსტრაციები გრანდიოზული იყო: ეს იყო მრავალი მილიონი მშრომელების ძლევამოსილი მარში, ეს იყო რევოლიუციონური ხალხის ფართო მასების ბრწყინვალე, სიხარულით დღესასწაული, ეს იყო დღესასწაული, რომელშიაც გაერთიანდა ბუნების განმაახლებელი გაზაფხულის და ადამიანთა საზოგადოების განმაახლებელი რევოლიუციონური გაზაფხულის შეხვედრა. საზღვარ-გარეთ პირველი მაისის დღეს უსასტიკესი კლასიური ბრძოლა სწარმოებდა. დედამიწის ყოველ კუთხეში, ყოველ მატერიკზე გაისმოდა რევოლიუციონური რაზმების შეძახილი, რომლებიც გამოხატავდენ მშრომელთა ფართო მასების ნებისყოფას და მათ სიძულვილს მჩაგვრელი კლასების მიმართ.

ჩვენში დემონსტრაციები ყველგან დიდის ენტუზიაზმით ჩატარდა. ხალხით სავსე ქუჩები, პროცესიების დაუსრულებელი რიგები, წითელი მეომრები, რომელთაც ფიცი დასდეს, შეიარაღებული ხალხის რაზმები, მხნეობითა და სიხარულით გამსჭვალული სიმღერა და მაღლა აღმართული წითელი დროშები, რომლებზედაც აღბეჭდილი იყო მრისხანებით, ენტუზიაზმით, რწმენით აღსავსე, აღმაფრთოვანებელი ლოზუნგები. ამავე დროშებზე აღბეჭდილი იყო რევოლიუციონური ინტერნაციონალური სოლიდარობის სიტყვები, რომლებიც დიადი საქმისაკენ მოუწოდებდნენ. ყველგან—მოსკოვში, ბათუმში, ლენინგრადში, როსტოვში, ხარკოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში ამ დღეს მრავალი მილიონ მშრომელთა მსვლელობის დროს გაისმოდა პროლეტარული დიქტატურის მწყობრი ნაბიჯის ხმა, გუგუნებდა გამარჯვებისაკენ მომავალი სოციალიზმის სიმღერა.

ეს იქ, სადაც ხელისუფლების სათავეში სდგას პროლეტარიატი. მაგრამ სავსებით სხვა გვარი სურათია იქ, სადაც ხელისუფლების სათავეშია ბურჟუაზია.

„იქ" მდგომარეობა სრულებით სხვაგვარია. დღესასწაულური „დეკორაციები" შეღებილია სავსებით სხვანაირ ფერად. იქ დემონსტრაციებს აწყობს არა გამარჯვებული პროლეტარიატი, არამედ ჯერ კიდევ ჩაგრული და გამარჯვების მოპოვებისათვის მებრძოლი პროლეტარიატი. იქ დემონსტრაციები ტარდება კლასიური მტერის მძვინვარე, მუხანათი მტერის ტყვიების განუწყვეტელი ზუზუნით.

მიუხედავად ამისა, ამ წლის მაისის დღესასწაული განსაკუთრებით ძლიერ და მრისხანე ხასიათს ატარებდა, 1 მაისის დღე დიადი იმით, რომ კაპიტალიზმის მიერ ხელ-ფეხ შებოჭილი, ციხეებში გამომწყვდეული, „კანონებით" შევიწროვებული, ეკლესიით და რეფორმისტული ორგანიზაციებით შებორკილი საერთაშორისო პროლეტარიატი ამ დღეს არღვევს ბურჟუაზიული დესპოტიის ფრონტს, განსაკუთრებით ნათლად ააშკარავებს თავის კლასიურ რევოლიუციონურ სახეს და შიშის ზარს სცემს ბურჟუაზიას. ამ დღეს პროლეტარიატმა გაარღვია მტერთა ეკლიანი მავთულების ხლართი, გამოაცხადა თავი ქუჩის ბატონპატრონად და ერთი დღით გარდაქმნა კაპიტალისტური ქალაქების სახე.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის საერთო „წესრიგი" გერმანიაში 1 მაისის დღეს „უცერემონიოდ" დაარღვიეს მუშებმა. შეჩერდა უდიდესი ფაბრიკების მუშაობა, შეწყდა დაზგების ხმაურობა, შეჩერდა მემარჯვენე გაზეთების გამოცემა, მრავალი ასი ათასი ხალხი დემონსტრაციისათვის გამოვიდა ბერლინის ქუჩებსა და პარკებში და გერმანიის სხვა ინდუსტრიალურ ცენტრებში. უშიშარმა წითელფრონტელებმა, წინააღმდეგ ფაშისტ კეიდელებისა და კეიდელების „სოციალისტ" ლაქიებისა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქუჩის დემონსტრაციებში. რეფორმისტული ზღუდეები გარღვეულ იქნა პროლეტარიატის ქვედაფენების ენერგიული იერიშებით: კომუნისტი და სოციალ-დემოკრატი მუშები მთლიანი ფრონტით გამოვიდნენ მთელ რიგ ქალაქებში. კომუნიზმი სოციალ-დემოკრატიაზე ძლიერი გამოდგა ქუჩებში. ეს აშკარა იყო. იქ, სადაც დემონსტრაციები ტარდებოდა ცალ-ცალკე, ყველასათვის ნათელი იყო კომუნისტების წარმატება.

საფრანგეთში ადგილი ჰქონდა რევოლიუციონური გაფიცვების და მანიფესტაციების ძლიერ ტალღას. პარიზის პოლიცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პარიზის იმ მიდამოებს, სადაც უფრო მძლავრად გაისმოდა რევოლიუციონური პროლეტარიატის ხმა. პარიზში გამოწვეულ იქნა პოლიციისა და ჟანდარმერიის რაზმები. პოლიციამ გამოიწვია შეტაკება, თავს დაესხა მუშებს და დაუწყო ცემა. საფრანგეთის ბურჟუაზიამ კარგად შეიგნო, რომ თუმცა ყოველი რიგიანი საზოგადოებისათვის შესაფერი საპარლამენტო კვირა დამთავრდა, მაგრამ კლასიური ბრძოლა საფრანგეთში სრულიადაც არ დამთავრებულა. მართალია, ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები თავს ინუგეშებდნენ, რომ „კომუნიზმი დამარცხებულიაო", მაგრამ თვითონ რეაქციამ გამოააშკარავა ამ საცოდავი კალმოსნების უბადრუკობა. თუ კი „კომუნიზმი სუსტია", მაშინ რაღა საჭირო იყო „სუსტი" კომპარტიისათვის „მოეპარათ" მანდატები, რაღა საჭირო იყო პარიზის გადაქცევა 1 მაისს სამხედრო ბანაკად და პოლიციის სპეციალური ავტომობილების შეგროვება, რაღა საჭირო იყო ტანკების მობილიზაცია მუშების წინააღმდეგ? საფრანგეთის ბურჟუაზიას მანუგეშებელი სიტყვებით სურს დაფაროს თავისი შიში კომუნიზმის წინაშე.

პოლონეთში 1 მაისი აღინიშნა სისხლიანი ამბებით, რომლებშიაც სიმხეცის რეკორდი აიღეს პეპეესოველებმა. პეპეესოველთა რაზმება მუხანათურად ხვრეტავდენ პროლეტარულ კომუნისტურ დემონსტრაციებს ვარშავაში. ეს საზიზღარი ბოროტმოქმედება ჩადენილ იქნა არა მარტო იმიტომ, რომ კომუნისტური დემონსტრაცია გაცილებით უფრო გრანდიოზული იყო, ვიდრე პეპესოველებისა, არამედ იმიტომაც, რომ გაცოფებულმა და გაბოროტებულმა პილსუდსკის მომხრეებმა გადასწყვიტეს შური ეძიათ კომუნისტებზე არჩევნებში გამარჯვების გამო და პოლონეთის სახელოვან მუშებს ტყვიით გაუმასპინძლდენ კომპარტიისათვის ხმების გამოცხადებისათვის. პოლონეთის მუშები ემხრობიან კომუნიზმს და იბრძვიან ფაშისტური რეჟიმის და მისი პეპესოველი ოპრიჩნიკების წინააღმდეგ. სწორედ ამისათვის მარშალ პილსუდსკის ლაქიებმა ვარშავის თეატრალურ მოედანზე მოაწყვეს პოგრომი და სისხლის ღვრა—მოჰკლეს ხუთი და დაჭრეს რამოდენიმე ასეული მუშები.

ვარშავის ამბები, რომლებიც მკვდრეთით აცოცხლებს მეფის წყობილების ინკვიზიტორულ სისაძაგლეს და რომანების დუბასოველებისა და კიშინიოვის ფარაონების საზიზღარ საქმეებს, სამარცხვინო ლაქად შევა პოლონეთის და საერთაშორისო რეფორმიზმის ისტორიაში. ვარშავაში სისხლისღვრის საშინელი გაკვეთილი ღრმად აღიბეჭდება ყოველი პატიოსანი პროლეტარის შეგნებაში. დაღუპული პოლონელი ამხანაგების სისხლი, დედებისა და შვილების ცრემლი და დასახიჩრებულთა და დაჭრილთა ტანჯვა-წამება აშკარად ღაღადებს იმას, თუ როგორი უფსკრული გათხარა ისტორიამ რეფორმიზმსა და კომუნიზმს შორის. მხოლოდ უტვინო რეგვენებს და შარლატნებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ განსხვავება კომუნიზმისა და რეფორმიზმის შორის მდგომარეობს „მხოლოდ მეთოდში": პირველი ემხრობა ძალადობას და მეორე ძალადობის წინააღმდეგიაო. ნამდვილად კი კომუნიზმი კაპიტალიზმის მოსისხლე მტერია, ხოლო რეფორმისტები სრულიადაც არ/არიან საერთოდ ძალადობის წინააღმდეგ: ისინი ძალადობის წინააღმდეგი არიან კაპიტალიზმის მიმართ, ვინაიდან ისინი იკვებებიან კაპიტალიზმის ნასუფრალით, მაგრამ ძალადობისა და დახვრეტის მომხრენი არიან რევოლიუციონური მუშების მიმართ. ვისაც დაავიწყდა სისხლიანი ნოსკე, ვისაც დაავიწყდა როზა ლუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მოკვლა, მან ყურადღება მიაქციოს პირველი მაისის დღეებს ვარშავაში, დეე, გაიგონოს პეპესოველთა ტყვიებით დაჭრილი მუშების კვნესა.

პოლიციის ტერორმა, პროვოკატორების მუშაობამ და ვარშაველი რეფორმისტების ტყვიებმა მუშების წინააღმდეგ ვერ ჩაშალეს მაისის რევოლიუციონური დღესასწაულის წარმატებით ჩატარება მთელ მსოფლიოში. მუშათა მასები დემონსტრაციებს აწყობდენ კომუნიზმის დასაცავად. მრავალ ათეულ და ასეულ ქვეყნებსა და ქალაქებში—ბერლინში, პარიზში, ლონდონში, ტოკიოში, ნიუ-იორკში, ბუქარესტში, კოპენჰაგენში, სტოკჰოლმში, ვარშავაში, ვენაში რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა მოაწყო დემონსტრაციები, მოაწყო გაფიცვები და იდღესასწაულა თავისი მომავალი გამარჯვება.

კლასიური ბრძოლა განუწყვეტლივ ფართოვდება. რეაქცია სულ უფრო და უფრო მეტ თავხედობას იჩენს, მაგრამ იზრდება კომუნისტური ძალები—ასეთია 1928 წლის მაისის დღესასწაულის უმთავრესი გაკვეთილი.

„პრავდა", 4 მაისი.

ამანულა-ხანი მოსკოვში

შეხვედრა

მოსკოვი, 4 მაისი. 3 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშაჰი ამანულა-ხანი. მასთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ: მისი მეუღლე დედოფალი სურაია, ფადიშაჰის და, პრინცი მუჰამედ შაჰ-ხანი და ფადიშაჰის ამალა: გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე გულამ სედიკ-ხანი, კარის მინისტრი მუჰამედ იაკუბ-ხანი, სამხედრო მინისტრის მოადგილე ხაბიბულა-ხანი და ოფიცრები, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ. ამავე მატარებლით მოვიდნენ ფადიშაჰის შესახვედრად საზღვრებზე გამგზავრებული ამხ. კარახანი, ფადიშაჰთან მივლინებული მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლის თანაშემწე ამხ. კუიბიშევი, დივიზიის უფროსი ამხ. რინკი, გარეშე საქმეთა კომისარიატის საპროტოკოლო განყოფილების გამგე ამხ. ფლორინსკი, ავღანისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში მირზა მოჰამედ-ხანი და სხვ.

მოჟაისკიდან მოსკოვამდე მატარებელს ახლდა სამხედრო ჰაეროპლანების ესკადრილია.

ბელორუსია-ბალტიის სადგური და ბაქანი მორთული იყო საბჭოთა და ავღანისტანის ბაირაღებით და მწვანეულობით. პერონის გასწვრივ გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. დილის 11 საათზე ფადიშაჰის შესახვედრად მოვიდნენ ამხ. კალინინი, რუძუტაკი, ლეჟავა, ენუქიძე, ჩიჩერინი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ბრიუხანოვი, ლიტვინოვი, სტომონიაკოვი, ბუდიონი, მუკლევიჩი, ლუნაჩარსკი, სემაშკო; გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის და სამხედრო - საზღვაო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, ავღანელთა კოლონიის წარმომადგენელი თავისი დროშით, აღმოსავლეთის ვაჭართა და საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელი და სხვ.

დილის 11 საათზე სადგურში მატარებელი ავღანელთა ეროვნული ჰიმნისა და ინტერნაციონალის შესრულების დროს დებარკადერთან დადგა. ფადიშაჰი და მისი ოჯახის წევრები, რომ ვაგონიდან გამოვიდნენ, ამხ. კალინინი რუსულ ენაზე მიესალმა ამანულა-ხანს; ამხ. კალინინის სიტყვა სპარსულად გადათარგმნა ფადიშაჰის თარჯიმანმა. საპასუხო სიტყვაში ფადიშაჰმა გულითადი მადლობა გადიხადა მისალმებისათვის და ღრმა სიხარული გამოთქვა საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქში მოსვლის გამო, იმ ქვეყანაში მოსვლის გამო, რომელთანაც ავღანისტანი გადაბმულია მჭიდრო მეგობრობის კავშირით.

შემდეგ ამხ. კალინინმა ფადიშაჰს წარუდგინა მთავრობის წევრები. ამხ. კოლონტაიმ ფადიშაჰის მეუღლეს ყვავილების თაიგული მიართვა.

ამხ. კალინინმა, მთავრობის წევრებსა და ამალასთან ერთად ფადიშაჰმა ჩამოუარა ყარაულს, მიესალმა წითელ არმიელებს და გაემართა გასავლისაკენ. სადგურის წინა მოედანზე დაყენებული იყო ცხენოსანთა და ქვეითი ნაწილების საპატიო ყარაული. ამხ. ვოროშილოვისა, შაპოშნიკოვისა და ადიუტანტებთან ერთად ფადიშაჰმა ჩამოუარა სამხედრო ნაწილებს და მიესალმა რუსულ ენაზე. შემდეგ ფადიშაჰის წინ სამხედრო ნაწილებმა ცერემონიალური მარშით გაიარეს.

გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატში

ამის შემდეგ ამხ. კალინინსა და კარახანთან ერთად ფადიშაჰი ავტომობილით გაემგზავრა [illegible] ლებში ჩასხდნენ ფადიშაჰის მეუღლე ამხ. კოლონტაისთან ერთად, ოჯახისა და ამალის წევრები.

გარეშე საქმ. კომისარიატის შენობა მორთული იყო ავღანისტანისა და საბჭოთა ბაირაღებით.

კრემლში

შუადღის 2 საათზე ფადიშაჰი მასთან მივლინებულ მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლის თანაშემწე ამხ. კუიბიშევთან, დივიზიის უფროს ამხ. რინკთან და ამალასთან ერთად ეწვია ამხ. კალინინს. ამხ. კალინინის — მიერ ფადიშაჰის მიღებას დაესწრნენ ამხ. რუძუტაკი, ენუქიძე, ვოროშილოვი, ჩიჩერინი, კარახან და სხვ. ამხ. კალინინისა და ფადიშაჰის ბაასმა დაახლოებით ერთ საათს გასტანა.

დარბაზობის შემდეგ ფადიშაჰმა ჩამოუარა საპატიო ყარაულს, რომელიც გამწკრივებული იყო დიდი სასახლის შესავალთან.

ლენინის მავზოლეუმში

ამხ. კალინინისა, ენუქიძისა, ჩიჩერინისა, კარახანისა, ამალასა და სხვებთან ერთად ფადიშაჰი კრემლიდან გაემართა ლენინის მავზოლეუმისაკენ, რომელიც მან ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკო.

მოსკოვის საბჭოში

შუადღის 3 საათზე ფადიშაჰი ესტუმრა მოსკოვის საბჭოს, სადაც მას დახვდა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვოლკოვი.

ამხ. ვოლკოვმა წარუდგინა ფადიშაჰს და მის მეუღლეს მოსკოვის საბჭოს წევრები და მიმართა მისასალმებელი სიტყვით.

ამხ. ვოლკოვის მისასალმებელი სიტყვა

„საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქს და ავღანისტანის დედა-ქალაქს ათასეული ვერსი აშორებს, სთქვა ამხ. ვოლკოვმა, მაგრამ ამ მანძილის სივრცეზე გაბმულია მეგობრობისა და ურთიერთი გაგების ძაფები, რომელიც აკავშირებს ჩვენსა და თქვენს ხალხს. ჩვენ ღრმა სიმპატიის გრძნობით ვადევნებთ თვალყურს ავღანელი ხალხის გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და შევხარით მისი ძლიერების შეუჩერებელ ზრდას. ჩვენ ვიცნობთ თქვენს მეცადინეობას და მხნეობას, რომელსაც ხმარობთ თქვენი ქვეყნის განსათავისუფლებლად და გასაძლიერებლად. ჩვენ ვიცნობთ აგრეთვე ამ გზაზე მიღწეულ დიდ წარმატებებსაც.

სულით და გულით ვუსურვებთ ავღანისტანის სახელმწიფოს შემდგომს წარმატებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი მოსვლა საბჭოთა კავშირში ახალ სტიმულად გადაიქცევა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის".

ფადიშაჰის საპასუხო სიტყვა

ამხ. ვოლკოვის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში ფადიშაჰმა მადლობა გამოთქვა გულითადი შეხვედრისათვის.

„ჩვენ იმედი გვაქვს,—განაცხადა ფადიშაჰმა,—რომ ჩვენი სახელმწიფოების დამაკავშირებელი გულწრფელი მეგობრობა უფრო და უფრო განმტკიცდება და ორივე ქვეყნის ინტერესებს მოემსახურება. თუმცა ჩვენი დედა-ქალაქები ათასეული ვერსით არიან დაშორებულნი, მაგრამ ჩვენი ქვეყნებიც ათასეული ვერსით საზღვრავენ ერთმანეთს; ეს გარემოება უძლიერეს სტიმულს წარმოადგენს იმისათვის, რომ დედა-ქალაქებს მანძილის სიშორემ არ შეაფერხოს ორი სახელმწიფოს ურთიერთი გაგება, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი დაახლოებას".

დასასრულ ფადიშაჰმა უსურვა მოსკოვის საბჭოს სრული გამარჯვება შემოქმედების მუშაობაში.

ფადიშაჰის საპასუხო სიტყვის შემდეგ სტუმრებს ჩაი შესთავაზეს. ამხ. ვოლკოვმა ფადიშაჰს მიართვა მხატვრული ალბომი მოსკოვის სხვადასხვა სანახობებით და ლარნაკი, რომლის სახურავზედაც გამოსახულია მოსკოვის საბჭოს შენობა.

ფადიშაჰმა მოსკოვის საბჭოში ერთ საათზე მეტ ხანს დაჰყო.

3 მაისს საღამოთი ამხ. კალინინთან გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ფადიშაჰი ამანულა-ხანი თავისი მეუღლით, მისი ოჯახის წევრები, საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრები, ფადიშაჰის ამალა და დიპლომატიური კორპუსი. ამხ. კალინინმა და ფადიშაჰმა ერთმანეთს მისასალმებელი სიტყვები უთხრეს.

დიპლომატიური კორპუსის მიღება

ფადიშაჰმა მიიღო უცხოელი დიპლომატები, რომელნიც წარგზავნილი არიან საბჭოთა კავშირის მთავრობასთან. დარბაზობამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა. (ადს).

კელოგის ნოტა და საბჭოთა კავშირი

ბერლინი, 3 მაისი. შტრეზემანის გაზეთი „ტეგლიხე რუნდშაუ" კომენტარიებს უკეთებს გერმანიის პასუხს კელოგის ნოტაზე მუდმივი მშვიდობიანობის ხელშეკრულების პროექტის შესახებ, და ეხება საკითხს საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ კელოგის პროექტისადმი. გაზეთი აცხადებს, რომ რამდენადაც მან იცის ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების განზრახვები, საბჭოთა კავშირი გამორიცხული არ არის იმ სახელმწიფოებიდან, რომლებსაც შეუძლიათ შეუერთდენ ხელშეკრულებას. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბელენკიმ გასწყვიტა კავშირი ოპოზიციასთან

მოსკოვი, 4 მაისი. „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში მოთავსებულია მოსკოვის ორგანიზაციის ყოფილ აქტიურ მუშაკის, კრასნაია პრესნიას პარტრაიკომის ყოფილ მდივანის ამხ. ბელენკის წერილი, სადაც ის იმიჯნება ოპოზიციისაგან, სწორად სცნობს მე-15 ყრილობის ყველა დადგენილებებს და პირობას იძლევა ყოველნაირათ შეუწყოს ხელი ამ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა კელნში

მოსკოვი, 4 მაისი. რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის გამგემ ამხ. ხალატოვმა თავის საუბარში ბეჭდვითი სიტყვის გამოფენის შესახებ კელნში აღნიშნა, რომ საბჭოთა პავილიონი ამ გამოფენაზე განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს.

ამხ. ხალატოვის სიტყვით საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღე ამიერიდან გადაიქცევა საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტორათ.

როგორ „მუშაობდა" მოსკოვის დიდი ოპერის თეატრი

მოსკოვი, 4 მაისი. როგორც ამ რამდენიმე კვირის წინათ გატყობინებდით განათლების სახალხო კომისარიატმა და ხელოვნების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირმა გამოჰყო სპეციალური კომისია იმ არანორმალობათა გამოსაკვლევათ, რომელიც შემჩნეული იყო მოსკოვის დიდი ოპერის თეატრის მუშაობაში. ეს არანორმალობა გამოიხატებოდა როგორც თეატრის სამეურნეო და სამხატვრო საქმეების უხეიროთ წაყვანაში, ისე თვით დიდი თეატრის სცენის მუშაკთა შორის გამეფებულ ანტისაზოგადოებრივ ტრადიციებში.

ამჟამად განათლების სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირის მიერ გამოყოფილ საგამომძიებლო კომისიამ დაასრულა მუშაობა.

საგამომძიებლო კომისიის დასკვნებში დადასტურებულია დაუდევრობისა, აშკარა ბოროტმოქმედების და ანტი-საბჭოთა გამოსვლების მთელი რიგი შემთხვევები.

ასე მაგალითად, გამოირკვა, რომ მოსკოვის დიდი ოპერის თეატრმა მიმდინარე სეზონი დაასრულა 300.000 მანეთის დეფიციტით. ეს მაშინ, როცა თეატრი მუდამ ივსებოდა მაყურებლებით და ადგილების ფასებიც ნორმალურზე ბევრათ მეტი იყო.

საგამომძიებლო კომისიის მუშაობამ ცხადყო, რომ ასეთი დეფიციტი მოსკოვის დიდი ოპერის თეატრში გამოწვეულია დაუშვებელ ხელგაშლილობით, რომელსაც იჩენდა სახელმწიფო ქონების მიმართ თეატრის დირექცია. ასეთი ხელგაშლილობის დამახასიათებელ ფაქტს წარმოადგენს სხვათა შორის სცენის გამოჩენილ მუშაკებთან ინდივიდუალურ ხელშეკრულებების დადების პრაქტიკა, რომელიც არაჩვეულებრივ დიდ ტვირთად აწვებოდა სალაროს. ამას კიდევ თან ერთვოდა სრული უდისციპლინობა დიდი თეატრის მუშაკთა შორის.

დიდი ოპერის დირექცია არ აქცევდა არავითარ ყურადღებას ახალ საოპერო ძალების დაწინაურების საქმეს. პირიქით, დადასტურდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები, მუსიკოსები და კომპოზიტორები ყოველნაირად იდევნებოდენ დიდი ოპერის თეატრიდან.

განსაკუთრებით ისახელა თავი დირიჟორ გოლოვანოვმა, რომელიც სხვა მავნე მიდრეკილებებთან ერთად ხულიგნურად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს ოპერის სცენის მუშაკთა შორის.

საგამომძიებლო კომისიამ დიდი ოპერის თეატრში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობის გამომჟღავნებასთან ერთად, დასახა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

გადაწყვეტილია რამდენიმე ცნობილ პასუხისმგებელ მუშაკის გადაყენება დიდი ოპერის თეატრში მუშაობიდან, მათ შორის მოხსნილი იქნება ლოსსკი. საგამომძიებლო კომისიის დადგენილებით მოხსნილ უნდა იქნეს აგრეთვე თანამდებობიდან დიდი ოპერის დირიჟორი გოლოვანოვი.

ხელოვნების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა უცვლელად დაამტკიცა საგამომძიებლო კომისიის ყველა ეს გადაწყვეტილებანი.

უკანასკნელი ცნობები

თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელზე პოლონეთში

ვარშავა, 4 მაისი. დღეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელ ლიზარევს თავს დაესხნენ მარშალკოვის ქუჩის კუთხეზე. ავტომობილს ახლო მანძილიდან ესროლეს ორჯერ. პირველმა სროლამ შეამტვრია ავტომობილის ფანჯარა, მეორე ტყვია მოხვდა ავტომობილის კორპუსს, მაგრამ ზიანი ვერ მიაყენა ვერც ლიზარევს და ვერც სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლებს იაკოვლევსა და მაკარენკოს, რომლებიც ახლდნენ მას. როდესაც თავდამსხმელმა დაინახა, რომ მისი სროლა უშედეგო აღმოჩნდა, სცადა გაქცევა, მაგრამ ის დააკავეს. მან განაცხადა, რომ ის არის იური ლევის ძე ვოიცეხოვსკი, რუსი ემიგრანტი, რომელსაც მიღებული აქვს პოლონეთის მოქალაქეობა. საფიქრებელია, რომ ვოიცეხოვსკიმ ლიზარევს შეცდომით ესროლა, ის ალბათ ფიქრობდა, რომ ავტომობილში იჯდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში ბოგომოლოვი.

ამ ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ თავდასხმა მოხდა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მახლობლად და არა სავაჭრო წარმომადგენლობასთან, სადაც ვოიცეხოვსკის უკეთ შეეძლო დასდარაჯებოდა სავაჭრო წარმომადგენელ ლიზარევს, თუ განზრახული ჰქონდა მისი მოკვლა. (ადს).

ვარშავა, 4 მაისი. სავაჭრო წარმომადგენელ ლიზარევზე მომხდარ თავდასხმიდან ორი საათის გასვლის შემდეგ პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთმა წარმომადგენელმა ინახულა სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბოგომოლოვი. მათ მწუხარება გამოთქვეს მომხდარი ფაქტის გამო.

პოლონეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა თანაგრძნობა განუცხადეს სავაჭრო წარმომადგენელ ლიზარევს.

საუბარში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან იაკოვლევმა და მაკარენკომ განაცხადეს, რომ ვოიცეხოვსკიმ ხელახლა მათთვისაც ესროლა, მაგრამ რევოლვერმა უმტყუნა. ვოიცეხოვსკი მხოლოდ ამის შემდეგ გაიქცა. ვოიცეხოვსკიმ მიაღწია რუსულ ბიბლიოთეკამდე მარშალკოვის ქუჩაზე სადაც ის დაატუსაღეს. (ადს).

ბირკენხედი სცდილობს

ბერლინი, 4 მაისი. ბერლინის ნაციონალისტურ გაზეთ „იუნგ დოიჩე"-ს ლონდონელი კორესპონდენტი, ემყარება რა ავტორიტეტულ წყაროებს, იუწყება, რომ ბერლინში პილსუდსკის რწმუნებულ პირთან მოლაპარაკების დროს ბირკენხედი ურჩევდა პოლონეთს შეუთანხმდეს ლიტვას, რათა შესაძლებელი გახდეს პოლონეთ-ლიტვის ხატრანზიტო ბლოკის დადება, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამასთან ერთად ბირკენხედი ურჩევდა პოლონეთს, რათა მან გააძლიეროს მუშაობა თავის „მომხრეთა შესაძენად უკრაინაში", რის სამაგიეროდაც ბირკენხედმა აღუთქვა პოლონეთს ფინანსიური დახმარება ინგლისის მხრივ პოლიტიკურ და სამეურნეო მიზნებისათვის. (ადს).

პირველი მაისის მსხვერპლთა დასაფლავება

ვარშავა, 4 მაისი. გუშინ ჰოსპიტალში გარდაიცვალა 1 მაისის კომუნისტური მანიფესტაციის მონაწილე მუშა გოლდბერგი, 17 წლის. დემონსტრაციის შიშის გამო, პირველი მაისის მსხვერპლთა დასაფლავება მოხდა დღეს ღამით პოლიციის მეთვალყურეობით. დასაფლავებაზე დაუშვეს დაღუპულთა მხოლოდ უახლოესი ნათესავები. (ადს).

ინგლის-სპარსეთის მოლაპარაკება

თეირანი, 3 მაისი. „შეფაგ ესორხ"-ი იუწყება, რომ ინგლის-სპარსეთის მოლაპარაკება ბაჰრეინის კუნძულების და ქაირ-ბაღდად-კარაჩის საჰაერო ხაზის შესახებ „წარმატებით მიმდინარეობს". გაზეთი აცხადებს, რომ საჰაერო ხაზი აუცილებლად გაივლის სპარსეთის სამხრეთ ნავთსადგურებზე. (ადს).

პროფბიუროკრატების კანდიდატი

ნიუ-იორკი, 3 მაისი. 12 პროფკავშირის თავმჯდომარეებმა თავისი კავშირების წევრებს მიმართეს მოწოდებით მხარი დაუჭირონ გუვერის კანდიდატურას პრეზიდენტად არჩევნებში. (ადს).

ბურჟუაზიული მართლმსაჯულება

ბერლინი, 3 მაისი. ჰამბურგში დამთავრდა ამ პირთა პროცესი, რომლებმაც 1927 წლის აგვისტოში მონაწილეობა მიიღეს საკოს და ვანცეტის დასაცავად გამართულ დემონსტრაციაში. ამ დემონსტრაციის დროს ადგილი ჰქონდა შეტაკებას პოლიციასთან და მოკლულ იქნა ერთი პოლიციელი. შვიდ ბრალდებულს მიუსაჯეს საპყრობილეში დაპატიმრება 4 ნახ. წლამდე, ორს—18 თვემდე, ორი გაამართლეს. (ადს).

გრაფ პურტალესის სიკვდილი

ბერლინი, 3 მაისი. ბად-ნაუჰეიმის კურორტზე გარდაიცვალა გერმანიის ყოფილი ელჩი პეტერბურგში გრაფი პურტალესი. (ადს).

საქმე კალვის სატუსაღოში მომხდარ ამბების შესახებ

პარიზი, 3 მაისი. მარსელში იწყება დისციპლინარულ ბატალიონის იმ 25 ჯარისკაცისა და ტულონისა და ბრეტონის ყოფილი მეზღვაურების პროცესი, რომელთაც 1927 წ. 27 დეკემბერს მოაწყვეს ამბოხება კალვის (კორსიკა) სატუსაღოს ადმინისტრაციის წინააღმდეგ. (ადს).

* * *

გრიგოლ ვეშაპელის ნეშტის დაკრძალვა

გუშინ, ბათომიდან თბილისში ჩამოასვენეს გრიგოლ ვეშაპელის ნეშტი.

დამკრძალავი კომიტეტის დადგენილებით ნეშტის დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 მაისს, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში— დიდუბეში.

დღეს, საღამოს 7 საათზე განსვენებულის პატივსაცემად ხელოვნების სასახლეში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

დღესვე, ნაშუადღევის 1-ლ საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება დამკრძალავი კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმის წევრების გაერთიანებული სხდომა.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

პეკინის მიმართულებით სამხრეთელების მიერ დაწყებული ფართე შეტევა საკმაოდ ჩქარი ნაბიჯით ვითარდება, და ჩან-კაი-შის და ფინ-იუ-სიანის ჯარებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. შანდუნის პროვინციის მთავარი ქალაქი ძინან-ფუ მათ მიერ დაკავებულია და, როგორც სჩანს, უკანასკნელ დეპეშებიდან, სამხრეთელების ჯარი უკვე გასცდენია ამ ქალაქს, და გადასულა მდ. ხუან-ხეს ჩრდილოეთ ნაპირას, ე. ი. უახლოვდება სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ქალაქს—დე-ჯოუს, სადაც, დეპეშების ცნობით, ჩან-ძოლინი აპირებს მედგარი წინააღმდეგობის გაწევას. მაგრამ მეტად არახელსაყრელ პირობებში მოუხდება ჩან-ძო-ლინს დე-ჯოუსთან ბრძოლა. სამხრეთიდან მის წინააღმდეგ მოქმედობს ჩან-კაი-შის ჯარი. მის მარჯვენა ფრთას უვლის დასავლეთის მხრით ფინ-იუ-სიანი და, გარდა ამისა ჩრდილო-დასავლეთის მხრით ემუქრება იენ-სი-შანის ჯარი, ერთი სიტყვით თუ რამე გარეშე ძალა არ ჩაერევა საქმეში და არ [illegible] თავს ჩვეულებრივი ქიშპობა და განხეთქილება, აშკარაა, ჩან-ძო-ლინი დე-ჯოუსთან დიდხანს ვერ გაჩერდება, ხოლო დე-ჯოუს დაკარგვა კი იმას ნიშნავს, რომ სამხრეთელების ჯარები უკვე პეკინს უშუალოდ დაემუქრებიან და სამხედრო მოქმედება გადატანილ იქნება პეკინის უახლოეს პოზიციებზე.

სამხრეთელების დაუბრკოლებელი წინსვლა და მათი ოპერაციების ნორმალური მიმდინარეობა ნიშნავს იმას, რომ ნანკინელებს და იაპონიის მთავრობას შორის რაღაც შეთანხმებას აქვს ადგილი, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იაპონელები სამხრეთელებს ძინან-ფუში არ შეუშვებდნენ. ამის დამამტკიცებელია ახლო წარსული და აგრეთვე ის, რომ იაპონელები ტყუილ-უბრალოდ თავის საკმაოდ დიდ ჯარს არ დააგროვებდნენ შანდუნის პროვინციაში. თუ ასეთ შეთანხმებას მართლა აქვს ადგილი, მაშინ პეკინის ბედი და მასთან ჩან-ძო-ლინისაც გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, სხვა საკითხია, თუ რა ნიადაგზე და რა პირობებში მოხდა ეს შეთანხმება.

როგორც აღნიშნეთ, მოკლე ხანში უნდა მოველოდეთ დიდ, გადამწყვეტ მნიშვნელობის ბრძოლას სადმე დენჯოუს რაიონში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ამ შემთხვევაში იენ-სი-შანის მოქმედებას. უკანასკნელის მედგარი შეტევა ბაო-დინ-ფუს მიმართულებით სულ მოკლე ხანში გადასწყვეტს დე-ჯოუს პოზიციების საკითხს და შეიძლება ჩან-ძო-ლინის ჯარები პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. პირიქით, თუ იენ-სი-შანმა ულალატა ნანკინელებს, რაიმე მოსაზრებით თავი შეიკავა და ადგილიდან არ დაიძრა, მაშინ ჩან-ძო-ლინს საშუალება მიეცემა სამხრეთელებს მარცხენა ფრთის შემოვლით გაურთულოს მათ საქმე, დენ-ჯოუს პოზიციების დაცვა დიდი ხნით შესძლოს, მოიგოს დრო და იქნებ მოურიგდეს ამ ხნის განმავლობაში იაპონიას, რასაც მოჰყვება აუცილებლად ცვლილება [illegible]. [illegible] იენ-სი-შანს, ამ გაიძვერა და გამოქნილ გენერალს და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, იგი შექმნილ მდგომარეობით უსათუოდ ისარგებლებს თავისი პირადი ინტერესების მიხედვით.

ამჟამად სამხედრო ფრონტი დაშორებულია პეკინს თითქმის 300 კილომეტრით. ჩვენ ვიცით, რომ იყო დრო, როდესაც სამხრეთელების ჯარები პეკინს თითქმის 200 კილომეტრით დაუახლოვდნენ, მაგრამ მაშინ ოპერაციამ ფუჭად ჩაიარა სამხრეთელებისათვის სწორედ იაპონიის წყალობით. ამიტომ მიუხედავად დიდი წარმატებისა ბრძოლის ასპარეზზე სამხრეთელების მხრით, მეტად ძნელია იმის თქმა, მიაღწევენ ისინი საბოლოო მიზანს—პეკინის აღებას, თუ კვლავ ხელმშრალნი იძულებული გახდებიან კვლავ დაუბრუნდნენ ძველ პოზიციებს ხე-ნანის და ან-ხოის პროვინციებში.

ი. გედევანიშვილი.

კეიდელის წინადადების უარყოფა

„არაა საკმაო საფუძველი"

ბერლინი, 3 მაისი. ლეიპციგის უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ გამოიტანა გადაწყვეტილება წითელ ფრონტელების კავშირის აკრძალვის საკითხის შესახებ. სასამართლო ფიქრობს, რომ არაა საკმაო საფუძველი კავშირის დაშლისათვის.

საკითხი კვლავ დაისმება არჩევნების შემდეგ

ბერლინი, 3 მაისი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში გაცხოველებით იხილავენ უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებას წითელ ფრონტელთა კავშირის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილებას ხსნიან პარტიების (გარდა ნაციონალისტებისა) უარყოფითი დამოკიდებულებით კეიდელის მოთხოვნილებისადმი. წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მთავარ მიზეზად, ამ წრეების აზრით, უნდა ჩაითვალოს ის, რომ სოციალ-დემოკრატებს და ბურჟუაზიულ პარტიებს ეშინიათ, რომ კავშირის დაშლა გამოიწვევს მუშების გამემარცხენებას, რაც გააძლიერებს კომპარტიას რეიხსტაგის მომავალ არჩევნებში.

მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სოციალ-დემოკრატები და ბურჟუაზიული პარტიები მიზნად ისახავენ მებრძოლ კავშირების (როგორც მემარცხენე, ისე რეაქციონურ) ლიკვიდაციას, ხოლო წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლა მხოლოდ გააძლიერებდა რეაქციონურ კავშირების მდგომარეობას. პრუსიის მთავრობის პროტესტს კეიდელის მოთხოვნილების წინააღმდეგ ხსნიან იმით, რომ პრუსიის მთავრობის სათავეში მდგომი სოციალ-დემოკრატები შიშობენ არჩევნების წინ არ გატეხონ სახელი მუშების თვალში.

ამის გამო პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს საკითხი შეიძლება ხელახლა დაისვას არჩევნების შემდეგ.

ბელა კუნის დაპატიმრების გარშემო

ავსტრიის იუსტიციის მინისტრი კუნის გაცემის შესახებ

ვენა, 3 მაისი. ჩამოვიდა გერმანელი სოციალ-დემოკრატი ვექილი როზენფელდი, რომელმაც ინახულა იუსტიციის მინისტრი დინგჰოფერი ბელა კუნის საქმის გარშემო მოსალაპარაკებლად. ბელა კუნის უნგრეთისათვის გადაცემის შესაძლებლობის შესახებ დინგჰოფერმა განაცხადა, რომ პირადათ მისი აზრით, ბელა კუნი, ავსტრიის კანონმდებლობის თვალსაზრისით, არ შეიძლება გადაეცეს უნგრეთს.

უნგრეთის რეაქცია მოითხოვს კუნის გაცემას

ვენა, 3 მაისი. უნგრეთის მთავრობის პრესა მოითხოვს ბელა კუნის გადაცემას უნგრეთისათვის (ადს).

ზოგერი „მუშაობს"

ვენა, 3 მაისი. ბელა კუნი, მაიერგოფერი, ლიპაი, ილონა ბრაუერი და სეკელი გადაცემულნი არიან საოლქო სასამართლოს განკარგულებაში; დანარჩენი პატიმრები გაანთავისუფლეს. გაზეთების ცნობით, დაპატიმრებულებმა უარი განაცხადეს რაიმე ჩვენების მიცემაზე კუნის ავსტრიაში ჩასვლის მიზნების შესახებ. ამავე დროს გაზეთები იუწყებიან, რომ 28 აპრილს აღმოჩენილ იქნა კუნის ბინა.

ვენაში ჩამოვიდა უნგრეთის პოლიციის უფროსი შვეინიცერი, რომელიც მიიღო ვენის პოლიციის პრეზიდენტმა შობერმა (ადს).

„სენსაცია"

ვენა, 3 მაისი. ბულვარული გაზეთები სენსაციის გამოწვევის მიზნით იუწყებიან, თითქოს ბელა კუნი რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა ვენის საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში. სრულუფლებიან წარმომადგენლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აცხადებს, რომ ეს ბოროტი განზრახვით გავრცელებული ჭორია (ადს).

გეორგ ლუკაჩის გამოცხადება

ვენა, 3 მაისი. უნგრელი ემიგრანტი, უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის ყოფილი სახალხო კომისარი გეორგ ლუკაჩი, რომელსაც ბელა კუნის საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე დღე დაეძებდა პოლიცია, თავისი ნებით გამოცხადდა ვენის პოლიციაში. პოლიციამ ლუკაჩი გადასცა ვენის საოლქო სასამართლოს. (ადს).

ბელა კუნის „დანაშაული"

ვენა, 4 მაისი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ავსტრიის იუსტიციის მინისტრმა განუცხადა სააგენტოს წარმომადგენელს, რომ ბელა კუნი სასამართლოს პასუხისგებაშია მიცემული საიდუმლო საზოგადოების დაარსების და ავსტრიაში უკანონოდ დაბრუნების გამო, უნგრეთის მთავრობას ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია მოთხოვნილება ბელა კუნის გაცემის შესახებ, მაგრამ ბუდაპეშტის სისხლის სამართლის სასამართლომ მოითხოვა, რომ ბელა კუნი საპყრობილეში იქნას დატოვებული, სანამ წარდგენილი არ იქნება მოთხოვნილება მისი გაცემის შესახებ ვინაიდან არსებობს უნგრეთის სასამართლოს ბრძანება ბელა კუნის [illegible] მკვლელობის გამო. მინისტრმა განაცხადა, რომ საბოლოო მოთხოვნილებაზე ბელა კუნის გაცემის შესახებ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ის ქმედობა, რომელიც ბრალდება ბელა კუნს ეკუთვნის თუ არა სისხლის სამართლის დანაშაულთა კატეგორიას იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც დადებულია ავსტრიასა და შვეიცარიას შორის [illegible] ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს). ავსტრია-შვეიცარიის ხელშეკრულების მიხედვით პოლიტიკურ დამნაშავეთა გაცემა არ შეიძლება. (ადს).

პენსილვანიის მემაღაროეთა ბრძოლა

ნიუ-იორკი. 3 მაისი. მემაღაროეთა ბრძოლა პენსილვანიაში არ ნელდება. პოლიცია შლის კრებებს, რომლებსაც იწვევს პროფკავშირთა ხსნის კომიტეტი, და აპატიმრებს მემარცხენე ლიდერებს. პროფკავშირთა ბიუროკრატია კავშირიდან აძევებს კომიტეტის მომხრეებს და რწმუნებებს ართმევს იმ კომიტეტებს, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მემარცხენე ლიდერები. ქვანახშირის მრეწველთა კამპანიები გაფიცულთა, ოჯახებს ასახლებენ იმ სახლებიდან, რომლებიც ეკუთვნის კამპანიას. მკაცრმა სიცივეებმა გააძლიერეს მემაღაროეთა ტანჯვა. მაგრამ პიკეტების მოქმედება გრძელდება. მემაღაროეთა რეაქციონური ლიდერები ავრცელებენ ხმებს, რომ თითქოს ჩრდილოეთ-ამერიკაში გამოგზავნილია მილიონობით დოლარები, რათა „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსებული იქნეს საბჭოთა რესპუბლიკა მემაღაროეთა კავშირის ხელში ჩაგდების საშუალებით". (ადს).

იაპონიაში

[illegible] „გამომჟღავნებანი"

ტოკიო, 3 მაისი. „ხოჩი", ემყარება რა კუბოტის „გამომჟღავნებებს" (კუბოტი ცნობილია არა ერთი გამოსვლებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რუს თეთრგვარდიელ ემიგრანტებთან კავშირით), ამტკიცებს, რომ „რევოლიუციონური წიგნი იაპონიის შესახებ" დაწერილია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელ ტროიანოვსკის მიერ. გაზეთის აზრით, იაპონიის პრემიერის განცხადება, რომ წიგნი დაწერილია ცნობილ ორიენტალისტ ტროიანოვსკის მიერ, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში ცხოვრობს, სინამდვილეს არ შეეფერება. (ადს).

სუზუკის გადადგომა

ტოკიო, 3 მაისი. შვიდმა ადგილობრივმა გაზეთმა წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო მემორანდუმი, რომელშიაც მოითხოვენ შინაგან საქმეთა მინისტრ სუზუკის და ტოკიოს პოლიციის უფროსის მაცას გადადგომას იმ ძალადობასთან დაკავშირებით, რომელიც მოახდინა პოლიციამ ჟურნალისტების მიმართ, პროლეტარულ პარტიების მიერ ტანაკას კაბინეტის წინააღმდეგ გამართულ მიტინგზე. ყველა გაზეთებმა და დეპეშათა სააგენტოებმა გამოაქვეყნეს საერთო პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც ახშობს პრესის თავისუფლებას. (ადს).

ტოკიო, 3 მაისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა სუზუკიმ გადასცა პრემიერს თხოვნა გადადგომის შესახებ. მოელიან, რომ კაბინეტის სრული რეორგანიზაცია მოხდება პარლამენტის სესიის დამთავრების შემდეგ. (ადს).

სუზუკის გადადგომა მიღებულია

ტოკიო, 3 მაისი იმპერატორმა დაამტკიცა შინაგან საქმეთა მინისტრ სუზუკის გადადგომა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად დანიშნა პრემიერი ტანაკა. (ადს).

მუდმივი მშვიდობიანობა

იურისტების კონფერენციაზე

ლონდონი, 3 მაისი. „დეილი ტელეგრაფ"-ის ცნობით, ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს მოიწვიოს ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატების, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ინგლისის და საფრანგეთის იურისტების კონფერენცია კელოგისა და ბრიანის პროექტების შესასწავლად და წინადადების გამოსამუშავებლად ომის ამკრძალავ მრავალმხრივ ხელშეკრულების შესახებ. იტყობინებიან, რომ გერმანიამ თანხმობა განაცხადა ინგლისის წინადადებაზე. (ადს).

მოლაპარაკება გერმანიასა და ლიტვას შორის

ბერლინი, 3 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის ცნობით, სამეურნეო მოლაპარაკებაში გერმანიასა და ლიტვას შორის, რომელიც სწარმოებს ბერლინში, მიღწეულია პრინციპიალური შეთანხმება მთელ რიგ მეორეხარისხოვან საკითხებზე. ამ კვირის ბოლოს დაიწყება ეკონომიური ხელშეკრულების საკითხის გარჩევა. გერმანიის წრეებში გამოსთქვამენ იმედს, რომ შეთანხმება ამ საკითხშიაც იქნება მიღწეული. (ადს).

გერმანიის კომპარტიის

ცეკას საქმე გადადებულია

ბერლინი, 3 მაისი. გერმანიის კომპარტიის 1923 წელში მოწვეულ ყრილობაზე არჩეულ ცეკას საქმე, რომლის გარჩევაც 9 მაისისათვის იყო დანიშნული, გადაიდო, ვინაიდან არ აღმოჩნდა ბრალდებულები (ადს).

გადახრა მარჯვნივ

რომი, 3 მაისი. იტალიის გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ საფრანგეთის პარლამენტის გამემარჯვენება თავის გამოხატულებას ჰპოვებს უსათუოდ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში. იტალიის გაზეთების პარიზელი კორესპონდენტების ცნობით მოსალოდნელია ბრიანის გადადგომა. ბრიანს როგორც იუწყებიან, შესცვლის პუანკარე.

რეფორმისტები—მკვლელები

ნიუ-იორკი, 3 მაისი. მექსიკოდან იუწყებიან, რომ ორიზაბაში მექსიკის შრომის ფედერაციის (რეფორმისტული) მთვრალ წევრთა ერთმა ჯგუფმა მოჰკლა კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მდივანი მაურო ტობონი. მთვრალმა ხულიგნებმა კომპარტიის კომიტეტის შენობის კარებიდან და ფანჯრებიდან ასტეხეს სროლა იმ დროს, როცა ცეკას ჰქონდა სხდომა. ხელისუფლებამ არ დააპატიმრა ტობონის მკვლელები, თუმცა თავდამსხმელთა გვარები გამოაცხადა.

კომპარტიამ კომუნისტურ ორგანიზაციებს დაუგზავნა მიწერილობა მოაწყონ დაცვის კომიტეტები მთელ მექსიკაში. ფედერაციის წევრებმა მოახდინეს თავდასხმა აგრეთვე მემარცხენე მუშათა ჯგუფის ორგანოს — „ლიაფლება"-ს რედაქციაზე. (ადს).

ნობილეს გადაფრენა ჩრდილოეთ-პოლიუსზე

ბერლინი, 3 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ დირიჟაბლი „იტალია" 3 მაისს დილით გენერალ ნობილეს მეთაურობით შტოლპიდან (პომერანია) გაფრინდა შპიცბერგენზე. (ადს).

სტოკჰოლმი, 3 მაისი. შვეციის სააგენტო იუწყება, რომ დირიჟაბლი „იტალია" დილის 11 საათზე გადაუფრინდა სტოკჰოლმზე. (ადს).

სტოკჰოლმი, 3 მაისი. 3 მაისს საღამოს 8 საათამდე ხერნოსანდის რადიო-ტელეგრაფის სადგური, რომელიც მდებარეობს 500 კილომეტრის მანძილზე სტოკჰოლმის ჩრდილოეთით, ადვილად იჭერდა კავშირს „იტალია"-სთან, რომელიც მიფრინავს ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ, საღამოს 11 საათზე „იტალია" შეამჩნიეს გამლაკერბის მიდამოებში (ფინეთი). „იტალია" მიფრინავდა ჩრდილოეთისაკენ დაახლოებით 100 კილომეტრის სისწრაფით საათში. (ადს).

ელექტრო-ტეხნიკური და თბოტეხნიკური ყრილობები

მოსკოვი, 4 მაისი 3 მაისს შესდგა მე-9 ელექტრო-ტეხნიკურ და მე-4 თბოტეხნიკურ ყრილობების გაერთიანებული სხდომა. ყრილობებზე მონაწილეობას იღებს 2.000 დელეგატი—ცენტრალურ და ადგილობრივ სამეცნიერო ორგანიზაციების, უმაღლეს სასწავლებლების, უდიდეს წარმოებათა და სხვ. წარმომადგენლები. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. კრჟიჟანოვსკი, მის მოადგილეებად—პროფესორები ოსადჩი და რამზინი.

თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. კრჟიჟანოვსკიმ გამოაქვეყნა ამხ. რიკოვის მისასალმებელი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, რომელიც დაიწყო ვლადიმერ ილიჩ ლენინის თაოსნობით განსაკუთრებით მძიმე პირობებში, [illegible] კოლებების მიუხედავათ, ელექტროფიკაციის გეგმასთან დაკავშირებულ უდიდეს საამშენებლო სამუშაოთა საბოლოო დამთავრება ახლო მომავლის საქმეა. მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის ყოველმხრივი და სწრაფი განვითარების ამოცანის გადაჭრა და სოფლის მეურნეობის საფუძვლების რადიკალური გადაკეთება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მძლავრი ენერგეტიკის განვითარებით. ეხლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა გაერთიანებული შეთანხმებული მუშაობა ყველა ელექტრო-ტეხნიკოსებისა და თბოტეხნიკოსებისა, რომლებიც მუშაობენ ინდუსტრიალიზაციის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაჭრელად".

შემდეგ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ გააკეთა მოხსენება ენერგეტიულ მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ. ეხება რა თავის მოხსენებაში ენერგეტიკის განვითარების ხასიათს ჩვენში და კაპიტალისტურ ქვეყნებში, ამხ. კრჟიჟანოვსკი აღნიშნავს, რომ ენერგეტიკის დარგში ჩვენ გვაქვს უდიდესი უპირატესობანი, რომლებიც სრულებით არა აქვს ბურჟუაზიულ სამყაროს. მიუხედავათ ჩვენი შედარებითი სი[illegible]ბის ისეთ ხარისხს, რომელიც მიუწვდომელია დასავლეთის სხვა ქვეყნებისათვის.

თავისი მოხსენება ამხ. კრჟიჟანოვსკიმ დაამთავრა ჩვენი და სხვა ქვეყნების ენერგეტიულ რესურსების დახასიათებით.

შემდეგში ყრილობები ცალ-ცალკე განაგრძობენ თავის მუშაობას. (ადს).

საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალთა შემსწავლელი კონფერენცია

მოსკოვი, 4 მაისი. დამთავრდა საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალების შემსწავლელი კონფერენცია, რომელმაც აუცილებლად აღიარა მტკიცე თეორეტიული მუშაობის წარმოება მხარეთა შემსწავლელ ორგანიზაციების დახმარებით, კომუნისტურ აკადემიასა და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მჭიდრო კავშირის დაჭერა და სხ. კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებები ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში სამეცნიერო კვლევა-ძიების განვითარებისა, მხარეთა შემსწავლელ ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევისა და ბუნების ხელუხლებელ ძეგლების დაცვა-გამრავლების შესახებ. (ადს).

პარტიული ცხოვრება

კარლ რადეკი [illegible]

მოსკოვი, 3 მაისი. ტობოლსკიდან: ვთხოვ „პრავდა"-ს და „როტე ფანე"-ს რედაქციებს დაბეჭდონ შემდეგი განცხადება: გერმანიის კომპარტიის კანდიდატურებისათვის ლენინბუნდის კანდიდატურების დაპირისპირება ნიშნავს მეორე პარტიის შექმნას. ეს ნაბიჯი ვერ გამართლდება გერმანიის კომპარტიის დამოკიდებულებით ლენინბუნდის მიმართ. მე ვგმობ ასეთ პოლიტიკას და ვფიქრობ, რომ გერმანიის ყოველმა რევოლიუციონერმა მუშამ, უნდა შეინარჩუნოს რა ხელმძღვანელობის შეცდომათა კრიტიკის უფლება, არამც თუ უნდა მისცეს ხმა გერმანიის კომპარტიის კანდიდატებს, არამედ ყოველნაირად უნდა დაეხმაროს მას გერმანიის ბურჟუაზიასთან და სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლაში. კარლ რადეკი".

„პრავდა"-ს რედაქცია აქვეყნებს ამ დეპეშას და შენიშვნაში აღნიშნავს, რომ, მისი ცნობების მიხედვით, რადეკმა დეპეშა პირველად ტროცკის გაუგზავნა, მაგრამ, როგორც სჩანს, ტროცკიმ ამ დეპეშას ხელი არ მოაწერა.

მასიურ პოლიტიკური მუშაობა შვებულებაში მიმავალთა შორის

ამ დღეებში საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილებამ დაუგზავნა ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს ცირკულიარი შვებულთა შორის მუშაობის შესახებ.

მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით — ნათქვამია ცირკულიარში,— უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა შვებულებაში მიმავალი მუშების გამოყენებას სოციალისტური მშენებლობის მთელ რიგ ამოცანების განხორციელების საქმეში სოფლად.

პარტ-ორგანიზაციები, განსაკუთრებით უჯრედები ეხლავე უნდა შეუდგნენ შვებულებათა კამპანიისათვის მზადებას და უზრუნველჰყონ იგი პარტიული ხელმძღვანელობით. კამპანიას წარსულთან შედარებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პროფესიონალურმა, საშეფო და საბჭოთა ორგანიზაციებმაც.

შვებულებაში მიმავალთა შორის მუშაობაში ძირითად ამოცანებათ უნდა დაისახოს:

ა) ხელის შეწყობა გლეხურ მეურნეობათა კოოპერატიული შეკავშირებისათვის, მისი ინტენსიფიკაციისა და მანქანიზაციისათვის.

ბ) სოფლის საბჭოთა აპარატის განმტკიცება [illegible], ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივის დარაზმვით საბჭოების, კოოპერატივების და სხვ. გარშემო.

გ) კულტურული მშენებლობის გაძლიერება გლეხთა მასების თვითმოქმედების აწევის საფუძველზე და სხვა.

მთელი კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა შვებულთა შორის უნდა სწარმოებდეს თვით შვებულებაში მიმავალთა გამოცდილებისა და იმ რაიონების ამოცანათა მიხედვით, სადაც მიემგზავრებიან შვებულები.

კამპანიის დროს უნდა ვეცადოთ მუშა-მოსამსახურეთა გრძელ კრებებს და გამოვიყენოთ მუშაობის უფრო ცოცხალი ფორმები, როგორიცაა საკონსულტაციო მუშაობა, კითხვა-პასუხის საღამოები, ექსკურსიები.

შვებულთა მომზადების ძირითადი ამოცანა წინ უნდა დაისახოს საშეფო საზოგადოებებს, ამავე დროს საჭიროა პროფკავშირებმა გააძლიერონ პრაქტიკული დახმარება შეფორგანიზაციას. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს თანხების გადადებაში, ლიტერატურის შეძენაში და სხვა.

შვებულებების დასრულების შემდეგ ჯამი უნდა გაუკეთდეს შვებულთა მუშაობას და მათ მიერ შეგროვილი მასალა უნდა გადაეცეს გამოსაყენებლად სათანადო ორგანოებს (მუშათა და გლ. ინსპექცია, პრესა).

რა აფერხებს მუშაობას პიონერთა შორის

პიონერთა კოლექტივის ხელმძღვანელებისაგან დღეს ხშირად გაიგონებთ ასეთ საჩივარს: ჩვენ ყველანი ყველაფერს გვთხოვენ. კომკავშირის უჯრედი, პიონერთა ბიურო, პარტუჯრედი, მშობლები და სხვები პიონერ-ორგანიზაციის ნაკლზე მიგვითითებენ, მაგრამ დახმარებას მათგან ვღებულობთ ძალიან ცოტას.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ რამოდენიმე შემთხვევები: კომკავშირის უჯრედის ბიუროებისა და მდივნების შესახებ ხელმძღვანელები ლაპარაკობენ— მიხვალ რჩევა-დარიგების მისაღებად, გიპასუხებენ: „შენ უკეთ იცი". დანარჩენი კომკავშირელები ჩვენს მუშაობას სთვლიან უღირსად სერიოზულ კომკავშირელისათვის და სხვა.

ყოველივე ამას ემატება დიდი დატვირთვა, მატერიალურად დაუკმაყოფილობა, სათანადო ლიტერატურის უქონლობა და სხვა.

უჯრედის ბიუროებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები პიონერ-ორგანიზატორთა ხელმძღვანელების განტვირთვისათვის, უნდა გამოჰყონ თავ-დაჭერილი, მომზადებული თანამშრომელნი, უნდა ყოველთვის მოუსმინონ ყურადღებით ხელმძღვანელებს.

კომკავშირის კომიტეტებმა და ბიუროებმა უნდა შექმნან ეხლავე სათანადო პირობები ხელმძღვანელთა სამეცადინოთ.

მასწავლებლებმა, ექიმებმა და აგრონომებმა უნდა გადასცენ მათი ცოდნა ხელმძღვანელებს, მისცენ მითითებანი თუ რა წიგნებით და მასალებით უნდა ისარგებლონ სამკითხველოდან ამა თუ იმ საუბრის ჩატარების დროს.

საჭიროა აგრეთვე, რომ პიონერთა მშობლები დაუკავშირდნენ პიონერ-კოლექტივს და მისცენ ცნობები მათი ბავშვების შესახებ, რათა გაუადვილონ ხელმძღვანელს მუშაობა.

პროფკავშირებმა და საზოგადოებრივ საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა შეუქმნან კოლექტივებს და ხელმძღვანელთა ნორმალური მუშაობისათვის სათანადო მატერიალური პირობები.

საჭიროა, რომ კომკავშირის მასამ მეტი ყურადღებით შეისწავლოს ყველა ჩვენი კონფერენციების, ყრილობების დადგენილებანი ამ დარგში.

ამ პირობების გარეშე ზედმეტია ლაპარაკი პიონერ-ორგანიზაციის წარმატებით მუშაობაზე.

ზ. აბესაძე.

ლენრაიონის აქტივის კრება

გუშინ, 4 მაისს პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა ლენრაიონის აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელ გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე.

მომხსენებელმა ფართოდ გაშუქა პლენუმის დადგენილებები, პურის დამზადების კამპანიის და დონბასის ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის შესახებ. ამხ. ფ. მახარაძემ აქტივის ყურადღება შეაჩერა განსაკუთრებით თვითკრიტიკისა და მუშათა მასების კონტროლის შესახებ—ჩვენს წარმოებებში.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ამხ. მახარაძეს მისცეს მრავალი შეკითხვა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ბეჟუაშვილმა, მოლოზოვმა, ბაკიძემ, მეფარიშვილმა, დუბინამ, გეგელაშვილმა და სხ. ორატორები მოითხოვენ სასტიკ ზომების მიღებას დონბასის ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის მსგავს მოვლენების წინააღმდეგ. ერთ-ერთ ორატორს მოჰყავს მაგალითი, იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში შესაძლებელია ნაწილობრივ იქნეს ადგილი დონბასის შეთქმულების მაგალითის, რადგან აღნიშნულ სახელოსნოს შენობა შენდება, შემდეგ ანგრევენ და ახლად აშენებენ. ნაწილი ორატორებისა აღნიშნავს, რომ ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა მუშა მიუთითებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისაკენ, მაგრამ ადმინისტრატორი ამას ყურადღებას არ აქცევს, გარდა ამისა, როდესაც ადგილობრივი [illegible] კურსს ამთავრებენ, სამუშაოდ მიდიან ლენინგრადში და სხვაგან. ეს ამ დროს, როცა მათი გამოყენება საქართველოში შეიძლება.

ამხ. ფ. მახარაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

ი. ჯავ—ი.

მე-4 რაიონის უჯრ. მდივანთა თათბირი

გუშინ, საღამოს 6 საათზე შესდგა ქალაქის რაიონის უჯრედთა მდივნების თათბირი, რომლის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: ა) მოხსენება ბიუროების გადარჩევის შესახებ და ბ) შტატ-გარეშე ინსტრუქტორების საქმიანობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. კურდიავცევმა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მომავალი გადარჩევის დროს ფართოდ უნდა გაიშალოს ნაკლოვანებათა საქმიანი თვითკრიტიკა.

მეორე საკითხზე მოკლე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. ტინტიკოვი.

იმართება კამათი.

— შტატ-გარეშე ინსტრუქტორთა მუშაობის შედეგი პერიოდულად უნდა ეცნობოს რაიონულ კომიტეტს;

— ნებაყოფლობითი ინსტრუქტორები უნდა განთავისუფლდნენ სხვა პარტმოვალეობათაგან;

— საჭიროა რაიკომის აპარატმა თავისი საქმიანობა შეუფარდოს მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს—აღნიშნავდნენ კამათში გამოსული ამხანაგები.

კაუცკი კ. მარქსის წინააღმდეგ

(კ. კაუცკის ახალი წიგნის გამო: „მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე" *).

მსოფლიო ომის დაწყების დღიდან, როცა კაუცკის სახელი რევოლიუციონური მუშებისათვის ღალატის სინონიმათ გადაიქცა, არ არსებობს არც ერთი დანაშაული რევოლიუციისა და პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელიც II ინტერნაციონალის ამ იდეოლოგიურ ხელმძღვანელს მაშინვე თავისი თეორიით არ დაეფარის. 1914 წლის 4 აგვისტოდან, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ვილჰელმის ბრძანებით მრავალი მილიონი მუშა და გლეხი სასაკლაოზე გაგზავნა, 1919 და 1920 წლების განმავლობაში, როცა სოციალ-დემოკრატიამ ნოსკეს ხელებით გერმანიის რევოლიუცია ჩაახრჩო, დღევანდელ დღემდე, როცა იგი ჰილფერდინგისა და შტამპფერის მსგავს გახრწნილი არამზადების სახით მოწინავე როლს ასრულებს იმ სამხედრო ინტერვენციის მომზადებაში, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არის მიმართული, — როგორც გერმანიის, ისე მთელი მსოფლიოს რეფორმისტებს კაუცკი ყოველთვის მათი „სახელოვანი" საქმეების თეორეტიულ დასაბუთებასა და გამართლებას აწოდებდა. მისი პოზიცია მეორე ინტერნაციონალის ღირსეულ განსახიერებასა და იდეალს წარმოადგენს.

წარსული წლის დასასრულს კაუცკიმ ახალი დიდი წიგნი გამოსცა მატერიალისტური მსოფლმხედველობის შესახებ. ეს კაცი, რომელიც ერთ დროს უდიდეს ავტორიტეტათ ითვლებოდა მარქსიზმის დარგში, ახლა მარქსიზმს ანადგურებს მთელს ხაზზე. დაწყებული „პირველყოფილი ქაოსიდან" თუ „ბუნებიდან" სახელმწიფოსა და რევოლიუციის თეორიამდე. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქო კაუცკი ყოველივეს გულახდილათ ამჟღავნებდეს. პირიქით, იგი სცდილობს თავისი დაშორება მარქსიზმიდან შეძლებისამებრ დაჰფაროს და სადაც შემთხვევა ხელს უწყობს, თავისი მარქსისტული აზროვნების სინაღდე ციტატებით, მითითებით და „ჩვენი მასწავლებლების" წინაშე მოკრძალების გამოცხადებით გამოაშკარაოს. მაგრამ არსებითად ეს იაფფასიანი მარქსისა და ენგელსის სახელებისადმი მიძღვნილი კომპლიმენტები არაფერს სცვლიან. კაუცკიმ არა თუ გასწყვიტა კავშირი მარქსიზმთან, იგი მის ყველაზე სახიფათო და ყველაზე გაბოროტებულ მტრათ იქცა.

მარქსიზმის დედაბოძს წარმოადგენს მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ეს მოძღვრება ცენტრალური და გადამწყვეტი მნიშვნელობის დასკვნაა მარქსის მატერიალისტური შეხედულებისა ისტორიაზე. ხოლო კაუცკის მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე სავსებით პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგაა მიმართული. მარქსიზმი მეცნიერულათ ამტკიცებს და თეორიულათ ასაბუთებს სოციალური რევოლიუციის აუცილებლობას. კაუცკი თავის წიგნში ყოველივე შესაძლებელს და შეუძლებელს სჩადის, რათა დაამტკიცოს, რომ სოციალისტური რევოლიუცია არაა აუცილებელი. მარქსი მუშებს ყოველთვის ასწავლიდა, რომ ძალდატანება (die gewalt) ისტორიის ბებია ქალიათ და მთელი თავისი სიცოცხლით და მოღვაწეობით პროლეტარიატს იმ დიდი „ძალდატანების აქტისთვის" ამზადებდა, რომლითაც ისტორიის გარდაქმნა უნდა დაწყებულიყო. კაუცკიმ თავისი ახალი წიგნი დასწერა მხოლოდ იმ მიზნით, რათა დაამტკიცოს, რომ არავითარი ძალმომრეობა არაა საჭირო, რომ პროლეტარიატი წყნარათ და მშვიდობიანათ, ზედმეტი უწესოებისა და მღელვარების გარეშე, დემოკრატიის გზით სოციალიზმში შესრიალდება. მარქსიზმი პროლეტარული რევოლიუციისა და პროლეტარიატის რევოლიუციური დიქტატურის მეცნიერული თეორიაა. ხოლო კაუცკის „მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე" წარმოადგენს ბურჟუაზიული დემოკრატიის აპოლოგეტიკას (ქება-დიდებას), რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც რევოლიუციასთან და არც მეცნიერებასთან.

1.

დემოკრატიული სახელმწიფო

სახელმწიფო მხოლოდ ძალდატანების ინსტრუმენტია გაბატონებული კლასის ხელში და მეტი არაფერი. ეს არის მარქსიზმის ერთი ძირითადი, შეურყეველი და საყოველთაოდ ცნობილი დებულება. კაუცკიც ეთანხმება ამ დებულებას, რამდენადაც იგი ძველ ეგვიპტეს, ძველ საბერძნეთს, ძველ რომს, საშუალო საუკუნეების ევროპას ან კაპიტალისტური ეპოქის დასაწყისის ნახევრად ფეოდალურ წესწყობილებას შეეხება.

„მე ვეთანხმები იმ შეხედულებას სახელმწიფოზე, რომელიც მარქსისა და ენგელსის იდეების განვითარებას წარმოადგენსო".

მაგრამ უფრო არსებითი მნიშვნელობა შემდეგ დებულებებს აქვს:

„მას შემდეგ რაც ენგელსმა თავისი აზრი უკანასკნელათ გამოსთქვა სახელმწიფოს შესახებ მეოთხედ საუკუნეზე მეტმა განვლო, ამ ხანს არ შეეძლო შეუცვლელათ დაეტოვებინა თანამედროვე სახელმწიფოს ხასიათი. განსაკუთრებულ გამოკვლევას თხოულობს ის საკითხი, გამოდგება თუ არა დღესაც შეუსწორებლათ მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემული დახასიათება სახელმწიფოსი, რომელიც მათი დროისთვის სავსებით მისაღები იყო". (II, გვ. 59).

ამ კვლევა-ძიებას კაუცკი მიჰყავს ქვეყნის შემძრწუნებელ აღმოჩენამდე, რომლის გულისთვისაც არის არსებითად მთელი წიგნი დაწერილი: გამოდის, რომ სახელმწიფოს დახასიათება როგორც ჩაგვრის ორგანოსი ყოველ სახელმწიფოს შეეფერება, მხოლოდ ერთად ერთის გამონაკლისის თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფო წარმოადგენს. თანამედროვე კაპიტალისტურ სახელმწიფოში დემოკრატია მეფობს და ეს სცვლის მდგომარეობას არსებითადო:

„პირველათ სახელმწიფოს შექმნის შემდეგ,—აცხადებს კაუცკი,— პირველათ სახელმწიფოს ისტორიაში თანამედროვე დემოკრატიას შეაქვს სრული თანასწორუფლებიანობა ყველა მოზრდილ მოქალაქისთვის, საზოგადოების ყველა მოზრდილ წევრისთვის. ეს განასხვავებს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს ძირიან-ფესვიანათ ყველა წინანდელ სახელმწიფოებისაგანო". (II, გვ. 428).

კაუცკის მაინც იმდენი გულწრფელობა კიდევ შერჩენია, რომ აღიარებს: „პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა თავისთავად როდი სპობს ექსპლოატაციასო". (II, გვ. 428). შემდეგ „სახელმწიფო დღემდე ექსპლოატატორი კლასების ხელში რჩება და მისი აპარატი ექსპლოატაციის სისტემის შენარჩუნებას ემსახურებაო". (II, გვ. 459). ამის და მიუხედავათ ჩვენი „მარქსისტი" სასაცილოდ სთვლის ადამიანებს, რომელნიც ფორმალური, ბურჟუაზიული დემოკრატიის შესახებ ლაპარაკობენ.

„რომ სიტყვები „ფორმალური" და „ბურჟუაზიული" ამ ურთიერთობაში სასაცილოა ეს გამოჩნდება მაშინვე, როგორც კი ცალკე ჩამოვთვლით დემოკრატიულ უფლებებს. შეიძლება ფორმალურ ან ბურჟუაზიულ საყოველთაო საიდუმლო ხმის უფლებაზე ლაპარაკი? ან ფორმალურ და ბურჟუაზიულ კოალიციურ უფლებასა, კავშირის უფლებასა, კრების უფლებასა, პრესის უფლებასა და სხვაზე?.. იქ, სადაც დემოკრატიული უფლებები სავსებით ძალაში არიან, დიდი უკუღმართობაა ფორმალურ დემოკრატიაზე ლაპარაკი, რა კი მარტო მისი არსებობა არ სპობს ყველა კლასობრივ განსხვავებასო". (II, გვ. 429).

„თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო იმით განსხვავდება წინანდელი სახელმწიფოებისაგან — ვკითხულობთ მეორე ადგილას, რომ სახელმწიფოს აპარატის გამოყენება ექსპლოატატორი კლასების მიზნებისთვის არ ეკუთვნის მის არსებით თვისებებს, გამოუთიშავათ შეკავშირებული არ არის მასთანო. პირიქით, დემოკრატიული სახელმწიფო თავისი ხასიათით იქით არის მიმართული, რომ უმცირესობის ორგანოთ კი არ დარჩეს წინანდელი სახელმწიფოების მსგავსათ, არამედ მოსახლეობის უმრავლესობის, ე. ი. მშრომელი კლასების ორგანოთ გადაიქცესო". (II, გვ. 598).

ამრიგად ერთი მხრით სახელმწიფო დღემდე ექსპლოატატორი კლასების ხელში ყოფილა ხოლო. მეორე მხრით უკუღმართობაა ფორმალურ დემოკრატიაზე ლაპარაკი. როგორ უნდა გავიგოთ ეს, როგორ დავაღწიოთ თავი ამ წინააღმდეგობას?

ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ხასიათი დამოკიდებულია იმ კლასზე, რომლის ინტერესებსაც იგი ემსახურება. კაუცკიც აღიარებს, რომ თანამედროვე სახელმწიფო ექსპლოატატორი კლასების ხელშია, რომ იგი ექსპლოატატორთა ინტერესებს ემსახურება და მშრომელი ხალხის დაჩაგვრის იარაღს წარმოადგენს; მაგრამ ამის და მიუხედავად იგი უსირცხვილოდ ამტკიცებს, რომ ეს კაპიტალისტური ინტერესების მოსამსახურე სახელმწიფო ფორმალურათ დემოკრატიული ან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კი არა, ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოაო. ხოლო ნამდვილი და არა მარტო ფორმალური დემოკრატია წარმოადგენს ხალხის ბატონობას წინააღმდეგ ერთი მუჭა ექსპლოატატორთა ბატონობისა, და კაუცკი წარბშეუხრელათ ლაპარაკობს დემოკრატიისა, შრომელი უმრავლესობის ბატონობაზე ისეთ სახელმწიფოში, რომელიც მისივე საკუთარი თქმით ექსპლოატატორთა ინსტრუმენტია. განა შეიძლება უფრო დიდი უაზრობის, უფრო მწარე დაცინვის წარმოდგენა? ესაა დაცინვა არა მარტო მარქსიზმისა, არამედ ყოველი უბრალო მუშის საღი გონებისა.

უკანასკნელათ მოყვანილ ციტატში კაუცკი ამბობს, რომ „თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს აპარატის გამოყენება ექსპლოატატორი კლასების მიზნებისთვის არ ეკუთვნის მის არსებით თვისებებსო", თუ კაცი ბუნებრივათ იმ თვალსაზრისზე დადგება, რომ სახელმწიფოს არსება მისი კლასობრივი შინაარსით არ განისაზღვრება, მას შეუძლია გაბედოს იმის აღიარება, რომ ჰინდენბურგისა და ბურჟუაზიული ბლოკის გერმანია, პუანკარეს საფრანგეთი და ბირკენჰედისა და ჯიქსების ინგლისი შეურყეველი დემოკრატიული სახელმწიფოები არიან. კაუცკის სურს დაგვიმტკიცოს, რომ თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს დემოკრატია უბრალო „ფორმალური" დემოკრატია არ არისო. ამ მიზნის მისაღწევათ იგი აფუჩეჩებს სახელმწიფოს კლასობრივ შინაარსს, მხოლოდ დემოკრატიულ ფორმას აქცევს ყურადღებას, ამ ფორმას ათამაშებს ჯამბაზივით და გაიძახის: „ეს ფორმა თვითვე შინაარსიაო; ხოლო რაც შეეხება ნამდვილ შინაარსს, იგი საქმის ვითარებას არ ეკუთვნისო".

მხიარულ კაუცკის სურს „სასაცილო ამბებით" დასცინოს მარქსისტებს და მეტად თვალთმაქცურ კითხვებს აძლევს მათ: „განა შეიძლება ფორმალური ანუ ბურჟუაზიული საყოველთაო და ფარული ხმის უფლებაზე ლაპარაკი? ან ფორმალური და ბურჟუაზიული კოალიციური უფლებასა, კავშირის უფლებასა, კრების უფლებასა და პრესის უფლებაზეო?"

ამ კითხვების დასმა გვიჩვენებს რაოდ დარჩენილა მარქსისტული აზროვნებიდან ამ სოციალ-დემოკრატ რენეგატის თავში? ყოველი პროლეტარი ამ კითხვებს ასე შეაბრუნებდა: კლასობრივი დაჩაგვრა პროლეტარიატისა ბურჟუაზიის მიერ ფაქტია. ამ ჩაგვრის იარაღი სახელმწიფოა. მართალია სახელმწიფოში „დემოკრატია" არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლებით. საყოველთაო საარჩევნო უფლების შემწეობით ბურჟუაზია ინარჩუნებს თავისი სახელმწიფოებრივი აპარატის პრესტიჟს. საყოველთაო ხმის უფლება ერთი იმ საშუალებათაგანია, რომლითაც ექსპლოატატორთა პატარა ჯგუფი იმორჩილებს ხალხის ფართო მასებს. სხვა საკითხია რა მეთოდებით აღწევს ბურჟუაზია საყოველთაო ხმის უფლების ასეთ გამოყენებას, რა როლს ასრულებს ამ მხრივ სკოლა, ეკლესია, პრესა, ეკონომიური ძალდატანება, მუშათა „ბელადების" მოსყიდვა, სოციალ-დემოკრატია და სხვ., მაგრამ სანამ ეკონომიური ექსპლოატაცია არსებობს, ეს თანასწორუფლებიანობა ფორმალური რჩება, მიტომ, რომ სახელმწიფო საყოველთაო ხმის უფლების შემოღების შემდეგაც, ისევე როგორც მის შემოღებამდე, ექსპლოატატორული უმცირესობის ინტერესებს ემსახურება ჩაგრული უმრავლესობის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატი რენეგატი კი საგნებს თავდაყირა აყენებს. მართლაც რა უნდა სთქვას ადამიანმა, ამ „მოსაზრების" გამო: ექსპლოატაცია და კლასობრივი ჩაგვრა ფაქტია; მაგრამ რადგან საყოველთაო ხმის უფლებაც ფაქტია, ამიტომ სახელმწიფო, რომელიც ამ კლასობრივი ჩაგვრის იარაღს წარმოადგენს, დემოკრატიული სახელმწიფოა და ამ დემოკრატიის ფორმალობაზე ლაპარაკი „სასაცილოც" არის და „უკუღმართობაც!"

1918 წლის ნოემბრის 9-დე პრუსიის პოლიციას ვილჰელმის მიერ დანიშნული მინისტრები განაგებდნენ. დღეს ამ პოლიციის სათავეში ბატონი კაუცკის პარტიული ამხანაგები დგანან. ამის და მიუხედავათ პრუსიის პოლიცია როგორც წინათ, ისე დღესაც მხოლოდ ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის საშუალება, მხოლოდ ეკონომიური ექსპლოატაციის პოლიტიკური ინსტრუმენტია. შეიცვალა თუ არა მისი ფუნქცია? ფორმალურათ შეიცვალა, მიტომ, რომ პოლიცია ახლა ვალდებულია დაიცვას არა პრუსიის სამეფო, არამედ პრუსიის რესპუბლიკა. ფაქტიურად კი როგორ-ღაა საქმე? ფაქტიურათ ბატონ კაუცკის მეგობრები იმავე როლს ასრულებენ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის წარმოებულ ბრძოლაში, როგორსაც იმპერატორისა და მეფის მინისტრები ასრულებდნენ.

რევოლიუციონერი მუშები ნათლათ ხედავენ, რომ სანამ ეკონომიური უთანასწორობა და კლასობრივი ექსპლოატაცია არსებობს, სანამ საწარმოვო საშუალებათა საკუთრება ბურჟუაზიის მონოპოლიას წარმოადგენს, საყოველთაო არჩევნებით შექმნილი „დემოკრატია" ფორმალური, ბურჟუაზიული დემოკრატია და მეტი არაფერი. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოს ჩარჩოებში, სანამ ეს კაპიტალისტური სახელმწიფო არსებობს, ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ საყოველთაო ხმის უფლების გამოყენებაზე და კიდევ, როცა ეს საჭიროა, ბრძოლაზე საყოველთაო ხმის უფლებისთვის? რასაკვირველია არა. საყოველთაო ხმის უფლებას არ ძალუძს კაპიტალიზმის განადგურება, მაშასადამე მას არ ძალუძს არც ნამდვილი პროლეტარული დემოკრატიის შექმნა. მაგრამ კაპიტალიზმის ჩარჩოებში შეიძლება მისი გამოყენება პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების ასაწევათ, მისი პოლიტიკური აქტიურობის გასაძლიერებლათ, მასების შესაკრებათ და დასარაზმავათ.

მაგრამ როცა სოციალ-დემოკრატი რენეგატები ამტკიცებენ „დემოკრატია თვით იძლევა შესაძლებლობას მსხვილი ექსპლოატატორების პოლიტიკური ძლიერების ფესვების ამოსაგდებათო", როცა კაუცკი სწერს: „სახელმწიფოებრივი აპარატი ზოგიერთ პირობებში ჩაგვრის იარაღიდან განთავისუფლების იარაღათ იქცევაო", ეს არის არა მარტო გასამტერებელი უაზრობა,— არამედ პირდაპირი ღალატი, მუშათა კლასის გასულელებისა და მოდუნების ცდა, რომელიც ბურჟუაზიის შეგნებულ აგენტებს შეეფერება.

მაგრამ სწორეთ ამაზეა დაფუძნებული კარლ კაუცკის მთელი თეორია, თეორია „შეზრდისა სოციალიზმში" ურევოლიუციოთ, უდიქტატუროთ, თანამედროვე „დემოკრატიის" შემწეობით.

II

„დემოკრატიული შეზრდა სოციალიზმში"

ჩვენ დავინახეთ, რომ კაუცკი, „სასაცილოთ" და „უკუღმართოთ" სთვლის დღევანდელი „დემოკრატიის" ფორმალურ და ბურჟუაზიულ ხასიათზე ლაპარაკს. დაე ფაბრიკები, მაღაროები, ბანკები, მიწა კაპიტალისტების ხელში იყოს დაე მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი, ჯარი, სასამართლო, პოლიცია, სკოლა, პრესა ემსახურებოდეს მშრომელთა ექსპლოატაციას ერთი მუჭა ინდუსტრიული მაგნატებისა და ბანკირ სპეკულიანტების მიერ, საყოველთაო საარჩევნო უფლება ხომ მაინც არსებობს, ეს კი სრულიად საკმაოა, რომ დღევანდელ კაპიტალისტურ სახელმწიფოს დემოკრატიული სახელმწიფო ვუწოდოთ ე. ი. ისეთი სახელმწიფო, რომელშიც ხალხი ბატონობს. კაუცკიმ, რასაკვირველია, ძლიერ კარგათ იცის, რომ მარქსი და ენგელსი, რომელთაც იგი ურცხვათ „ჩვენს მასწავლებლებს" უწოდებს, ამ საკითხში სულ სხვა აზრისანი იყვნენ. მაგრამ ეს გარემოება მას ნაკლებ აღონებს. „ჩვენი მასწავლებლები" ამ საკითხში—ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში— არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენენ კაუცკისთვის. მიტომ, რომ მათ არასოდეს არ უნახავთ „ნამდვილი" დემოკრატია. წინააღმდეგ ბატონი კაუცკისა, რომელიც მშვიდობიანობითა და სათნოებით სტკბება ივლისის მკვლელებისა და კათოლიკე ხუცესის ზეიპელის სატახტო ქალაქ ვენაში. იგი სწერს:

„როცა მარქსი გარდაიცვალა ინგლისი ჯერ კიდევ ძლიერ დაშორებული იყო საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებას. ამიტომ მარქსის ნაწერები ვერაფერს გვასწავლის კლასობრივი ბრძოლის ხასიათზე სავსებით გაშლილი დემოკრატიის პირობებში. დიდ უაზრობას იჩენენ ის ადამიანები, რომელნიც თავიანთ მარქსიზმს იმით ასაბუთებენ, რომ დემოკრატიის შესახებ ცნობებს იღებენ „კომუნისტური მანიფესტიდან", ეს უკანასკნელი კი თვით 1848 წლის გამოცდილების მიღებამდეა დაწერილი." (ტ. II, გვ. 512).

ამრიგად მას შემდეგ, რაც კაუცკიმ „არქივში გაასწორა" „ჩვენი მასწავლებლების" მოძღვრებასთან კლასობრივი ბრძოლის ფორმების შესახებ და ეს მოძღვრება არქივში გადასცა, იგი თავისი საკუთარი „დემოკრატიული" სახარების გადმოცემას იწყებს:

„დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში—ღაღადებს იგი თავისი ავსტრო-მარქსისტულ-ზეიპელისეული სინაის მთის მწვერვალიდან,— მტკიცე დემოკრატიის არსებობის წყალობით, შეიარაღებულ ბრძოლას ადგილი აღარ აქვს კლასობრივი კონფლიქტების გადაჭრის დროს. ისინი მშვიდობიანათ სწყდებიან პროპაგანდისა და ხმის მიცემის შემწეობით. ნაკლები მნიშვნელობა აქვს თვით მასიური გაფიცვას, როგორც მუშათა კლასის მიერ ხმარებ-

---

*) „Die materialistische Geschichtsauffassung". Zwei Bände, Dietz-Verlag.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის

ჩვენი პრესის მტკივნეული საკითხები

დღეს ჩვენში უფრო მეტს ლაპარაკობენ ნაკლზე, დიდ თუ პატარა შეცდომებზე, ვიდრე მიღწევებზე. ეს იმით აიხსნება, რომ არსებულ პირობებში, როდესაც კომუნისტური პარტია, როგორც ერთად-ერთი პარტია, ხელმძღვანელობს მთელ სახელმწიფოებრივ მუშაობას და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, საჭიროა უფრო მეტად იმაზე ილაპარაკო თუ რა არ კეთდება, სად უმიზნოდ იფლანგება სახელმწიფოებრივი დოვლათი, რა უშლის ხელს მშრომელთა მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, რათა არ მივეცეთ თვით-კმაყოფილებას, კაზიონურ, ყოვლად მავნე დატკბობას.

თვითკრიტიკა არაა ახალი ლოზუნგი. ის კარგა ხანია წამოაყენა ლენინმა, რომელიც ყველაზე მოურიდებელი, დაუზოგველი მხილებელი იყო თავისი პარტიის შეცდომების.

ჩვენი პრესა, რომელიც სისტემატიურად აკრიტიკებს სხვებს, მთელ სახელმწიფოებრივ მუშაობას, სოციალისტურ მშენებლობის ყოველ წვრილმანს, თვით ნაკლებად აკრიტიკებდა საკუთარ თავს, ნაკლებს ლაპარაკობდა საკუთარ შეცდომებზე. ხოლო როდესაც ეხებოდა ამ საკითხს ისიც უმთავრესად ბეჭდვითი სიტყვის დღეს, „საზეიმო“ განწყობილების დროს. ამიტომ პირველი და უმთავრესი, რაიც უნდა გვახსოვდეს და რის შესახებაც არ უნდა მოგვბეზრდეს თავმომაბეზრებელი განმეორებითი ბასი — ესაა ის, რათა თვითკრიტიკას ჩამოვაცილოთ „საზეიმო“ ფორმები, მოვალეობის შესრულების ხასიათი.

ყოველივე ამის შემდეგ გვსურს ორიოდე სიტყვით შევეხოთ არა იმდენათ საკუთარ მიღწევებს, რამდენადაც იმას, თუ რა ვერ გავაკეთეთ ან ძლიერ ცუდად გავაკეთეთ. არ იქნებოდა სწორი საკითხის დასმა ასე: სწორია თუ არა პრესამ კერძოდ ჩვენში. მის წინაშე დასმულ ამოცანებს, რადგან ამ კითხვაზე ერთი, მოკვეთილი და ყოველმხრივ ამომწურავ პასუხის მიცემა შეუძლებელია. საკითხის ასე დასმა არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ამოცანათა, დავალებათა მეტი ნაწილი, რომელიც გასულ წელს იდგა პროლეტარულ ბეჭდვითი სიტყვის წინაშე, თითქმის დღესაც დგას და თავისი სერიოზულობის გამო კიდევ იქნება მთელ რიგ მომავალ წლების განმავლობაში ჩვენი მუშაობის ცენტრში.

ისეთი საკითხები, როგორიცაა ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, წარმოების რაციონალიზაცია, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, ახალი ყოფაცხოვრების შექმნა, ქვეყნის თავდაცვა, ბრძოლა იდეოლოგიურ გადახრებთან და სხ. არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში გადაიჭრას ერთი ან ორი წლის განმავლობაში და სწორედ ამის გამო ვერც პრესა ვერ შეანელებს თავის ყურადღებას ასეთ საკითხებისადმი ხანმოკლე დრო ხანს. მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენ მაინც გვაქვს უფლება მოვითხოვოთ ბეჭდვითი სიტყვას ზოგიერთი შედეგები და მეტად კრიტიკულად შევაფასოთ თითეული მიღწევა.

როგორც საერთო ნაკლი ჩვენი ბეჭდვითი სიტყვისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ მრავალი გატაცებით იწყებს რა ერთი კამპანიის ჩატარებას, ძალაუნებურად ივიწყებს მეორეს, რადგან ვერ აკავშირებს მათ ერთმანეთთან, ვერ ითვალისწინებს ერთის გამოყენებას მეორეს წარმატებით ჩატარებისათვის.

მაგ. ზოგიერთმა გაზეთმა დაიწყო ზედმეტი ხარჯების შემცირების კამპანია, როგორც კი აქტუალურად დაისვა ქვეყნის თავდაცვის საკითხი. „კომუნისტი“ გასული წლის ზაფხულზე დიდ, მეტად დიდ ადგილს უთმობდა ქვეყნის თავდაცვის, მოსახლეობის გასამხედროების საკითხებს. ეს ბუნებრივია, თითქოს ერთის შეხედვით, რადგან გასულ წელს, სხვადასხვა მიზეზების გამო ომის საფრთხე განსაკუთრებით მოახლოვებული იყო და ამიტომ გადმოისროლა პარტიამ ლოზუნგი მუშათა და გლეხთა მასებში ფართო აგიტაციის გასაწევად. ბეჭდვითი სიტყვის წინაშე დაისვა მეტად სერიოზული ამოცანა. საჭირო იყო მუშების და გლეხების დარწმუნება იმაში, რომ კაპიტალისტური მსოფლიო მშრომელთა პირველ ქვეყანაზე თავდასხმის ამზადებს, რომ ჰაერში წამლის სუნი დგას, რომ მოსალოდნელია ოქტომბრის მონაპოვართა საფრთხეში ჩავარდნა. ყოველივე ამის გამო კი საჭიროა თავდაცვისათვის მზადება, რათა მტერს ღირსეული პასუხი გაეცეს.

თავდაცვა კი შესაძლებელია, თუ ჩვენ უკეთ შევაიარაღებთ წითელ ჯარს, მოვამარაგებთ სურსათით, ტანსაცმელით, ავაგებთ თვითმფრინავებს და სხვას. ამას კი ესაჭიროება დიდი თანხები. ხოლო ზედმეტი ხარჯების შემცირება ჩვენ მოგვცემს რამდენიმე ათეულ და ასეულ მილიონ მანეთს მომჭირნეობით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება მოხმარდეს ქვეყნის თავდაცვასაც. მაშასადამე, ბრძოლა ზედმეტი ხარჯების შემცირებისათვის, თანხის მომჭირნეობისათვის, ამავე დროს ზრუნვა ქვეყნის თავდაცვაზე.

კიდევ მაგალითი. ზოგიერთი გაზეთები („ახალი სოფელი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“) დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლად მანქანების გავრცელებას, მაგრამ სათანადო ყურადღებით ვერ ეპყრობიან ჩვენი წარმოების რაციონალიზაციის საკითხს. ეს საკითხები კი ერთმანეთთან მჭიდროთაა გადაბმული. თუ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები უმჯობესად მოეწყობა, თუ მოხდება წარმოების რაციონალიზაცია, მაშინ ყოველი მანქანა, იარაღი ასეთ ქარხნებში დამზადებული უმჯობესი და იაფი იქნება.

გაგვიადვილებს ჩვენ სოფლის მეურნეობის განვითარებას, მიწის დამუშავების პრიმიტიულ საშუალებათა განდევნას სოფლებიდან. სწორედ ამიტომ იყო საჭირო, რათა გაზეთებს ერთმანეთთან დაეკავშირებინათ ეს ორი კამპანია.

შედარებით უმჯობესად იქნა ჩატარებული ჩვენი პრესის მიერ ოპოზიციის საწინააღმდეგო კამპანია. გასულ წელს, როგორც ვიცით, მთელ რიგ საჭირ-ბოროტო ამოცანათა შორის, პარტიის ყველაზე გადაუდებელ ამოცანას შეადგენდა ბრძოლა ოპოზიციის კონტრრევოლუციონურ მუშაობის წინააღმდეგ. საჭირო იყო როგორც პარტიის ყოველი წევრის, ისე მშრომელ მასების წინაშე ოპოზიციის ნამდვილი ბუნების გამომჟღავნება, იმის დამტკიცება, რომ ოპოზიცია დაადგა მენშევიკურ გზას და ამიტომ საჭიროა მისი საბოლოო განადგურება. ეს ამოცანა ჩვენმა პრესამ წარმატებით გადასჭრა, მან უდიდესი სამსახური გაუწია პარტიას ოპოზიციის ყალბი იდეოლოგიის გამოაშკარავებისათვის. ჩვენმა პრესამ დაარწმუნა მთელი პარტიული მასსა და ჩვენი პარტიის ჭირ-ვარამით დაინტერესებული მუშა და მშრომელი გლეხი, რომ ოპოზიცია უკვე წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ძალას, რომელსაც აღარაფერი აქვს საერთო ლენინიზმთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პრესა საქართველოში, სამწუხაროთ, დღემდე ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას მკითხველის მოთხოვნილებებს. საბჭოთა კავშირში მრავალი გაზეთი ატარებს ე. წ. მკითხველთა კონფერენციებს, რომელთაც მეტი დიდი მნიშვნელობა აქვთ ცალკე გაზეთების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და მკითხველთა უმთავრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

მკითხველი ყველაზე უმჯობესად ამჩნევს ნაკლს და მის ღირსებას, მის მოთხოვნებს აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში, გამართა თუ არა „კომუნისტმა“ „მუშამ“ „ახალმა სოფელმა“ მკითხველთა თუ გინდ ერთი კონფერენცია? არა. ასეთი კონფერენციების გამართვა კი საჭირო იყო, რადგანაც დიდ გამოცდილებას შეიძენდა რედაქცია, გამოსწორდებოდა მრავალი ნაკლი, რომელსაც ჩვენი გაზეთების მკითხველნი ამჩნევენ, მაგრამ მოკლებულნი არიან საშუალებას ებაასონ ამის შესახებ რედაქციას.

არ წარმოებს გაზეთების მიერ სათანადო მუშაობა მუშკორებთა შორის, მაშინ როდესაც მუშკორებთა მეოხებით ჩვენ ვარკვევთ უარყოფით მოვლენებს ჩვენს სოფლებში, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვაგან. ის ფაქტი, რომ დღემდე ზოგიერთ გაზეთებს (კერძოთ „მუშა“-ს, კომუნისტ“-ს, „ახალგაზრდა კომუნისტს“) არ აქვთ მუშკორთა სწორი და ყოველმხრივი აღრიცხვა, არ ჩამოუყალიბებიათ მუშკორთა წრეები, ვერ უწევენ სისტემატიურ ხელმძღვანელობას ამ წრეებს, არ აწარმოებს სისტემატიური მიმოწერის რედაქციასა და მუშა და გლეხკორესპონდენტთა შორის, არ აძლევენ ყოველთვის პასუხს მუშკორთა შეკითხვებს, არ ზრდიან მუშკორთა და გლეხკორთა დაწინაურების და სხვა. ცალკე გაზეთები (გარდა „ახალი სოფლის“ და „რაბოჩაია პრავდა“-სა) სუსტ მუშაობას აწარმოებენ მუშკორთა შორის.

როგორც არანორმალური მოვლენა, უნდა იქნეს აღნიშნული, რომ დღემდე მუშკორებთა შორის ქალთა სულ უმნიშვნელო პროცენტია ჩაბმული. გლეხკორესპონდენტ ქალთა მცირე რიცხვის გამო ნაკლებად შუქდება ჩვენს პრესაში სოფლის ქალთა ყოფა-ცხოვრების საჭირ-ბოროტო საკითხები, რომელთა შესახებ ჩვენ უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს ქრონიკიდან თუ გავიგებთ რამეს.

გაზეთში მრავალი შენიშვნა, მრავალი წერილი თავსდება ადგილებიდან. მაგრამ ნაწილი მოწერილი ამბებისა, არ მართლდება; მუშკორის ან გლეხკორის შეცდომაში შეყავს რედაქცია. ყოველივე ეს კი სახელს უტეხს გაზეთს. ყალბი ცნობის მომწოდებელ კორესპონდენტს საზოგადოებრივი მსჯავრი უნდა დავსდოთ. ასეთი რამ კი დღემდე არ არის შემოღებული ჩვენი გაზეთების მიერ. მეორეს მხრივ გაზეთები უნდა ადევნებდენ მეტ თვალყურს მუშკორთა დევნას სწორი ცნობის მომწოდებელ მუშა და გლეხ კორესპონდენტის მოხერხებულ შევიწროვების გამომჟღავნებული თანამდებობის პირის მიერ. საჭიროა მუშკორის მოკვლა, რომ გაზეთებმა ასტეხონ მთელი განგაში, ხოლო უფრო მცირე მასშტაბით ჩადენილ დანაშაულს ამა თუ იმ გათავხედებულ ადმინისტრატორის მიერ ვერ ვამჟღავნებთ ენერგიულად და ამის გამო ვერ ვიცავთ როგორც ეს საჭიროა მუშგლეხკორებს შევიწროებისაგან.

დ. გვაზავა.

ორიოდე სიტყვა ჩვენი პრესის შესახებ

ჩვენი პარტიული და საბჭოთა პრესა მუშათა კლასისა და მშრომელ გლეხობის უდიდესი კულტურული მონაპოვარია.

ჩვენი პარტიული და საბჭოთა პრესის საშუალებით, ჩვენი გაზეთების საშუალებით მუშა-გლეხური ფართო მასები კარგად ეცნობიან ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენს მიღწევებსა და ნაკლს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ჩვენი პრესის მეოხებით მუშა-გლეხური ფართო მასებს სრული შესაძლებლობა აქვთ გამოაშკარაონ ჩვენი ნაკლი, კონტროლი გაუწიონ ჩვენს მუშაობას და სხ.

პროლეტარულ სახელმწიფოში პრესა ერთ-ერთი მთავარი ხიდია, რომელიც მჭიდროთ აკავშირებს და აერთებს სახელმწიფოსა და ხელისუფლებას მშრომელთა ფართო მასებთან, რომლებიც ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიან წინ სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ.

მუშკორებისა და გლეხკორების არმია ჩვენი წინმსვლელობის ერთ-ერთი ავანგარდია.

პრესა — ეს ჩვენი თვითკრიტიკა და კრიტიკაა, ეს ჩვენი მიღწევებისა და ნაკლის სარკეა.

საჭიროა მისი განმტკიცება და წინსვლისება.

ა. დოლიძე.

ჩვენი საგაზეთო მუშაობა

გაზეთი დღეს

საქართველოში ჟურნალისტიკას, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩაეყარა მტკიცე საფუძველი. ამას ჩვენ ვამბობთ არა მარტო საბჭოთა პრესის იდეურ გავლენის არაჩვეულებრივი ზრდის, არამედ უმთავრესად თვით ჟურნალისტიკის ბუნების, მისი ამოცანების და პრაქტიკულ მუშაობის შეცვლის მიხედვით.

ახალი ქართული პრესის წინაშე დაისვა უდიდესი ამოცანა, პროლეტარიატის დიქტატურის ყოველი ძალღონით გამაგრება - განმტკიცება. მშრომელი მასების პოლიტიკურად, კულტურულად და ტეხნიკურად მომზადება ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის, ახალი ცხოვრებისათვის.

გაზეთი გადაიქცა მასის კოლექტიურ ორგანიზატორად სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე, ის გახდა საბჭოთა საზოგადოებრიობის განუყოფელი ნაწილი, საზოგადოებრივ ინიციატივის ერთ-ერთი ძლიერი გამომხატველი.

დღეს უკვე არა კმარა მარტო პოლიტიკური საკითხების მწვერვალებზე სიარული, საჭიროა ძირს ჩამოსვლა, ყოველდღიური საქმიანობის აღნუსხვა, შეფასება, ახალი აღმშენებლობის გაშუქება, ნაკლოვანებათა დაუზოგავი გამომჟღავნება და მიღწევების პოპულარიზაცია.

აქედან დაისვა საკითხი გაზეთის მუშაკთა ახალი ტიპის შექმნისა და აღზრდის შესახებ. მწვავე მოთხოვნილება დაიბადა გაზეთის ტეხნიკისა, გაზეთის ახალი ფორმაციის მუშაკებზე. ჩვეულებრივ სარედაქციო კოლეგიის გარდა, ქართულ გაზეთში პირველად დაისვა მთელი თავისი სერიოზულობით საკითხი განყოფილებათა გამგეების, რეპორტიორების, გამომშვებით, მთარგმნელების, მუდმივ და კვალიფიციური კორექტორების და სამდივნო მუშაკების კადრის გამოზრდის შესახებ.

ძველ გაზეთებს ასეთები არც დაუტოვებიათ და, რომც დაეტოვებიათ, ძნელად თუ გამოდგებოდენ ისინი ახალ, ბოლშევიკური გაზეთის მუშაკებად. ავად იყო თუ კარგად, ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუხვდა თვით ქართულ ბოლშევიკურ პრესას. ის ერთ და იმავე დროს მუშაობდა საგაზეთო საქმეში ჯერ გამოუცდელი ძალებით და აქედან ერთად აწარმოებდა ამ ძალების მომზადებას. ქართულმა ბოლშევიკურმა პრესამ ამ მხრივ შექმნა გაზეთის მუშაკთა ახალი სკოლა. მან საძირკველი ჩაუყარა ახალ საგაზეთო მუშაობის ტრადიციებს, მაგრამ ეს ამოცანა ჯერ კიდევ დაძლეული არაა. ქართული საბჭოთა პრესა დღესაც დიდად დაზარალებულია იმით, რომ მას არ გააჩნია სათანადო რაოდენობით შესაფერი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები.

საგაზეთო მუშაობის ყველა ეტაპები, დაწყებული რედაქტორიდან. ვიდრე კორექტორამდე, იმდენად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, რომ ის ყველა მუშაკისგან მაღალ კულტურულ, პოლიტიკურ და ტეხნიკურ მომზადებას ითხოვს. არსად ისე საჭირო არაა რამდენადმე მაინც სერიოზული ენციკლოპედიური განათლება, როგორც ჟურნალისტიკაში. გაზეთის ფურცლებზე ერთმანეთში ირევა ცხოვრების თითქმის ყველა მოვლენები, ჩემბერლენიდან დაწყებული ჩვეულებრივ ჯიბგირობის შემთხვევამდე. ამავე დროს, არსად ისე ადვილი არ არის დილეტანტად გადაქცევა, როგორც საგაზეთო მუშაობაში. მუშაობის პირობები თვით უწყობენ ამას ხელს. საჭიროა გაზეთის მუდმივი თანამშრომელი სისტემატიურად მუშაობდეს თვითგანვითარებაზე, რომ მან შესძლოს იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელსაც მას საქმე უყენებს.

სამწუხაროდ ჩვენს პირობებში, როცა გაზეთის კვალიფიციური მუშაკთა ასეთ ნაკლებობას განიცდით, თვითგანვითარებაზე სერიოზული ზრუნვა ჯერ - ჯერობით განუხორციელებელ ოცნებას წარმოადგენს. გაზეთის ძირითადი მუშაკები საშუალოდ მუშაობენ დღე-ღამეში 10 — 12 საათს. ამაში, სხვათა შორის, არ შედის ის დრო, რომელიც გაზეთის მუშაკს ყოველ დღე სჭირდება ჟურნალ - გაზეთების გადაკითხვაზე. ამასთან ერთად ანგარიშში უნდა მივიღოთ მუშაობის ის არაჩვეულებრივად ნერვიული პირობები, რომელიც დამახასიათებელია საგაზეთო საქმისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ ეს არანორმალური მოვლენები, შესაფერის კვალს აჩენს გაზეთის პროდუქციაზე. ზოგჯერ მოიკოჭლებს კორექტურა, სუსტია თარგმანი, ვერ არის სათანადოთ დამუშავებული შინაური და საგარეო ინფორმაცია და სხვა. გაზეთის მუშაკი ამას ყველაზე უმალ თვითონვე ამჩნევს, მაგრამ საგაზეთო საქმე ისეთია, რომ თუ შეცდომა თავისდროზე ვერ შენიშნე, ის ადვილად გაიჟღერება საბეჭდ მანქანაში და შემდეგ მისი გასწორებაზე ზრუნვა ფუჭი ოცნებაა.

ზედმეტი არ იქნება აქ მოვიყვანოთ ის ლიაპსუსები, რომელიც გვხვდება საგაზეთო მუშაობის ყველა სფეროებზე და რომელნიც უბრალო საოხუნჯო შეცდომის მაგიერ ზოგჯერ პოლიტიკური სკანდალის სახეს ღებულობს.

კორექტურა

ავიღოთ კორექტურა. ეს არის, სხვათა შორის, ჩვენი საგაზეთო მუშაობის ერთ - ერთი ქრონიკულად დაავადებული ნაწილი.

ქართული პრესის კორექტურა ბევრად ჩამორჩება არა მარტო ევროპიულ გაზეთების, არამედ ცენტრალური მოსკოვის პრესასაც. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევქმენით კორექტორთა მუდმივი კადრი. სამწუხაროდ, არსებობს მეტად გავრცელებული შეხედულება: ვინც წერა-კითხვა იცის, ან ვისაც საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა ჯიბეში უდევს, მას თავისი თავი სრულიად გამოსადეგად მიაჩნია კორექტურისათვის. ამავე დროს კორექტურა არსებითად ის ინსტანციაა, სადაც მთელი საგაზეთო მასალა აწყობის შემდეგ ხელახლა სწორდება ორიგინალის მიხედვით. საკმარისია აქ დაუდევრობა და უყურადღებობა გამოიჩინო, რომ გაზეთში სკანდალური შეცდომა გაიპაროს. ამიტომაა, რომ მკითხველი გაზეთში ზოგჯერ შემდეგ რამეებს წააწყდება:

„კლასიკურის მაგიერ სწერია — კლასიურის ქალების მაგიერ — ქარხნის ესა და ეს მსახიობები გამოვიდენ რწყვილად, უნდა იყოს წყვილად; პოპოვა და ინიშვილი კარგები იყვნენ დუეტში — უნდა იყოს დუეტში; პროფკავშირი თავის მრავალრიცხოვანი წევრებით — უნდა იყოს წევრებით; ძირს მუშათა კლასის უსირცხვილო სპეკულაცია საქართველოს სახელით — უნდა იყოს ძირს მუშათა კლასის მტრების უსირცხვილო სპეკულაცია საქართველოს სახელით“ და სხვ.

ხშირად კორექტურულ შეცდომების გამო პირდაპირ ანეკდოტურ შემთხვევებს აქვს ადგილი. ასე მაგალითად, ერთ - ერთ წერილს სათაურად ეწერა — „ქუდიანს სამარე გაასწორებს“. მეორე დღეს მისცეს გასწორება „ქუდიანის“ მაგიერ, უნდა ყოფილიყო სიტყვა „კუზიანი“. შეცდომის გასწორება გამოვიდა ამნაირი სახით — „კუზიანს სამოვარი გაასწორებს“. შეცდომა კიდევ გაასწორეს. მესამე დღეს გამოვიდა — „ქუდიანს სამოვარი გაასწორებს“.

ეს ყველაფერი სასაცილო იქნებოდა, რომ ჩვენი მუშაობის გრიმასებს არ წარმოადგენდეს, — რომელიც ხშირად არასასურველ შედეგს იწვევს.

თარგმანი

არანაკლებ ყურადღების ღირსია თარგმანი. აქაც იგივე უნდა ითქვას, რაც კორექტურაზე ვსთქვით. თარგმანზე მუშაობის მსურველნი საკმაოზე მეტია, კულტურული, — ცოცხალი და მარტივი სტილის მქონე მთარგმნელები კი ძალიან ცოტაა.

ქართულ რედაქციებში და გამომცემლობებში ამნაირად თავმოყრილია მთარგმნელთა საუკეთესო კადრები, რომელნიც შერჩეული არიან ხანგრძლივი პრაქტიკული მუშაობის მიხედვით, მაგრამ ჩვენი თარგმანი არ არის დაზღვეული ისეთ ლიაპსუსებისაგან, რომელნიც ან სრულიად ამახინჯებენ ორიგინალის აზრს, ან საესებით გაუგებარს ხდიან მას.

აქ შეიძლება მრავალი მაგალითების მოყვანა ამის დასამტკიცებლად, მაგრამ ადგილის ეკონომიის მიზნით, ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ რამოდენიმე კურიოზებზე: ყოფილა შემთხვევა, როცა მაგალითად ფრაზა: „Работать без руля и без ветрил“, უთარგმნიათ — „უფრთოთ და უსაჭეოდ მუშაობა“; ან კიდევ: „Милюков и Керенский вкупе с монархистами“, „მილიუკოვი და კერენსკი მონარქისტებთან ერთად კუპეში“; „Состояние умов в Женеве было таково, что вопрос о разоружении не мог получить иного разрешения“. „გონებათა მდგომარეობა ჟენევაში იყო ისეთი, რომ და სხვადასხვა“: „Брак товара“ — „საქონლის ქორწილი“ და სხვა ამის მსგავსი. ვფიქრობთ, ზედმეტია დანარჩენი მაგალითების მოყვანა. საბედნიეროთ ზოგიერთი ამ შეცდომებიდან, რომელნიც დროზე იყო შემჩნეული, გაზეთში არ გასულა. ასეთი შეცდომები მოსდის კვალიფიციური, ხანგრძლივ მუშაობაზე შემოწმებულ მთარგმნელებს არა მარტო, როგორც „ლიაპსუს კალამი“, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეგნებულადაც.

ამიტომ თარგმანის საკითხი ჯერ კიდევ არ არის ჩვენს ბეჭდვითი სიტყვაში მოგვარებული. ჯერ კიდევ ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა თარგმანი, როგორც რუსულიდან, ისე სხვა ენებიდან „ფოტოგრაფიულად“ გადაღებულ სურათს წარმოადგენს, რაიც ბურუსში ხვევს აზრს, აფუჭებს და ამძიმებს ენას.

რეპორტაჟი

განსაკუთრებულ ადგილს უჭერს საგაზეთო მუშაობაში რეპორტაჟს. ეს სარედაქციო აპარატის ის ნაწილია, რომლის საშუალებითაც გაზეთი ჰკრებს ყოველი სახის შინაურ (რესპუბლიკანური მასშტაბით) და ადგილობრივ (ქალაქის მასშტაბით) ინფორმაციას. რეპორტიორების შტატი ისეთი გაგებით, როგორც ეს ჩვენ დღეს გვესმის, არ იცოდა ძველმა ქართულ ჟურნალ - გაზეთებმა.

რეპორტიორი გაზეთის თვალი და ყურია, მას თავის დარგში, რომელიც ჩაბარებული აქვს რედაქციისაგან, არ უნდა გამოეპაროს არც ერთი რამდენადმე მაინც ღირსშესანიშნავი და საზოგადოებრივად საინტერესო ფაქტი. მას უნდა შესწევდეს უნარი დაინახოს და გაიგონოს ის, რასაც ჩვეულებრივ მოქალაქის თვალი ვერ ამჩნევს და ყური ვერ ისმენს. მან უნდა იცოდეს თავის გაზეთის ხაზი, სტილი, ენა, უნდა შესძლოს რეპორტაჟის ჩქარა და მოხდენილად შედგენა. ერთი სიტყვით, რეპორტიორმა უნდა იცოდეს არა მარტო საგაზეთო მასალის მოპოვება, არამედ მისი დამუშავებაც.

სამწუხაროდ ქართული პრესის დღევანდელ რეპორტიორებზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი ასეთი მოწოდების სიმაღლეზე დგანან. რეპორტაჟის საკითხზე ბევრი იწერება რუსულ პრესაშიც რომელსაც რეპორტაჟის დიდი ტრადიცია აქვს. ჩვენ თითქმის ქართულ



წითელი პრესა

სიტყვის და ცეცხლის აწვდილ
სვეტებად
მიდის არმია — ტყვიის ჯაგარი,
პირ-გამეხილი თავ-გამეტებად,
ალესილ ხმლებზეც უფრო მაგარი.
მოაქვს მას ძლევა და სიხარული,
დაუშრეტელი მოაქვს გზნება,
სიმხნე გამტყდარი თუ გამწარებული,
იმას რამდენჯერ აღუდგენია!
აღმშენებლობის გამძლე ფიცარი
თან მას რამდენი მოუტანია!..
მტრის გულს გასცემია, როგორც ისარი,
მოყვრის — სალბუნით მოუვლია!..
რამდენი ცრემლი მოუწმენდია,
შემშრალი არის რამდენის ოფლის,
რამდენის ფრონტიც ჩაუქმენდია,
აღუძრავს ენა რამდენი სოფლის!..
ათასებისთვის გზა მოუქრია,
მილიონთათვის გზა გაუკაფავს,
ერთისათვის ხვავი თუ ჩუქრია,
ათასებს შუქით ავსებს და წვრთავს!..

არის მდინარე, შეუკოდელი
სიცოცხლის, ბრძოლის, სიბრძნის და
ნების,
ჯერ მანქანაა მისი მშობელი,
კვლავ თვით ძალაა ამანქანების...
ლენინის ენის გამძლე საყვარია,
შრომის არმიის დროშა და დუნია,
ის წინ ტევს და გასაჯგვარი
მტრის ბანაკების ავლების ხერხით...
წითელი პრესის სახელწოდებით
მოაქვს თექვსმეტი ამაყი დროშა,
არც შეხვევების, არც შეკოდების
არა აქვს ფიქრი, და უსწრებს დროსაც...
და იზრდება, და იბრძმედება,
და იბასრება მისი ჯაგარი,
მზის სიცილივით წინ იხედება,
ალესილ ხმლებზეც უფრო მაგარი...
მოაქვს მას ძლევა და სიხარული,
ჩაუშრეტელი მოაქვს გზნება,
მტრის ბანაკებში შეაქვს ზარხული
და ის იქ ნგრევის კართაგენია!..

ნ. ზომლეთელი.

ბულ ძალდატანების საშუალებას... დემოკრატიულ სახელმწიფოში ვერ გაიმარჯვებს მასიური გაფიცვა, როგორც იარაღი უმცირესობის მიერ უმრავლესობის მოძრეკისა, ხოლო საბოლოო დამარცხება ასეთი გაფიცვისა დიდი ხნით დაასუსტებს როგორც გაფიცულ კლასს, ისე მისი პარტიის ძლიერებას“. (ტ. II, გვ. 431—432).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სტრიქონები დაწერილია 1926 წლის შემოდგომაზე. ეს გარემოება ნათელჰყოფს უკანასკნელი სტრიქონების აზრს და მნიშვნელობას. როგორც ცნობილია 1926 წელი ინგლისის საყოველთაო გაფიცვის და მემაღაროების გაფიცვის წელია. ინგლისის პროლეტარიატის ბელადების, ე. ი. იმავე კაუცკის მეგობრების და თანამოაზრეების ღალატის წყალობით, ეს გაფიცვები დამარცხებით დამთავრდა. და კაუცკი საესებით ბალდუინის მხარეზე დგება პროლეტარიატის წინააღმდეგ:

ახა გვკადრებით, ეუბნება ეს სოციალისტი ინგლისელ მუშებს: გენერალური გაფიცვა ხომ დემოკრატიის წინააღმდეგ არის მიმართული. ადვილი წარმოსადგენია როგორ ფაშისტურათ გაცოფდებოდა ბატონი კაუცკი, რომ ინგლისელი კონსერვატორების „დემოკრატიის“ მიერ სასოწარკვეთილებაში ჩაყვანილი პროლეტარიატი გენერალური გაფიცვიდან აჯანყებაზე გადასულიყო.

მაგრამ ეს სხვათა შორის იყოს. ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიული დებულება კაუცკისა ისაა, რომ დღევანდელ დემოკრატიაში „შეიარაღებულ ბრძოლას ადგილი აღარ აქვს კლასობრივი კონფლიქტების გადაჭრის დროს“. ახალი სიბრძნე, რომლითაც კაუცკის სურს მის მიერ არქივში ჩაბარებული „კომუნისტური მანიფესტის“ შეცვლა, იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საკითხების გადაჭრა და ყოველივე მიზნის მიღწევა შეიძლება ზედმეტი მოლაპარაკების გარეშე, „მშვიდობიანი პროპაგანდისა და ხმის მიცემის შემწეობით“.

მაშასადამე ყველაფერი ხმის მიცემაზეა დამოკიდებული. როცა მუშები და მათთან ერთად დანარჩენი მშრომელები ისე განვითარდებიან, რომ ყველანი გამოუკლებლივ სოციალისტებს მისცემენ ხმებს, როცა ხელისუფლებას გერმანიაში ზევერინგები, ინგლისში მაკდონალდები, საფრანგეთში ლეონ ბლუმები მიიღებენ და „საკუთარ“ მტკიცე პარლამენტურ უმრავლესობას დაეყრდნობიან, მაშინ კაპიტალიზმის მეთორმეტე საათი ე. ი. მისი აღსასრული დაჰკრავს და კაცობრიობა ენგელსის მიერ ნაწინასწარმეტყველებს „ნახტომს გააკეთებს აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“.

მაგრამ ეს გადახტომა, თუნდაც იგი პარლამენტის გადასახტომ ფიცრულიდან მოხდეს, კაუცკის შეხედულებით, მეტად მძაფრი არ უნდა იყოს, ხოლო რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ბურჟუაზია ავრე რიგათ არ უნდა დაზარალდეს. სოციალიზმში გადასვლა უნდა დაიწყოს, რასაკვირველია, იმ წარმოებათა განსახელმწიფოებით, რომელნიც მზად არიან ამისთვის:

„მხოლოდ იმ პირობით, რომ კონფისკაციაქმნილი კაპიტალისტები საკმაოთ ანაზღაურებულნი იქნებიან. თუ ეს არ მოხდა, უსამართლობა იქნება ჩადენილი სხვა კაპიტალისტებთან შედარებით, რომელთა წარმოებანი ჯერ კიდევ მომწიფებულნი არ არიან სოციალიზაციისთვის“-ო. (ტ. II, გვ. 432).

არც ძალდატანება, არც რევოლუცია, არც დიქტატურა! კაუცკის მშვიდობიანი სიზმარი შეუშფოთებლათ მიმდინარეობს ამ მის მიერვე შეთხზულ სოციალიზმში. იგი მსხვილტანიან წიგნებს დასწერს, მის წიგნებს კიდევ სხვები გრძელი ან მოკლე რეფერატების სახით გადმოსცემენ და განმარტავენ ჟურნალ-გაზეთებში: ამას სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდა დაერქმევა. ეს პროპაგანდა წლიდან წლამდე ახალ და ახალ საპარლამენტო მანდატებს მისცემს კაუცკის მეგობრებს და ამას სოციალ-დემოკრატიული არჩევნები ეწოდება. ერთს მშვენიერ დღეს იმდენი მანდატი დაგროვდება, რომ ბატონი ზევერინგი სახელმწიფოს კანცლერის სკამზე დაჯდება და ამას სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ეწოდება. ბატონი ზევერინგი კაპიტალისტებთან მოლაპარაკებას გამართავს მათი წარმოების განსახელმწიფოებაზე, საკმაო ანაზღაურებასაც შესთავაზებს მათ და ამას სოციალ-დემოკრატიული სოციალიზმი დაერქმევა.

ჭეშმარიტათ წარჩინებულია დამტკიცების წესი, რომლის შემწეობით კაუცკი ცდილობს ეს პერსპექტივა თეორიულათ დაასაბუთოს. მას თვით კაპიტალიზმის არსებიდან გამოჰყავს „დემოკრატიული გზა“ სოციალიზმში შესვლისა. გამოდის, რომ ბურჟუაზიის თავიდან მოშორება სრულიადაც არ მოითხოვს ძალდატანებას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თვით ბურჟუაზია თავის ბატონობას სრულიადაც ძალმომრეობით არ ინარჩუნებს. ამ აღმოჩენაში კაუცკი ხედავს განსხვავებას ბურჟუაზიასა და ყველა დანარჩენ წინადროინდელ ექსპლოატატორ კლასს შორის. და კაუცკის ამ აღმოჩენაში „ღრმა მეცნიერული“ დასაბუთება ძირითადი სოციალ-დემოკრატიული რწმენისა, რომ მართალია ფეოდალიზმის შეცვლა კაპიტალიზმის მიერ შეუძლებელი იყო რევოლუციით, მაგრამ კაპიტალიზმის შესაცვლელათ სოციალიზმის მიერ რევოლუცია საჭირო არ არის არც ერთი მხრით და არც ერთი თვალსაზრისით. მოვისმინოთ მისი საკუთარი სიტყვები:

„ჩვენ დავინახეთ როგორ შექმნა დამპყრობელი ტომის სამხედრო უპირატესობამ სახელმწიფო და მასთან ერთად ექსპლოატაცია, როგორ შეინარჩუნა შეიარაღებულმა თავადაზნაურობამ უიარაღო გლეხობის წინააღმდეგ სახელმწიფოცა და ექსპლოატაციის სისტემაც. ვინც ამ გარემოებას იცნობს, შეიძლება წარმოიდგინოს, რომ თანამედროვე დემოკრატიის შინაგანი განვითარებისთვისაც უკანასკნელი სიტყვა იარაღს ეკუთვნის. მაგრამ ჩვენ ისიც დავინახეთ რომ ინდუსტრიული კაპიტალის წარმოშობასთან ერთად, რომელიც აგრეთვე ინდუსტრიულ პროლეტარიატსაც შეიცავს, სრულიად ახალი ფაქტორი ჩნდება ეკონომიასა და პოლიტიკაში, რომ ამიერიდან ექსპლოატაცია და კლასობრივი ბატონობა უფრო ნაკლებ და ნაკლებ ეყრდნობა სამხედრო ძალდატანებას და მაშასადამე თავის შესანარჩუნებლათ ნაკლებ საჭიროებს მას... იარაღი, რომელსაც დემოკრატიულ რეჟიმში კაპიტალისტები მუშათა კლასს უპირისპირებენ არის არა სამხედრო უპირატესობა, არამედ ეკონომიური აუცილებლობა“. (ტ. II, გვ. 474).

ხოლო რადგან კაპიტალისტები მხოლოდ იმ გარემოებას ეყრდნობიან, რომ ისინი აუცილებელნი არიან ეკონომიურ ცხოვრებაში, ასეთი ვითარება იქმნება: როცა კაუცკი და მისი მეგობრები აღმოაჩენენ, რომ კაპიტალისტ. ეკონომიურათ შეცვლა შესაძლებელი გახდა, ისინი სათანადო ხმის მიცემას მოაწყობენ და სოციალიზმის ამოსავალი მზე ბედნიერ დედამიწას გაანათებს.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ არც კაუცკი, არც მისი მეგობრები ასეთ საქმეს არ ჩაიდენენ; რომ ისინი უწინ ენას მოიკვნეტენ, სანამ იტყოდნენ, რომ ბურჟუაზია ეკონომიურად ზედმეტი და დასათმობი გახდა; უწინ ხელებს მოიჭრიან, სანამ „ხმას მისცემდნენ“ საწარმოვო ძალებზე კაპიტალისტური საკუთრების მოსასპობათ. მაგრამ წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ სოციალ-დემოკრატიის ბელადები არ არიან შეგნებული მოღალატეები, არამედ მათ პატიოსნათ სწამთ თავიანთი ნათქვამი, რომ ისინი ისევე სცდებიან, როგორც მრავალი მილიონი მუშა, რომელიც მათ მისდევს. თუმცა ეს მოსაზრება სინამდვილეს დაშორებულია, მაგრამ შევეცადოთ ერთი წუთით მაინც საფუძვლად მივიღოთ ის.

კაუცკი ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაცია დაყრდნობილია არა ძალმომრეობაზე, არამედ ეკონომიურ აუცილებლობაზე. საკუთრების უფლების გარეშე კაპიტალიზმი, რასაკვირველია, შეუძლებელია. მაგრამ ამ უფლებას კაპიტალიზმი ინარჩუნებს არა პროლეტარიატის წინააღმდეგ, არამედ მასთან ერთად:

„კაპიტალის შექმნა შეუძლებელია, თუ საკუთრება უზრუნველყოფილი არ არის. ვინ-ღა დაიგროვებდა მას ამ უზრუნველყოფის გარეშე? მაგრამ დაქირავებული მუშებიც ემხრობიან საკუთრების უზრუნველყოფას, ნაწილობრივ იმ ტრადიციის ძალით, რომელიც მათმა წინაპრებმა—გლეხებმა და ხელოსნებმა უანდერძეს, ხოლო ნაწილობრივ იმ შეგნების წყალობით, რომ ამ უზრუნველყოფის გარეშე მთელი წარმოება ველურ ქაოსში ჩავარდება და დაიღუპება“.

ზემონათქვამიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პროლეტარიატის ეკონომიური ექსპლოატაციისთვის ბურჟუაზიას არ სჭირია მასზე პოლიტიკურათ ბატონობა. კაუცკის მიხედვით ამას შესაძლებლად ხდის როგორც ბურჟუაზიის, ისე პროლეტარიატის გაძლიერება თანამედროვე დემოკრატიაში. ამაში ჩვენი „მარქსისტი“ არავითარ წინააღმდეგობას არ ხედავს:

„გარეგნულად არსებული წინააღმდეგობა აიხსნება იმით, რომ თვითეული ამ კლასის გაძლიერება სხვა და სხვა დარგში ხდება. კაპიტალისტები თანდათან ეკონომიაში იძენენ ძალას, ხოლო პროლეტარები პოლიტიკაში“. (ტ. II, გვ. 578).

ჩვენ ნებას მივსცემთ ჩვენ თავს დიდათ გამობრძმედილ და დიდათ მსწავლულ ბატონ კაუცკის ერთად ერთი კითხვა მივსცეთ, თუ ყოველივე მართლაც ისეა, როგორც იგი გვიამბობს, თუ ბურჟუაზიას პროლეტარიატის ექსპლოატაციისთვის არავითარი პოლიტიკური ძალდატანება არ სჭირია, თუ ძალდატანება განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში საზოგადოთ არავითარ როლს არ ასრულებს, თუ ბურჟუაზია იქ მხოლოდ ეკონომიური აუცილებლობის შემწეობით ინარჩუნებს თავის არსებობას, მაშინ საიდან წარმოსდგება და რა მიზნისთვის არსებობს ბურჟუაზიული სახელმწიფო?

კაუცკის არ შეუძლია უარჰყოს და იგი არც უარჰყოფს, რომ სახელმწიფო იქმნება როგორც კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია, როგორც ძალდატანების ინსტრუმენტი, მიმართული ერთი კლასის მიერ მეორის წინააღმდეგ. როგორც პირველ თავში მოყვანილ ციტატით დავამტკიცეთ, კაუცკი აღიარებს, რომ სახელმწიფოებრივი აპარატი „ჯერ კიდევ“ ბურჟუაზიას ემსახურება ექსპლოატაციის პოლიტიკური იარაღით. ხოლო თუ კაპიტალისტური ექსპლოატაციისთვის პოლიტიკური ბატონობა საჭირო აღარ არის, რაღათ სჭირია ბურჟუაზიას სახელმწიფოებრივი აპარატი? და რაღათ უძლიერებს ასე ძლიერათ მას? ნუ თუ ჯიბგირების წინააღმდეგ თავის დასაცავათ?

კაუცკი ლაპარაკობს „სახელმწიფოს ხასიათის ცვლებადობაზე“. მისი „ეკონომიური და კულტურული ამოცანების“ ზრდაზე. წარმოიდგინეთ, რომ ამით აიხსნება პროლეტარიატის ინტერესის გაძლიერება სახელმწიფოებრივი საქმეებისადმი. მაგრამ რა შუაშია აქ ბურჟუაზია?

კაუცკი ამბობს: „ისე თუ ისე სახელმწიფო დღემდე ექსპლოატატორი კლასების ხელში დარჩა და მისი აპარატი ექსპლოატაციის სისტემის შენარჩუნებას ემსახურება“-ო (ტ. II, გვ. 459) რა მნიშვნელობით და რა რიგათ შეიძლება სახელმწიფოებრივი აპარატი ექსპლოატაციის შენარჩუნებას ემსახურებოდეს, თუ ეს ექსპლოატაცია არ საჭიროებს არც პოლიტიკურ ძალდატანებას, არც სახელმწიფოებრივი აპარატის დახმარებას და მხოლოდ ეკონომიური აუცილებლობაზეა დაყრდნობილი? ცხადია აქ რაღაც გაუგებრობაა! სოციალ-დემოკრატი რენეგატი უიმედოთ დაიბნა თავისივე საკუთარი დემოკრატიული საზღვრების ლაბირინთში.

კაუცკის მტკიცება, რომ კაპიტალისტური ექსპლოატაცია პოლიტიკურ ძალდატანებაზე არ არის დაყრდნობილი, ისეთი აშკარა, ისეთი გასაშტერებელი სისულელეა, რომ არც კი საჭიროებს სერიოზულ უარყოფას. სახელმწიფოებრივი აპარატის, არმიის, ფლოტის, პოლიციის, სამხედრო ინდუსტრიის უზარმაზარი ზრდა, სწორეთ უკანასკნელ წლებში საყოველთაოთ ცნობილი ფაქტია, როგორც ჩვენ დავინახეთ, ჩვენი სოციალ-დემოკრატი რენეგატიც იძულებულია აღიაროს, რომ დღევანდელი „დემოკრატიული“ სახელმწიფო ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება, თუმცა იგი გარდაუვალი წინააღმდეგობაში ვარდება თავისავე საკუთარ თეორიასთან. მაგრამ ჰქმნის თუ არა დემოკრატია წინასწარ პირობას კაპიტალიზმის „მშვიდობიანი“ ლიკვიდაციისა და მშვიდობიანათ სოციალიზმში გადასვლისთვის?

რას ნიშნავს ეს კითხვა? ბურჟუაზია სცნობს დემოკრატიას, სანამ მისი შემწეობით კლასობრივი ბატონობის შენარჩუნება შეუძლია. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ლოიალურად დაემორჩილება დემოკრატიას, თუნდაც იგი იმის კლასობრივ ბატონობას სერიოზულად ემუქრებოდეს? საყოველთაო ხმის უფლება დღეს ბურჟუაზიის ოდნავაც ხელს არ უშლის პროლეტარიატის ექსპლოატაციაში, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზია საყოველთაო ხმის უფლებას შეურიგდება მაშინაც კი, თუ მან საფრთხეში ჩააგდო მისი ღვთაებრივი უფლება პროლეტარიატის ექსპლოატაციისა?

საკმაოა ამ კითხვის დასმა, რომ ნათლად დავინახოთ რამდენათ უაზროა ის პერსპექტივა, რომლის დასაბუთებაც კაუცკის სურს. ჩვენ ხელახლა ვიმეორებთ: რასაკვირველია ჩვენ არ გვწამს, რომ პარლამენტის სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა რამე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდეს კაპიტალისტური ექსპლოატაციისთვის. ჩვენ ამ შეუძლებელ აბსტრაქციას მხოლოდ იმისთვის ვღებულობთ, რათა ეს საკითხი თეორიულათ უკეთ გამოვარკვიოთ. ცხადია, ბურჟუაზია მაშინვე დემოკრატიის წინააღმდეგ აჯანყდება, როგორც კი შეატყობს რომ საყოველთაო ხმის უფლება და ყველა დანარჩენი მასთან შეკავშირებული „დემოკრატიული თავისუფლებანი“ ბურჟუაზიული წესწყობილებისა და ბურჟუაზიული საკუთრებისთვის სახიფათონი გახდნენ. ბურჟუაზია ადვილათ „ემორჩილება“ ისეთ „დემოკრატიას“, რომელიც მის კლასობრივ ბატონობას ამაგრებს და იცავს. მაგრამ მხოლოდ ჭკუაზე შეშლილს შეუძლია იფიქროს, რომ იგი უბრძოლველათ დაემორჩილება ისეთ დემოკრატიას, რომელიც შეეცდება ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის ლიკვიდაცია მოახდინოს.

როგორ სწყვეტს კაუცკი ამ პრობლემას? იგი სწერს:

„უეჭველია კაპიტალისტები ხშირად წინააღმდეგობას გაუწევენ თავიანთ პოლიტიკურ „გადაყენებას“ დემოკრატიის მიერ, რასაც ბოლოს ეკონომიური „გადაყენებაც“ მოჰყვებოდა და ყოველგვარ საშუალებას მოიხმარენ დემოკრატიის გამარჯვებისთვის ხელის შესაშლელათ: თვით შეიარაღებულ ძალის გამოყენებასაც არ დაერიდებიან, თუ კი ის საკმაოთ მოიპოვებათ თავიანთ განკარგულებაში“-ო. (ტ. II, გვ. 474).

სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ როგორი დასკვნა გამოჰყავს აქედან სოციალ-დემოკრატ რენეგატს?

„მაგრამ ამ შემთხვევაში წარმოებული ბრძოლა იქნებოდა მაინც ბრძოლა დემოკრატიისათვის“-ო.

და ამ გამანადგურებელი არგუმენტის გამოთქმის შემდეგ იგი პათეტიურათ გაიძახის:

„სოციალისტი, რომელიც კაპიტალისტებისაგან დემოკრატიის მიმართ ასეთ სასოწარკვეთილ წინააღმდეგობას ელის, ამით მოწმობს რამდენად სახაცილოა ლაყბობა ფორმალური დემოკრატიის წინააღმდეგ“.

აქ კაუცკი საბოლოოთ ნიღაბს იხსნის და გვევლინება, როგორც სოფისტი და ყალბის მქნელი. იგი მთელი თავისი წიგნით იმის დამტკიცებას სცდილობს, რომ თანამედროვე დემოკრატიაში გადამწყვეტი ფაქტორი ძალდატანება არ არისო. იგი გვარწმუნებს, რომ შეიარაღებულ ბრძოლას ადგილი აღარ აქვს კლასობრივი კონფლიქტების გადაჭრის დროსო. ამაზეა დაყრდნობილი მთელი მისი სისტემა. და როცა მან ეს სისტემა სისულელისა და გაყალბების მწვერვალზე აიტანა, იგი დაბოლოს მაინც იძულებული გახდა თვითვე აღიარებინა, რომ საქმე მარტოოდენ ხმის მიცემით ვერ გადასწყდება, რომ სოციალიზმს პარლამენტის გზით ვერ მივიღებთ, ვერ მივიღებთ მას ბრძოლის გარეშე, შეიარაღებული ბრძოლის გარეშე ბურჟუაზიის წინააღმდეგო. ამ იძულებითი აღსარების შემდეგ, რომელიც მთელი მისი სისტემის სუსტულას ანგრევს, ჩვენი რენეგატი სცდილობს იგი მაშინვე მიჩქმალოს და ამისთვის აცხადებს: „მაგრამ ეს ბრძოლა მაინც იქნება ბრძოლა დემოკრატიისთვისო“...

უბადრუკი ოინია! პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყება ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში თუ მან გაიმარჯვა, ნიშნავს პროლეტარიატის რევოლუციურ ძალმომრეობას ბურჟუაზიის მიმართ, ხოლო პროლეტარიატის რევოლუციური ძალმომრეობა ბურჟუაზიის მიმართ სწორეთ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურაა.

სწორეთ ამაშია იმ საკითხის არსებითი მხარე, რომლის მიჩქმალვას და არევ-დარევას კაუცკი ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი საშუალებით სცდილობს: შეიძლება თუ არა კაპიტალიზმის ლიკვიდაცია პარლამენტის უმრავლესობის ხმის მიცემით, ბრძოლის გარეშე, სამოქალაქო ომის გარეშე, თუ კაპიტალიზმის ლიკვიდაციისთვის საჭიროა შეიარაღებული აჯანყება ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ე. ი. სხვა სიტყვებით, რომ ვსთქვათ, ორგანიზაციულათ მოწყობილ ძალდატანება ბურჟუაზიის მიმართ ანუ პროლეტარული დიქტატურა?

ჯერ კიდევ 1918 წელს დაწერილ ბროშურაში „პროლეტარიატის დიქტატურა და რენეგატი კაუცკი“ ლენინი სწერდა:

„დიქტატურის ცნების განსაზღვრის დროს კაუცკი მთელი ძალღონით სცდილობს მკითხველს ამ ცნების მთავარი თვისება დაუმალოს, სახელდობრ რევოლუციური ძალდატანება. ახლა ჭეშმარიტება ნათელი ხდება: საქმე ეხება წინააღმდეგობას მშვიდობიან და ძალდატანებით გადატრიალებას შორის. აქ არის ძაღლის თავი დამარხული! ყველა ოინები, სოფიზმები, ჯამბაზური გაყალბებანი კაუცკის იმისთვის სჭირია, რათა გვერდი აუხვიოს ძალდატანებით რევოლუციას, მიჩქმალოს მის მიერ ამ რევოლუციის უარყოფა, მიჩქმალოს თავისი გადაბარგება ლიბერალური მუშათა პოლიტიკის მხარეზე, ე. ი. ბურჟუაზიის ბანაკში. აქ არის დამარხული ძაღლის თავი!“

მაგრამ განა შეიძლება იქ, სადაც საქმე ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლამდე, რევოლუციურ ძალმომრეობამდე მიდის, კიდევ ლაპარაკი დემოკრატიულ თავისუფლებათა შენარჩუნებაზე ბურჟუაზიისთვის? შეიძლება ბურჟუაზიისთვის დემოკრატიულ უფლებათა დაცვაზე ლაპარაკი იმ დროს, როცა პროლეტარიატი და მშრომელთა დიდი უმრავლესობა სამოქალაქო ომის მდგომარეობაში იმყოფება ბურჟუაზიასთან? იმავე ბროშურაში ლენინი სწერდა:

„დიქტატურის აუცილებელი თვისება, მისი აუცილებელი წინასწარი პირობა არის ექსპლოატატორთა ძალმომრეობით მოძრეკა, როგორც კლასისა, და მაშასადამე შებღალვა „წმინდა დემოკრატიისა“, ე. ი. თავისუფლებისა და თანასწორობისა ამ კლასის მიმართ“.

იქ, სადაც მშრომელნი ბურჟუაზიის ხელისუფლებას ძალდატანებით ამხობენ, მხოლოდ ერთს დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი: მშრომელთა დემოკრატიაზე. ხოლო ეს დემოკრატია იგივე პროლეტარული დიქტატურაა და სხვა არაფერი. მაგრამ ამ საკითხის შესახებ შემდეგ წერილში ვილაპარაკოთ.

(„Die rote Fahne“).

(გაგრძელება იქნება)

საბჭოთა პრესაზე? აქ მხოლოდ 7—8 წლიწადია, რაც დაიწყო ეს საქმე..

ჩვენი რეპორტიორების მთავარ ნაკლს შეადგენს ის, რომ ისინი ან არიან მასალის კარგი მძებნელები და ამავე დროს ცუდი ლიტერატორები, აღმოჩენილ ცნობების სუსტი დამმუშავებლები, ან წინააღმდეგ, უჭირთ მასალის შოვნა, არ იხერხებათ საინტერესო ცნობების გამოძებნა, მაგრამ რასაც იშოვნიან, მას შედარებით უნაკლოდ დაამუშავებენ. ჯერ - ჯერობით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს რეპორტიორი მასალის კარგი მომძებნელი და მისი ასეთივე დამმუშავებელი.

ამიტომაა, რომ ჩვენი ყოველდღიური ბეჭდვითი გამოცემები მდიდარია რეპორტაჟით, მაგრამ მასალის დამუშავება ხშირად მოიკოჭლებს. რეპორტაჟში გამეფებულია ერთგვარი შტამპი, შაბლონი, რომლის ჩარჩოების გადალახვაც დიდ გმირობათ უნდა ჩაითვალოს რეპორტიორისათვის. ასე მაგალითად, ინტერვიუებისათვის გამომუშავებულია ერთი ფორმა: გუშინ ან დღეს თბილისში ჩამოვიდა ამხ. ესა და ეს. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ამან და ამან განაცხადა შემდეგი“:

რაც შეეხება საყურადღებო კრებების ანგარიშს, ისიც ასეთი შაბლონიური, უღიმღამო ენით იწერება: „გუშინ ამა და ამ ადგილას, ამა და ამ საათზე, შესდგა ესა და ეს კრება. კრება გახსნა ამხ. ამან და ამან. დღის წესრიგში იყო ესა და ეს საკითხები, პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ესა და ეს, კამათში მონაწილეობა მიიღო ამან და ამან, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია. ასეთია ყველა კრებების საგაზეთო ანგარიშის ტრაფარეტი, რომლის უკუგდებაც ხშირად აღემატება რეპორტიორის ძალებს.

ასეთივე მდგომარეობაა მასიურ ზეიმის აღწერის დროს, აქაც ერთი და იგივე ტრაფარეტია: „ქალაქი წინა დღითვე მოემზადა უდიდესი დღესასწაულის ღირსეულად შესახვედრისათვის. ქუჩები მოიკაზმა წითელი დროშებით და ხალიჩებით, მწვანეულობით. სახლები გაჩირაღდნებული იყო ელექტრონის ფერად-ფერად ლამპებით.

თვით დღესასწაულის დღეს, დილის ათი საათიდან ქალაქში დიდი მოძრაობაა. მუშათა ორგანიზაციები უკვე სდგანან დროშებით და პლაკატებით თავ-თავიანთ ადგილას, დემონსტრაციაზე გამოსულია წითელი არმიის ნაწილებიც“ და ასე შემდეგ.

ამნაირია ჩვენი დღესასწაულების შაბლონიური აღწერა, იმ განსხვავებით, რომ, თუ მოხდა სასიამოვნო ამბავი და დღესასწაულს კარგი ამინდი დაესწრო, ანგარიშში უთუოდ ნახავთ ფრაზას — „საერთო ზეიმს და მხიარულებას თვით ბუნებამაც შეუწყო ხელი. იშვიათი საზეიმო ამინდი იდგა“.

კომუნისტის ტირაჟი წლების მიხედვით.



ამნაირი ანგარიშის დაწერა შეუძლია წერა - კითხვის მცოდნე ყველა საბჭოთა მოქალაქეს, რომელიც არც კი დასწრებია დღესასწაულს. ასეთივე ანგარიშის შედგენა შეიძლება დღესასწაულამდე რამოდენიმე დღით, მთელი თვით, ან წლით ადრე. საჭიროა მხოლოდ დატოვებულ იქნას ადგილი ამინდის შესახებ. ან, თუ ჩვენი მეტეოროლოგიური სადგური სწორ ცნობას იძლევა ამინდის შესახებ, რაც სამწუხაროდ იშვიათი მოვლენაა, ამინდის საკითხსაც მოევლება თავი ანგარიშის შედგენაში.

ასეთი ფორმალიზმი, ამგვარი შტამპი რეპორტაჟში ჰკლავს ცოცხალ აზრს, უკარგავს მას საზოგადოებრივ ინტერესს და იმ პრაქტიკულ აზრს, რომელსაც მიზნად ისახავს ყოველი საგაზეთო მასალა. ამნაირად რეპორტაჟის დარგში ჩვენს პრესას ჯერ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდება, რომ მან საქმე მოთხოვნილების სიმაღლეზე დააყენოს.

ტრადიციის მავნე გავლენა

ტრადიციის და შტამპის ცუდი გავლენა საგრძნობია არა მარტო რეპორტაჟში, არამედ მთელ საგაზეთო მუშაობაში. არის მთელი რიგი, ასე ვსთქვათ, ისტორიულად დაკანონებული წესებისა, რომელთა დარღვევაც რატომღაც შეუძლებლადაა მიჩნეული საგაზეთო მუშაობაში. ხშირად ნათელია, რომ ამ წესების შესრულება აშკარად ვნებს საქმეს, მაგრამ ტრადიციის გავლენის ქვეშ იძულებული ხარ დაემორჩილო მას. ასეთია, მაგალითად, გაზეთში მასალების დალაგების საკითხი. ყოველ მასალას დაწყებული მოწინავედან ზაქის მოწმობის დაკარგვის განცხადებამდე თავისი ადგილი აქვს მიჩნეული. თავიდანვე დაკანონებულია, რომ პირველ გვერდზე მოწინავესა, სახელმძღვანელო წერილებსა და ტელეგრაფის ცნობების გარდა არაფრის გაშვება არ შეიძლება. ეს გაზეთს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს, მის პრესტიჟს დასცემს. ასე ფიქრობს ტრადიციის ძლიერი გავლენის ქვეშ მოქცეული ყველა გაზეთის მუშაკი. მაგრამ, მოგეხსენებათ, სტიქია ამას ანგარიშს არ უწევს. ხდება ისეთი შემთხვევა, როცა ტელეგრაფი ცუდი ამინდების გამო არანორმალურად მუშაობს. გადმოცემული ცნობები არ ყოფნის პირველ გვერდს. რედაქციის წინაშე ისმება „უდიდესი“ პრობლემა: „როგორ ავავსოთ პირველი გვერდი“. ტრადიციის მიერ დაწესებულ „წმინდა“ კანონების დარღვევა არ შეიძლება. ამიტომ საჭირო ხდება წინა დღის გამოუყენებელ დეპეშების გამოძებნა, პირველი გვერდის წერილების რიცხვის გადიდება და სხვა ასეთი ექსტრაორდინალური ღონისძიებები,—რაიც, ცხადია, თავის დაღს აჩენს მასალის თვისებაზე.

ასეთია მოკლედ ის მთავარი შინარედაქციული დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებენ საგაზეთო მუშაობას.

ბეჭდვის დეფექტები

მაგრამ ამ „შინაური“ დაბრკოლებათა გარდა, არის მთელი რიგი სხვა გარემოებანი, რომელნიც თავის დაღს აჩენენ ჩვენი ყოველდღიური ბეჭდვითი სიტყვის მუშაობაზე. აქ ლაპარაკია ისეთი კატეგორიის დეფექტებზე, რომელნიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, რედაქციის გარედ მდებარეობენ. ეს არის პირველ ყოვლისა ის აპარატი, რომელიც სარედაქციო მასალას ბეჭდვითი სიტყვის სახეს აძლევს. ჩვენ ვლაპარაკობთ სტამბის მუშაობაზე. ქართულ ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში ამ უკანასკნელი 3—4 წლის განმავლობაში მთელი რევოლიუცია მოხდა. ქართულ გაზეთს არ უხილავს ლინოტიპის ანაწყობი ან საროტაციო საბეჭდი მანქანა. დღეს ქართული გაზეთის ბეჭდვის საქმე მოწყობილია პოლიგრაფიულ ტექნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით. მაგრამ „ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა“, თუ ის სათანადოთ არ არის გამოყენებული, ხშირად უფრო ართულებს მუშაობას. დაახლოებით ამის მსგავსი სურათი მეორდება ჩვენს სინამდვილეშიაც. ჩვენი სტამბების ტექნიკური პერსონალი, მიუხედავად იმისა, რომ შერჩეული იქნა მათი საუკეთესო ძალები, არ აღმოჩნდა სათანადოთ მომზადებული ახალ მოწყობილობათა რაციონალურად გამოყენებისათვის. ეს მათი დანაშაული, რა თქმა უნდა, არ არის.

მასალის ლინოტიპზე აწყობა დიდ უპირატესობას იძლევა, როგორც მუშაობის ტემპის დაჩქარების, ისე ანაწყობის ხარისხის გაუმჯობესების მხრივ. მაგრამ ლინოტიპი მოითხოვს ასოთ-ამწყობისაგან გარდა ტექნიკური მომზადებისა, კულტურულ განვითარებასაც.

„კომუნისტი“-ს საშუალო დღიური ტირაჟი.



ლინოტიპი, სადაც ტექსტი მთლიანი სტრიქონებისაგან და არა ცალკე ასოებისაგან შესდგება, ვერ ითმენს კორექტურულ შეცდომას. ხშირად ერთი უმნიშვნელო შეცდომის გამო საჭირო ხდება მთელი აბზაცის ხელახალი აწყობა. სამწუხაროდ ჩვენი ასოთ-ამწყობების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის იმდენად დახელოვნებული მუშაობაში, რომ ისინი ლინოტიპისათვის დაწესებულ შეცდომათა ნორმაზე მეტ შეცდომებს არ უშვებდენ. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ძნელია კორექტურის უცოდველობაზე ლაპარაკი.

ამნაირივე მდგომარეობაა სტამბის სხვა საფეხურებში, სადაც გადის გაზეთი. ასეთია სამეტრომპაჟო, სტერეოტიპი და სამანქანო განყოფილება. აქაც, ამ განყოფილებებშიაც საქმეს აფერხებს ხან მუშაკთა მოუმზადებლობა, ხან სტამბის მასალის უვარგისობა და სხვა. შედეგი აქედან ისეთია, როგორიც ამას კარგად ხედავს ბევრი ჩვენი მკითხველი. გაზეთის პროდუქცია კორექტურისა და ბეჭდვის მხრივ, ჯერ კიდევ შორსაა იმ მდგომარეობიდან, რომელიც ჩვენ უნდა გვქონდეს არსებულ ტექნიკურ მოწყობილობათა პირობებში. ჩვენი პოლიგრაფიულ მრეწველობის ხელმძღვანელებმა აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნა უნდა გააკეთონ.

კამპანიები საგაზეთო მუშაობაში

დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს საგაზეთო საქმეში აგრეთვე საკამპანიო მუშაობის მოუწესრიგებლობა. არის თვეები, როცა პრესას ერთ და იმავე დროს უხდება რამოდენიმე კამპანიის გატარება. ასე იყო მაგალითად ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში, როცა ჩვენი გაზეთები ერთდროულად ატარებდენ შემდეგ კამპანიებს: „გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი“, „თესვის კამპანია“, „საბჭოთა სექციების კონკურსი“ და „თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია“. თავისთავად ცხადია, რომ ერთ და იმავე დროს ამდენი კამპანიების შესაფერისად ჩატარება, მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს. იფანტება მკითხველის ყურადღება, დაბანდებულია თვით სარედაქციო ძალები, ზარალობს მასალის დამუშავების და შერჩევის მხრივ თვით საკამპანიო საგაზეთო წერილები.

აქ შეიძლება გვიპასუხონ. ასეთ შემთხვევაში საჭიროა რამდენიმე კამპანიების გაერთიანებაო. ასეთი წინადადება არა ერთხელ გვსმენია, ზოგიერთ გაზეთებმა კიდევაც სცადეს ეს. მაგრამ სინამდვილემ ის არ გაამართლა. ამით მხოლოდ დაჩრდილა თვით საკამპანიო საკითხები და საბოლოო ანგარიშით ვერც ერთი მათგანი ვერ იქნა სათანადოდ გაშუქებული. მომავალში საჭიროა კამპანიების ჩატარების დროის მხედველობაში იქნეს მიღებული ეს გარემოება და შეძლებისდაგვარად გამოიძებნოს ისეთი საშუალებები, რომ ერთ და იმავე დროს არ სწარმოებდეს რამოდენიმე კამპანია. თუ ამას ანგარიშს ვუწევთ ჩვენ არჩევნების ჩატარების დროს და ვცდილობთ რომ სხვადასხვა არჩევნები ერთ და იმავე დროს არ სწარმოებდეს, ასე უნდა მოვიქცეთ საგაზეთო კამპანიების მიმართაც.

ძველი ადათ-ჩვეულება ახალ ფორმებში

საგრძნობლად აფერხებს საგაზეთო მუშაობას კიდევ ერთი ნაკლი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს, საქართველოში,— როგორც უმთავრესად გლეხური მეურნეობის ქვეყანაში, ჯერ კიდევ მაგრად აქვს გადგმული ფესვები ძველ ადათ-ჩვეულებებს. მართალია, სიტყვიერად ჩვენ ამ ტრადიციებს ვემიჯნებით, მაგრამ საქმით ხშირად თვითონვე ვატარებთ მათ ახალი ფორმებით. საქართველოში, როგორც პატარა ქვეყანაში ბევრი ფაქტი, რომელიც სხვაგან არც კი მოსჩანს, საერთო ყურადღებას იპყრობს. აქედან წარმოიშობა ყალბი პათოსი, თავად-აზნაურული პიროთმნიერობა, უმნიშვნელო მოვლენის გაზვიადება, ერთი სიტყვით, ის, რასაც ქვია საზომის დაკარგვა.

ასეთი განწყობილების გამოხატულებაა სხვათა შორის „დაწესებულებათა დღეობები“. თებერვლის რევოლიუციამ საქართველოში ძირ-ფესვიანად დაანგრია ძველი სახელმწიფო აპარატი. საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა მმართველობის სრულიად ახალი მანქანა. თითქმის ყველა დაწესებულებები ჩვენ თვალწინ ჩაისახენ და იზრდებიან. ეს თავისთავად სასიხარულო ფაქტია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ თვითეულ დაწესებულების დაბადების დღეს დღესასწაულად გადავაქციოთ. ჩვენ ისედაც ბევრი დღესასწაულები გვაქვს. სრულიადაც საჭირო არაა, რომ ამ დღესასწაულთა რიცხვი გავამრავლოთ „დაწესებულებათა დღეობებით“.

ბევრ დაწესებულებას თავის წმინდა და რევოლიუციონურ მოვალეობათ მიაჩნია უთუოდ აღნიშნოს საკუთარი დაბადების წლის თავი. რედაქციებში იგზავნება სათანადო ფოტოგრაფიული სურათები, ბიოგრაფიები, ისტორიული აღწერები, მოგონებები და უამრავი ლექსები. უმეტეს შემთხვევაში ეს მასალა არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს თვით იმ დაწესებულებათა თანამშრომლების უმრავლესობისათვისაც, რომელსაც ის შეეხება. რაღა ითქმის ათეულ ათასიან ტირაჟის გაზეთების მკითხველებზე?

მიუხედავათ ამისა გაზეთები ზოგჯერ იძულებულნი არიან დაუთმონ ადგილი ამგვარ „საიუბილეო“ მასალას.

ასევე ხდება არა მარტო „დაწესებულებათა დღეობების“, არამედ სხვა შემთხვევაშიაც.

მაგალითად, საკმაოა ვინმე ცოტადენ დამსახურებული პირი გარდაიცვალოს, რომ მაშინვე იწყება, უმეტეს შემთხვევაში გაზვიადებული მოთქმა-გოდება, ეწყობა დამკრძალავი კომისიები, იწერება უამრავი ნეკროლოგები, სამგლოვიარო დეპეშები, მზადდება გვირგვინები და სხვა. ერთი სიტყვით „კულტურული“ სახით მეორდება ძველი მამაპაპური ტირილი.

ამგვარ „ფანფარონობას“, ამ ყალბ პათეტიკას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ამ მხრივ მაგალითი უნდა ავიღოთ რუსეთის პრესიდან. იქ ვერც ცენტრალურ და ვერც სხვა ეროვნულ რესპუბლიკანურ გაზეთებში ვერაფერს ამის მსგავსს შეხვდებით.

ამგვარი გატაცება ვნებს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას, ის აჩლუნგებს მასის ყურადღებას საჭირბოროტო რეალურ საკითხებისადმი. პრესას ამ შემთხვევაში ესაჭიროება დახმარება პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებიდან.

დასკვნა

ასეთია მოკლედ ის ზოგიერთი შენიშვნები, რომელზედაც ჩვენ გვინდოდა მკითხველის ყურადღების შეჩერება ბეჭდვითი სიტყვის დღეს. საგაზეთო მუშაობის დეფექტები არის როგორიც თვით სარედაქციო აპარატის სისუსტის, ისე იმ საერთო პირობების შედეგი, რომელშიაც უხდება არსებობა ამა თუ იმ ბეჭდვითი ორგანოს.

მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, ქართულ პრესამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში გიგანტიური ნაბიჯი გადასდგა წინ. ამას მეტყველურად მოწმობს, სხვათა შორის, ქართული გაზეთის დღევანდელი ტირაჟი.

საბჭოთა პრესამ შექმნა საქართველოში ჟურნალისტიკის ახალი ტიპი, მან ჩაუყარა საძირკველი ჟურნალისტ-ტექნიკოსთა კადრების მომზადების საქმეს, მან მოახდინა რევოლიუცია ბეჭდვის საქმეში.

რამდენადაც ეს საქმე ახალია, მას მრავალი დეფექტები სდევს. მაგრამ ყოველივე იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ ეს დეფექტები დროებითი ხასიათისაა. იმ დიდ სამეურნეო და კულტურულ მუშაობასთან ერთად, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება. პრესის წინაშე შემდგომი განვითარების ახალი ასპარეზი იშლება.

საბჭოთა პრესა მხოლოდ მაშინ შესძლებს მასზე დაკისრებულ დიდ მოვალეობის ღირსეულად შესრულებას, თუ მას კვლავ დახმარებას გაუწევს პარტია და ხელისუფლება, მუშათა და გლეხკორთა მასები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

ა. ჭ.

შენიშვნები მუშა და გლეხკორთა შორის მუშაობაზე

მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მუშაობა საბჭოთა საზოგადოებრიობის ერთ-ერთი უძლიერესი გამომხატველია. არც ერთი ხელისუფლება ისეთ დაუნდობელ თვითკრიტიკას არ აწარმოებს, როგორც ეს სჩვევია მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას. თვითკრიტიკაში და საზოგადოებრივ ინიციატივის გაცხოველებაში კი პრესას და მის უდიდეს დამხმარე მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მასებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ასეთი მდგომარეობა ჩვენი გაზეთის რედაქციებს ავალებს მეტი ყურადღება მიაქციონ მუშა და გლეხ კორესპონდენტა ხელმძღვანელობის საქმეს და ყოველნაირად შეუწყონ ხელი მის შემდგომ განვითარებას.

საბჭოთა პრესის საერთო მუშაობაში ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც მიუძღვით ამ მხრივ მნიშვნელოვანი დამსახურება. მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობამ ჩვენში დღეს უკვე მასიური სახე მიიღო და მშრომელ კალმოსანთა ეს არმია უდიდეს დახმარებას უწევს ადგილობრივ პრესას სოციალისტურ მშენებლობის გაშუქებაში.

კერძოთ, გაზეთ „კომუნისტი“-ს გარშემო დღეს თავს იყრის შვიდასამდე მუშა და გლეხი კორესპონდენტი, რომლებიც სისტემატიურად ათავსებენ კორესპონდენციებს ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხების შესახებ. ამ რიცხვში, რასაკვირველია, არ შედის ისეთი მუშა და გლეხი კორესპონდენტები, რომლებიც არარეგულიარულად გზავნიან კორესპონდენციებს ადგილებიდან. მათი სახელი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ლეგიონია.

თავისთავად ცხადია, რომ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა საქმეს, როგორც ახალ საზოგადოებრივ მოვლენას, ჯერ-ჯერობით მრავალი ნაკლი ახასიათებს. ამ ნაკლის აღმოფხვრისაკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ჩვენი ღონისძიება.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მშრომელ კორესპონდენტთა მოძრაობის განვითარებას დიდათ აფერხებს ის გულგრილი და ზერელე დამოკიდებულება ამ საქმისადმი, რომელიც ბევრგან ახასიათებს პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვა ჩვენს ორგანოებს. მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი იწერება მუშგლეხკორთა მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ ავტორიტეტულ პარტიულ ორგანოებს თვით საკავშირო კომპარტიის ყრილობამდეც კი, არაერთი დადგენილება გამოუტანიათ მუშგლეხკორთა მოძრაობისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობის შესახებ, ბევრგან კიდევ არა აქვთ სათანადოთ გათვალისწინებული ამ მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი საერთო წინსვლელობისათვის. ამგვარ განწყობილების შედეგია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ბევრი ჩვენი ორგანოები, როდესაც მათ შესახებ იბეჭდება მუშკორთა წერილები, სათანადო ყურადღებით არ ეპყრობა მათ. პირველ ხანებში ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო. შემდეგ და შემდეგ კი, ბევრმა ყური შეაჩვია მუშკორთა ხმას და ხშირად მუშკორის წერილები რჩება „ხმად მღაღადებლისა“...

ამგვარი მდგომარეობა ორნაირად არის მავნებელი. ჯერ ერთი, გამოუსწორებელი რჩება ის დეფექტი, რომელზედაც მუშკორი, ან გლეხკორი მიუთითებს თავის წერილში და მეორეც, რაც უმთავრესია, ამგვარი უყურადღებობა კორესპონდენციებისადმი მძიმე ლახვარს სცემს თვით მუშკორთა მოძრაობას.

ეს ერთი იმ მთავარ საკითხთაგანია, რომლის მოუგვარებლადაც შეუძლებელია მუშგლეხკორთა მოძრაობის ნორმალურ განვითარებაზე ლაპარაკი.

ამასთან ერთად არის მთელი რიგი ნაკლულოვანებები, რომელთა გამოსწორებაც უმთავრესად თვით რედაქციებსა და მუშკორთა წრეების საქმეს წარმოადგენს. ჩვენ ვლაპარაკობთ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა დაქსაქსულობაზე. ეს უდიდესი ნაკლია მუშგლეხკორთა ორგანიზაციულ მუშაობაში. დღემდე ჩვენმა პრესამ, როგორც ცენტრალურმა ნაბეჭდმა, ისე ადგილობრივმა, კედლის გაზეთებმა, ვერ შესძლეს მუშკორთა და გლეხკორთა წრეების ჩამოყალიბება, ამ წრეებში სათანადო მუშაობის გაშლა და სხვა. მუშგლეხკორთა მასების ზრდა უკანასკნელ დრომდე ბევრ შემთხვევაში სტიქიურ ხასიათს უფრო ატარებს.

ნაბეჭდი გაზეთები შედარებით დამაკმაყოფილებელ მუშაობას აწარმოებენ, იმ ქალაქის მუშკორთა შორის, სადაც გამოდის ეს გაზეთები, რაც შეეხება დანარჩენ ქალაქების სამრეწველო პუნქტების მუშკორებს და სოფლებში დაქსაქსულ გლეხკორებს, მათ შორის თითქმის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ესენი მიტოვებული არიან ბედის ანაბარათ. იშვიათად თუ მოხდება ისეთი ბედნიერი შემთხვევა, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაცია იკისრებს მუშგლეხკორთა კონფერენციის შეკრებას და ამ კონფერენციაზე ცენტრალურ გაზეთების წარმომადგენლის მოიწვევს. სხვა კავშირი რედაქციებისა და პროვინციის მუშგლეხკორთა შორის თითქმის არ არსებობს.

აქედან წარმოიშობა, სხვათა შორის, მთელი რიგი იმ დაბრკოლებათა, რომელთაც ადგილი აქვთ მუშკორთა მოძრაობაში. ასეთია, მაგალითად, უკვე საკმაოდ ცნობილი ცრუკორესპონდენტობა, რაიც დიდ ბოროტებას წარმოადგენს მუშგლეხკორთა მოძრაობაში, ასეთია მუშგლეხკორთა დევნა, რაიც თითქმის საყოველთაო მოვლენად გადაიქცა, ასეთია მავნე გადახრები თვით მუშკორთა წრეში, ეგრედწოდებული მუშკორული ყოყოჩობა და სხვადასხვა. ჩვენ აღარაფერს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ კავშირის სისუსტე რედაქციებისა და მუშკორებს შორის თავის დაღს აჩენს თვით კორესპონდენტების ხარისხზე, მუშკორთა მასალების შერჩევაზე, ნაკლის თუ მიღწევის სრულ და უფრო მოხერხებულათ გაშუქებაზე და სხვა.

რკ. გზის მთავარ სახელოსნოს კედლის გაზეთი „საყვირი“.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს ველარ გაგრძელდება. თუ ჩვენ გვსურს, რომ მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა ნორმალურად განვითარდეს, საჭიროა მჭიდრო და რეგულიარული კავშირი დამყარდეს რედაქციებსა და მუშგლეხკორთა შორის. ამაზე უნდა იზრუნონ პირველყოვლისა თვით რედაქციებმა.

ამ მიზნით „კომუნისტი“-სა და „მუშა“-ს რედაქციებმა უკვე გადასდგეს პრაქტიკული ნაბიჯები. მიღებულია ზომები იმისათვის, რომ რედაქციის სპეციალურ თანამშრომელმა სისტემატიურად ჩამოუაროს მუშგლეხკორთა ადგილობრივ წრეებს, მისცეს მათ პრაქტიკული მითითებანი, გააცნოს მორიგი ამოცანები, რომელსაც აყენებს რედაქცია მუშგლეხკორთა წინაშე, გაეცნოს მათ ადგილობრივ მუშაობის პირობებს და სხვა. ვფიქრობთ, რომ ამის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მუშგლეხკორთა შორის მუშაობა, რაიც სათანადო ნაყოფს გამოიღებს მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობის შემდგომ განვითარების საქმეში.

სტანი.

როგორ სწარმოებდა მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევა ა.-კ. რკინის გზაზე

1921—24 წლებში, ა.-კ. რკინის გზაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მუშკორთა წერილებს. ამის გამო ბევრი მნიშვნელოვანი შენიშვნები რჩებოდა უშედეგოდ. ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ჩვენმა ხელისუფლებამ დროზე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და გამოსცა მრავალი დადგენილებები მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევის შესახებ.

კერძოდ რკინის გზაზეც გამოცემულ იქნა წესები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოებულიყო გამოძიება მუშკორთა შენიშვნებზე. აღნიშნული წესის თანახმად, წერილები გამოსაძიებლად ეგზავნებოდა იმ პირებს, რომლებსაც ეხებოდა წერილი, ასეთი წესით კვლევა-ძიების წარმოებას, რასაკვირველია, რომ არ ექნებოდა დადებითი შედეგი და ვერც შენიშვნა მიაღწევდა თავის მიზანს. ამიტომ მუშკორთა შენიშვნების უმრავლესობა ბათილდებოდა. ამ გარემოებამ გამოიწვია რკინისგზელ მუშკორთა სამართლიანი საყვედური, რამაც აიძულა რკინის გზის ადმინისტრაცია შეეცვალა მუშკორთა შენიშვნების კვლევა-ძიების წესები, ამიერიდან მუშკორთა შენიშვნების გამოძიება დაევალა უდრ-ებს, რომლებიც გამოძიების დამთავრების შემდეგ, თავისი დასკვნით საგამომძიებლო მასალას აგზავნის ა.-კ. რკინის გზის სამართველოში.

ასეთმა წესმა რამოდენიმედ უზრუნველყო გამოძიების საქმის ობიექტიურად წარმოება და რკ. გზასაც საგრძნობი სარგებლობა მოუტანა, ადმინისტრაციაც უფრო მეტი ყურადღებით მოეპყრო მუშკორთა შენიშვნებს და უფრო მეტი ენერგიით დაიწყო ზრუნვა დავალებულ ამოცანის წესიერად და პირნათლად შესასრულებლად.

დღეს მუშკორთა წერილების უდიდესი ნაწილი, მართლდება და ისინი აღწევენ კიდეც თავის მიზანს, მაგრამ ნაწილობრივ კიდევ აქვს ადგილი „კაზიონური“ პასუხის გაცემას; მუშკორთა შენიშვნებზე განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ასეთმა პასუხებმა ფართო ხასიათი მიიღო, ეს ხდება იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს შენიშვნის გამოძიებას წარმოება უხდება იმ დარგის ხელმძღვანელის ხელქვეითს, რომლის ნაკლიც არის აწერილი წერილში. უდავოა, რომ ასეთი გამოძიება ვერ მოგვცემს მუშკორის შენიშვნის სამართლიან შეფასებას, ეს ნაკლიც უსათუოდ უნდა გამოსწორდეს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ შემჩნეული იყო ისეთი შემთხვევები, რომ ხშირად გამოძიებას აწარმოებდენ მოწმეების ჩვენების ჩამოურთმევლად, მაგალითად, შენიშვნა იგზავნებოდა ფოსტით სადგურის უფროსის სახელზე, რომელსაც წინადადება ეძლეოდა წარმოედგინა თანაშემწის, ან დარაჯის ახსნა-განმარტება ან ჩვენება, წერილში აღძრულ საკითხების შესახებ.

ორიოდე სიტყვა ა.-კ. რკინის გზის ადმინისტრატიულ დარგის იმ აპარატის შესახებ, რომლის მოვალეობას შეადგენს: გაზეთების გადაკითხვა, შენიშვნების ამოწერა, მათი შემოწმება, გამოსაძიებლად გაგზავნა, გამოძიებულ წერილზე სწორ პასუხის შედგენა და მთელი ამ მუშაობის აღრიცხვა.

ამ განყოფილების შტატში ითვლება ერთი კაცი, რომელსაც დავალებული აქვს აღნიშნულ მუშაობის შესრულება. მან უნდა გადაიკითხოს, როგორც თბილისის, ისე რუსეთის ყველა გაზეთები და ყველა წერილები, რომელიც კი ეხება ა.-კ. რკ. გზას, უნდა ამოსჭრას და გადაგზავნოს სათანადო ორგანოში გამოსაძიებლად. ამას კი ერთი კაცი ვერ გაუძლევს. 1925-26 წლებში ამ საქმეს ასრულებდა სამი კაცი. დღეს კი, როდესაც სამუშაო უფრო გაიზარდა, სამი კაცის საქმე მიანდვეს ერთ კაცს, ეს გარემოებაც აბრკოლებს მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევის საქმეს.

მუშ-გლეხკორთა მოძრაობა, მათი საღი და ობიექტიური კრიტიკა, წარმოადგენს ბეჭდვითი ორგანოების მძლავრ და საიმედო დასაყრდენ ყავარჯენს. ამიტომ რკ. გზის სამართველომ უნდა გამონახოს საშუალება მუშკორთა შენიშვნების გამოკვლევის გასაუმჯობესებლად.

ზ. შავლიშ.

თბილისის საჟუდის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია

---

l'Humanité

ORGANE CENTRAL DU PARTI COMMUNISTE (S.F.I.C.)

როგორ კეთდება გაზეთი „ლიუმანიტე“

თუ არ ჩავთვლით საბჭოთა კავშირის პრესას, „ლ'იუმანიტე“ არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კომუნისტური გაზეთი მთელს მსოფლიოში. იგი მთელს საფრანგეთში ვრცელდება. მისი საშუალო ტირაჟი 250.000 უდრის. დაარსებული 1904 წ. სოციალისტების ლიდერ ჟორესის მიერ, იგი შეიქნა გაერთიანებული სოციალისტურ პარტიის ორგანოდ. მიუხედავათ ამ დიდი გავლენისა, რომელიც ამ პარტიას ჰქონდა არჩევნებში. „ლ'იუმანიტე“-ს ომამდი არ ჰყოლია 100.000 მეტი მკითხველი. პოლიტიკური მიმართულების გაზეთებს საფრანგეთში საერთოდ არა ჰყავს მასიური მკითხველი.

1919 წ. „ლ'იუმანიტე“-ს ხელმძღვანელობა მუშებმა წაართვეს რენოდელსა და მის თანამშრომელ სოციალ-გამცემლებს. „ლ'იუმანიტე“ ხდება თავისი მნიშვნელობით პირველ პოლიტიკურ გაზეთად საფრანგეთში. ფროსარისა და სუვარინის წასვლის შემდეგ გაზეთი, დაბოლოს, პოულობს ნამდვილ პროლეტარულ შინაარსს.

1924 — 25 წ. წ. „ლ'იუმანიტე“-ს მდგომარეობა იმდენად კატასტროფიული შეიქნა, რომ საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ამხ. სემარი იძულებული გახდა თვით ეკისრა გაზეთის რედაქტორობა. ეს მუშაობა განაგრძო და განავითარა ვაიან-კუტურიემ, რომელიც რედაქციას სათავეში ჩაუდგა 1926 წ. აგვისტოში. სხვა ამხანაგებთან (გაბრიელ პერი, გეიმანი და ბერნარი) ერთად შედგენილ იქნა გეგმა, რომლის განხორციელებამ შესაძლებელი გახადა „ლიუმანიტე“-ს ტირაჟის 80.000 ცალით გადიდება ერთი წლის განმავლობაში. გადაწყდა „ლ'იუმანიტე“-ს გადაქცევა მებრძოლ ორგანოდ, რომელიც იმავ დროს იქნებოდა ადვილი წასაკითხი და მუშა - მკითხველისათვის საინტერესო საკმაო ფაქტებისა და ცნობების შემცველი. შექმნილ იქნა ახალი განყოფილებები: მეცნიერება, სპორტი, კინო, რადიო, ლიტერატურული ფურცელი, ქალი და ბავშვი, ჟიულ რივეს „წითელი ხუმრობა“. მიღებულ იქნა ენერგიული ზომები საინფორმაციო განყოფილების გასაუმჯობესებლად, პოლიტიკური მასალების შესაგუებლად მკითხველის გემოვნებასთან (მოკლე და მწვავე — პოლიტიკურ წერილების მოთავსება მძიმე წერილების რაოდენობის შემცირების ხარჯზე).

ყველა ამ ღონისძიებათა წყალობით, 1926 წ. ოქტომბერში „ლ'იუმანიტე“-ს კანტორამ და რედაქციამ მოიპოვეს პირველი დიდი გამარჯვებები: წაართვეს ბურჟუაზიულ პრესას (უმთავრესად „პტიპარიზიენ“-სა და „კოტიდიენ“-ს) 20—30.000 მკითხველი.

ბუნებრივად ისმება კითხვა: როგორ მოხდა, რომ ფინანსიურად მეტად ხელმოკლემ, საკუთარ სტამბას მოკლებულმა „ლ'იუმანიტე“-მ, რომლის თანამშრომელთა უმრავლესობას 2—3 წელზე მეტი საგაზეთო სტაჟი არა აქვს, შესძლო პირველი ადგილის დაჭერა საფრანგეთის პოლიტიკურ გაზეთებს შორის?... ეს უმთავრესად აიხსნება იმ ერთგულებით, რომელსაც რევოლიუციონური მუშები და გლეხები იჩენენ თავის კლასობრივ ორგანოს მიმართ. მაგრამ არა ნაკლები როლი ითამაშა „ლ'იუმანიტე“-ს რედაქციამ და კანტორამ. მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიულ ჟურნალისტებთან შედარებით უმნიშვნელო ხელფასს (რედაქციის მუშაკები ხელფასს იღებენ იმავე განაკვეთით, როგორც სტამბის მუშები), ლ'იუმანიტე“-ს თანამშრომლები მუშაობენ სანიმუშო გულმოდგინეობით, რომელთან გაცნობა ინტერეს მოკლებული არ იქნება საბჭოთა ჟურნალისტებისათვის.

როცა იწყება „საომარი მოქმედება“...

„ლ'იუმანიტე“-ს რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მონმარტზე, სახლში № 142, მესამე სართულზე, სადაც 24 წლის წინათ ჟორესი ალაგებდა პირველ სარედაქციო მაგიდებსა და სკამებს. ახლანდელ რედაქციაში სამახსოვროდ დარჩა მრავალი ნივთები ძველ „ლ'იუმანიტე“-დან.

დილის 10 საათია. კანტორის მოხელეებს გარდა არავინ ჩანს. მუდამ ბნელი დერეფანი სარედაქციო ოთახების გასწვრივ ჯერ კიდევ ცარიელია.

მაგრამ აი გაისმის ვილაცას მძიმე ნაბიჯები. ჩნდება რედაქციის მდივნის წარმოსადეგი ფიგურა და ყველაფერი ამოძრავდება.

რედაქციის სამდივნო — გაზეთის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი წევრთაგანია. რედაქციაში ორი მდივანია, რომლებიც თითო კვირაობით მორიგეობენ. თავისი მორიგეობის განმავლობაში მდივანს არა აქვს მოსვენება. იგი პირველი მოდის რედაქციაში და უკანასკნელი მიდის სტამბიდან. ვერც ერთი დედანი ვერ ასცილდება მის ხელს, არც ერთი წერილმანი, გაზეთის მომზადებაში არ უნდა გამოეპაროს მას. იგი პასუხისმგებელია „ლ'იუმანიტე“-ს მთელი ტექნიკური მხარესათვის.

დილის 10 საათზე მდივანი მოდის რედაქციაში მორიგი ნომრის მზამზარეული გეგმებით და პროექტებით; მან უკვე წაიკითხა მთელი დილის პრესა და შეადარა იგი „ლ'იუმანიტე“-ს. თუ მას გამორჩა რომელიმე მნიშვნელოვანი ან მეორე ხარისხოვანი ამბავი, მან უნდა მოიფიქროს, თუ როგორი სახით მოათავსოს იგი მორიგ ნომერში, რომ ამ ცნობამ შეინარჩუნოს „სენსაციურობა“. თუ წინა ნომერში დაუშვა რამე შეცდომა ტექნიკური (უადგილო შეარჩია სათაურები, უვარგისი აღმოჩნდა სურათი ან სხვა) ან და პოლიტიკური (მნიშვნელოვანი წერილი თვალში არ ხვდება მკითხველს),—მან უნდა გამონახოს მომავალ ნომერში ამ დეფექტების გამოსწორების საშუალება.

დილის მიღებული სააგენტოს დეპეშები და დილის გაზეთების („პარი მიდი“, „ინფორმასიონ“) წარმოადგენენ მდივნის „საკვებს“ საუზმემდე. ამ დროისათვის მას ნომერი უკვე მზად აქვს თავში. რესტორანში, საუზმის დროს, იგი ადგენს სქემას. დღის ორ საათზე უზარმაზარ ლურჯი ფანქრით მდივანი ხატავს მორიგი ნომრის პირველ გვერდს წმინდა ქაღალდზე ან გუშინდელ ნომერზე.

რედაქციაში ჩაღდება მუშაობა.

განყოფილების გამგეები და თანამშრომლები ავსებენ დერეფანს და ოთახში გადადიან, ერთმანეთს უზიარებენ თავის აზრებს მორიგ საჭირბოროტო საკითხებზე, უცდიან საღამოს პრესას. ხსნიან ჰავასის სააგენტოს უზარმაზარ კონვერტებს. თანამშრომლებს შორის ანაწილებენ მუშაობას.

ამ დროს რედაქციაში ჩნდება ახალი პირი—პასუხისმგებელი მდივანი. მიუხედავათ თავისი სიახალგაზრდავისა, ამხ. პიერ ფორესტიე პრესის ძველი მუშაკია. იგია რედაქტორის თანაშემწე, მისი მარჯვენა ხელი; იგი ხშირათ ეწევა მის მაგიერობას. იგი ამოწმებს პოლიტიკურის თვალსაზრისით ყველა სარედაქციო მასალებს. ისე როგორც ტექნიკური მდივანი, ამხ. ფორესტიე თვალყურს ადევნებს მთელს პრესას და კრიტიკულად ამოწმებს წინა ნომერს. არც ერთი პოლიტიკური ამბავი, არც ერთი შემთხვევა არ გაეპარება მის ყურადღებას.

სწრაფი ნაბიჯი, მოარაკუნებს ტროსტს, ენერგიულად ესალმება ყველა თანამშრომელს — ეს არის ამხ. ვაიან-კუტიური, რედაქტორი. მისი მოსვლა აძლიერებს ენერგიას, ენტუზიაზმს მატებს მუშაობას. თითეული თანამშრომლისათვის, თუ მისთვის რამე გაურკვეველია ან უძნელს დავალებული სამუშაოს შესრულება, საკმაოა მივიდეს რედაქტორთან და იგი დაკმაყოფილებული იქნება.

მოსვლისთანავე ვაიან - კუტიურეს კაბინეტში იწყება სარედაქციო თათბირი. ამ თათბირის წევრებია: პასუხისმგებელი მდივანი, ტექნიკური მდივანი, ძირითად განყოფილებების (შინაური პოლიტიკა, საგარეო პოლიტიკა, მუშათა ფრონტი და ინფორმაცია), გამგეები. კამათს ხელმძღვანელობს რედაქტორი. გადამწყვეტ როლს კამათში თამაშობს „ლ'იუმანიტე“-ს რედაქტორის და პარტიის პოლიტბიუროს წარმომადგენლის ამხ. მარსელ კაშენის კომპეტენცია და ავტორიტეტი. მარსელ კაშენი ერთდროულად ხელმძღვანელობს „ლ'იუმანიტე“-ს რედაქციასაც და კანტორასაც.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, რომელიც გრძელდება 20 წუთიდან ერთ საათამდე, გაზეთის შინაარსი და მუშაობის განაწილება გამორკვეულია. ეს ხდება საღამოს 5—6 საათზე. კაშენი მიდის პირველი მეთაურის დასაწერად. ვაიან - კუტიური სწერს მეორე წერილს, ჩვეულებრივ მოკლეს, მწვავე პოლიტიკურს, რომელიც შეეხება რაიმე საჭირბოროტო საკითხს. განყოფილებათა გამგეები მიდიან თავ-თავიანთ ოთახებში.

რედაქციაში იწყება „საომარი მოქმედება“. საღამოს (ცხრა საათამდე ან ათის ნახევრამდე იგი გართული იქნება ინტენსიურ მუშაობაში.

განყოფილება „შინაური პოლიტიკა“ — ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ძნელია ხელმძღვანელობის თვალსაზრისით. მისი დანიშნულებაა ყოველდღე სწორი კომუნისტური შეფასება გაუკეთოს მორიგ მოვლენებს, საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. განყოფილებას უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს არა მარტო რედაქცია, არამედ პარტიის უმაღლესი ორგანოებიც. განყოფილებას ხელმძღვანელობს ამხ. გეიმანი, რომლის განკარგულებაშია სპეციალური თანამშრომელი, რომელსაც მოაქვს დეპუტატთა პალატის სხდომის ანგარიშები, თანამშრომელი, რომელიც იძლევა სენატის სხდომის ანგარიშებს და ორი ინფორმატორი (მათ მოაქვთ ცნობები სამინისტროებიდან, აწვდიან გაზეთს ცნობებს პარლამენტის კულუარებში შექმნილი განწყობილების შესახებ, მოაქვთ პოლიტიკურ პარტიების კონგრესების ანგარიშები, ატარებენ ანკეტებს პროვინციაში და სხვ.).

მუშაობა უცხოეთის განყოფილებაში ყველაზე თავსამტვრევია. გამგე ამხ. პერი ორ თანაშემწესთან ერთად ავსებს განყოფილებისათვის დათმობილ მთელ მესამე გვერდს. ამხ. პერი ყოველდღე სწერს მეთაურს ამ განყოფილებისათვის. ერთი ამხანაგი მხოლოდ და მხოლოდ დეპეშების დამუშავებას უნდება, მეორე — უმთავრესად კითხავებს, რომლებიც ეხება ლათინურ და ბალკანეთის ქვეყნებს.

დეპეშებსა და წერილებს, რომლებიც მოდის „ლ'იუმანიტე“-ს საკუთარ კორესპონდენტებისაგან — ლონდონიდან და ბერლინიდან, ჩვეულებრივ თვით ამხ. პერი უკეთებს რედაქციას. საღამოს 8 საათზე თანამშრომელს მოაქვს უკანასკნელი ცნობები კე დ'ორსე-დან (გარეშე საქმეთა სამინისტრო).

„უცხოეთის პოლიტიკა“ როდია ყოველთვის წყნარი განყოფილება. ისეთი ამბები, როგორიც არის საყოველთაო გაფიცვა ინგლისში, ჩინეთის რევოლიუცია, აჯანყება ვენაში — აქცევენ მას „მდუღარე ქვაბათ“. მასალები, რომლებიც ჩვეულებრივ მესამე გვერდზე თავსდება, ამ შემთხვევაში პირველ გვერდზე იჭერენ ადგილს. ასეთ დღეებში „უცხოეთის განყოფილების“ თანამშრომლები ივიწყებენ, თუ რა არის ძილი...

რამდენათ ნაკლებ თანამშრომლებს შეხვდებით ჩვენ საინფორმაციო განყოფილების ოთახში, მით უფრო მრავალფეროვან და საინტერესო ცნობებს უნდა მოველოდეთ გაზეთის მორიგ ნომერში. ეს აიხსნება იმით, რომ განყოფილებაში მომუშავე ოთხი თანამშრომელი ძირითად სამუშაოს ასრულებს რედაქციის კედლებს გარეთ: მათ „ექსპედიციაში“ გზავნის განყოფილების გამგე ამხ. ფურიე. რეპორტიორებმა არ იციან, თუ რა არის ნორმალური ცხოვრება. მათი სამუშაო დღე ზოგჯერ იწყება დილა-ადრიან საქონლის საწყობში (მუშების მდგომარეობის გამოკვლევა) და შეიძლება გათავდეს გვიან ღამით (ანგარიში დიდი მიტინგის შესახებ). მასალა კი დროზე უნდა იყოს მოტანილი, თორემ რედაქციის მდივანი რისხვას დაატეხს დაგვიანებულს...

განყოფილებას „მუშათა ფრონტი“ წინად „საზოგადოებრივი ცხოვრება“ ეწოდებოდა, მაგრამ ვაიან-კუტიურიემ მას ახალი სახელწოდება მისცა, რომ ხაზი გაესვა განყოფილების მებრძოლი ხასიათისათვის. განყოფილების თანამშრომელთა უმრავლესობა არ არის შტატის მოსამსახურეები. ეს განყოფილება ანხორციელებს გაზეთის უშუალო კავშირს პროფკავშირებთან და მუშათა მასებთან.

განყოფილების გამგის, ძველი პროფმუშაკის ამხ. რავოს კაბინეტში განუწყვეტლივ ფუსფუსობენ ამხანაგები სხვადასხვა პროფკავშირებიდან და მუშათა ორგანიზაციებიდან. განყოფილების ყველა თანამშრომელი—მუშათა ოჯახიდანაა გამოსული. თითეულ მათგანს აქვს პროფმუშაობის რამდენიმე წლის სტაჟი. თითეული მათგანი მჭიდროდაა დაკავშირებული რამდენიმე მუშათა ორგანიზაციასთან.

დიდი ხანი არ არის, რაც მოხერხდა განყოფილებაში მუშკორთა კუთხის შემოღება.

ოთხ ძირითად განყოფილებას გარდა, „ლ'იუმანიტე“-ში არის მეორე ხარისხოვანი, მაგრამ ხალისით წასაკითხი განყოფილებები. ამ განყოფილებების თანამშრომლებს შორის არიან: ჰანრი ბარბიუსი და პარიზელი (ლიტერატურული ფურცელი), მუსინაკი (კინო და რადიო), რობერტ (სპორტი), რაპპოპორტი*) (მარქსიზმის ისტორია და თეორია), ექიმი კორო (მედიცინა), ბერლიოზი (ეკონომიური შენიშვნები), ჟიულ რივე, რომელიც სწერს „წითელ ხუმრობას“, (პატარა, ყოველდღიური სატირა სხვადასხვა მოვლენებზე, ანეკდოტები პოლიტიკის დარგიდან, რომელსაც ჩვეულებრივ სიამოვნებით „შეექცევიან“ პარიზელი მუშები).

განყოფილებას „სამხედრო ცხოვრება“ ადგენენ ახალგაზრდა ამხანაგები, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სამსახური.

არ უნდა დავივიწყოთ კიდევ „ლ'იუმანიტე“-ს თანამშრომელთა ერთი ჯგუფი, რომლებიც ზრუნავენ გაზეთის მატერიალურ კეთილდღეობაზე. მათი მონაწილეობის გარეშე საუკეთესო პროექტები ვერ გასცილდებოდნენ იდეათა სფეროს. მე ვლაპარაკობ კანტორაში მომუშავე ამხანაგებზე. ნაკლებად გამოცოცხლებულ ოთახებში, ვიდრე სარედაქციო ოთახებია, მოთმინებით და წესიერად ასრულებენ ისინი თავის ვალდებულებებს, რომლებიც საჭიროა „ლ'იუმანიტე“-ს არსებობისათვის. კანტორას განაგებენ ამხ. მორანი (დანიშნული პოლიტბიუროს მიერ) და სე (თანაშემწე),—ორივე ეს ამხანაგი ყოფილი მუშებია.

„ყოველდღიური მშობიარობა“

დაუბრუნდეთ იმას, რასაც ამხ. ვაიან-კუტიურიე უწოდებს „ყოველდღიურ მშობიარობას“. 6-დან 9 საათამდი თანამშრომელთა ყველა მასალები თავმოყრილია მდივნის მაგიდაზე. ამ დროს რედაქციის მდივანი პირდაპირ შეუდარებელია. უშველებელი ლურჯი ფანქარი, მაკრატელი და კალათი, — აი მისი მთავარი იარაღები. იგი „ჰკვეთს“ ყველაფერს, რაც მეტად „გრძლად“ მიაჩნია. იგი ნიშნავს სტრიქონების განსაზღვრულ რაოდენობას თითეული წერილისა და შენიშვნისათვის. იგი ულმობელია. ძლიერ იშვიათად ხდება, რომ მან გამონაკლისი დაუშვას კაშენის ან ვაიან-კუტიურიესათვის.

იგი „ჰკვეთს“.

შემდეგ მისი ცხოვრება ორად იყოფა თავის კაბინეტსა და სტამბას შუა. „ლ'იუმანიტე“ იბეჭდება ბურჟუაზიულ მესტამბესთან—ბ. ლანგლონთან მისი სტამბა რედაქციის პირდაპირ არის მოთავსებული. ასოთ - ამწყობები მშვენიერ განწყობილებაში არიან „ლ'იუმანიტე“-ს თანამშრომლებთან. ყოველთვიურად იმართება ამხანაგური ვახშამი კაშენის თავმჯდომარეობით. ამ ბანკეტზე, გარდა რედაქციისა და სტამბისა, მონაწილეობას იღებენ კანტორის თანამშრომლები და სხვა ტექნიკური მუშაკები. ამ ჩვეულებამ შემოღებულმა ვაიან-კუტიურიეს მიერ, საშუალება მოგვცა ნამდვილად ამხანაგური დამოკიდებულება დაემყარებია „ლ'იუმანიტე“-ს მუშაკთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

მაგიდებს, რომლებზედაც აწყობილი მასალის სვეტები გვერდებათ იკვრება, ფრანგ ჟურნალისტების ჟარგონზე „მარმარილოს“ უწოდებენ. „მე ახლა მოვხვდები მარმარილოზე“, „მე მარმარილოზე ვარ“, — ასე ლაპარაკობენ სარედაქციო წრეები.

საღამოს 9 საათისათვის მასალის უდიდესი ნაწილი უკვე ჩაბარებულია ასაწყობად. მასალა, რომელიც უნდა წავიდეს პირველ და მეორე გვერდზე, (ზოგჯერ მეთაურისა და ხშირათ საჭირბოროტო საკითხისთვის მიძღვნილ მეორე წერილის გამოკლებით) უკვე მზადაა. მაგრამ ჩვეულებრივ ხდება სიურპრიზები. გაზეთის ცხოვრება თავს იყრის „მარმარილოს“ გარშემო. უკანასკნელი დეპეშების დამუშავება, უკანასკნელი ცნობების გასწორება, უკანასკნელი წერილების წერის დასრულება — ყველაფერი ეს ხდება უკვე გაზეთის გვერდების შეკვრის დროს.

ცხრასა და თერთმეტის ნახევარს შუა ერთგვარი სიწყნარე მყარდება. ახალი ამბები ნელის ტემპით მოდის. მხოლოდ 11 საათიდან სააგენტოები თავზე გვაყრიან მასალებს. ღამის პირველ საათამდე მიმდინარეობს ნამდვილად ჯოჯოხეთური მუშაობა. „მარმარილოს“ საათი, ეს არის მოულოდნელ ცვლილებების საათი, საათი, როცა გაზეთის პირველი გვერდი, ჯერ კიდევ დილით დახატული რედაქციის მდივნის ლურჯი ფანქრით, სრულიად იცვლება უკანასკნელი ამბების წყალობით, რადგან ეს უკანასკნელი ამბებია ერთად - ერთი ძალა, რომლის წინაშე ქედს იხრის დიქტატორი — „მარმარილო“. ეს არის აგრეთვე საათი სათაურების, რომლებიც იცვლება ელვისებური სისწრაფით. საჭიროა, რომ ეს სათაურები და ქვესათაურები თვალში ხვდებოდეს მკითხველს, რომ იგი იძულებული შეიქნეს იყიდოს და წაიკითხოს გაზეთი. ეს არის საათი ვაიან-კუტიურიესი, სათაურების და ქვესათაურების უბადლო ოსტატის, გაზეთის ხელოვანის, რომელიც ხშირათ განცვიფრებული მდივნის თვალწინ 5 წუთის განმავლობაში სრულიად სცვლის გაზეთის ფიზიონომიას.

გარდა იმ თანამშრომლებისა, რომლებიც სასწრაფოდ ათავებენ თავიანთი მასალების წერას, „მარმარილოსთან“ მუდმივად პოსტზე იმყოფება ექვსი ამხანაგი: ყველაგანმყოფი ვაიან-კუტიურიე და გენერალური მდივანი; ამხ. პერი — თავის მესამე გვერდთან; ამხ. რავო კრავს მეოთხე გვერდს; რედაქციის მდივანი უმთავრესად პირველ, მეორე და მეექვსე გვერდებს უფუსფუსებს; სამდივნოს თანამშრომელი კრავს მეხუთე გვერდს — ლიტერატურა, კინო და სხვ.

მასალის უკანასკნელი სტრიქონი აწყობილია. უკვე გასწორებულია პირველი და მეორე კორექტურა. გვერდებს ათავსებენ ჩარჩოებში და, თითქოს ვილაცას კარნახით, ყველანი იშლებიან.

არ მიდის მხოლოდ რედაქციის მდივანი, როგორც კაპიტანი გემის, რომელმაც ავარია განიცადა. იგი რჩება პოსტზე და თვალყურს ადევნებს გვერდების ჩაშვებას. ნახევარი საათის შემდეგ იგი განიცდის იმ აუწერელ სიამოვნებას, რომელიც ნაცნობია ყოველი ჟურნალისტისათვის, როცა იგი შეისუნთქავს ახლად შობილ ნომრის პირველ ანაბეჭდების საღებავის სუნს.

ღამის სამის ნახევრიდან, კონტრაგენტ აშეტის ავტომობილები იწყებენ „ლ'იუმანიტე“-ს გადაზიდვას, დილის 6 ნახ. საათზე, „ლ'იუმანიტე“ უკვე მიტანილია პარიზის მიწის ქვეშა რკინისგზის სადგურში და იყიდება ქალაქისა და გარე უბნების ყველა მეგაზეთეებთან. მხოლოდ სენის დეპარტამენტში ყოველ დილით ვრცელდება 100.000-დე ცალი. დანარჩენი ტირაჟი—მთელს სახელმწიფოში; საფრანგეთის ყველა უშორეს კუთხეებში ფრიალებს რევოლიუციონური კომუნისტური დროშა —„ლ'იუმანიტე“.

პოლ ანდრე.

---

*) დღეს „კომუნისტი“-ს პარიზელი კორესპონდენტი.

ქრონიკა

ამხ. ნ. ჟუღელის სახელობის ელსადგური

პირველ მაისს ხოფ. სვირში მოხდა ამხ. ხამონ ჟუღელის სახელობის ელსადგურის საზეიმო გახსნა.

ელსადგურის საზეიმო გახსნას დაესწრო ქუთაისის და შორაპნის მაზრების პარტიულ-პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები და დიდძალი გლეხობა.

ელსადგურის წინ გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს ადგილობრივ ხელისუფლების და გლეხობის წარმომადგენლებმა.

სადგური აგებულია სვირის შრომელი გლეხების მიერ საკუთარი საშუალებებით.

ხომლელის ნეშტის დაკრძალვა

დამკრძალავი კომიტეტის დადგენილებით ხომლელის (ოთმანოვ სპირიდონის-ძე ფანცხავას) ნეშტის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 8 მაისს.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოწყობა

მიწსახკომის ცნობით, ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოწყობის საქმე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს. ტყის მომწყობმა რაზმებმა წინასწარი მუშაობა უკვე დაამთავრეს. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების სახით გამოყოფილია: თელავის მაზრაში—12.550 ჰექტარი, თბილისის მაზრაში—5.800 ჰექ., ბორჩალოს მაზ.—3.800 ჰექ., დუშეთის მაზრაში—7.500 ჰექტარი, ახალციხის მაზრაში—12.000 ჰექტ., გორის მაზრაში—32.000 ჰექტარი.

ტუბერკულიოზის დისპანსერი

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ტუბდისპანსერის ასაგებად.

დისპანსერი შენდება მელიქიშვილის ქუჩაზე. შენობის აგება დაიწყო გასულ წელს და ამჟამად უკვე დამთავრებულია შენობის მთავარი ნაგებობა. შენობა ხუთ სართულიანი და მასში მოთავსებული იქნება აფთიაქი, აუდიტორიები, კლინიკები (სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკისათვის), საექიმო კაბინეტები და სხვ.

შენობის თავზე ეწყობა მოედანი მზის აბაზანებით და სამკურნალო ფარდულებით. დისპანსერს ექნება ცალკე განყოფილება სტაციონალურ ავადმყოფობისათვის და საკუთარი კარგად მოწყობილი ბაღი.

დისპანსერი გაიხსნება მომავალ წელში.

გემ „ფრიჯი“-დან გადარჩენილი საქონლის მიღება

ბათომში მიღებულია ამას წინეთ დაღუპულ გემ „ფრიჯი“-დან გადარჩენილი საქონელი. გადარჩენილ საქონელს შორის არის „ზაკსელმაში“ მიერ საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისათვის უცხოეთიდან გამოწერილი 7.000 კილო სხვადასხვა წამლეულობა სოფლის მეურნეობისათვის და 50.000 მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი.

სათანადო კომისიამ შეამოწმა გადარჩენილი საქონელი და სცნო იგი ნაწილობრივ გამოსადეგად.

სახალხო მეურნეობის ტრესტი დათანხმდა მიიღოს ვარგისად ცნობილი წამლეულობა და ამერიკული ლერწის ნაწილი, იმ პირობით, თუ ისინი გამოსადეგი აღმოჩნდება დამუშავების დროს.

თბილისის ალმასკომში

◆ ჯანმრთელობის განყოფილების ნება დაერთო მაზრის აგარაკების ცენტრში მეძროხეები ძროხა პირუტყვი შეთანხმებით გადაიყვანონ აგარაკების განაპირა რაიონებში.

◆ მასწავლებელთა გადასამზადებლად განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრის სხვადასხვა რაიონებში გახსნას კურსები ზაფხულის განმავლობაში.

◆ რადიო. პოლიტგანის დადგენილი მაზრაში გახსნას 13 ახალი რადიო მიმღები სადგური.

◆ 1928—29 წლის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია თბილისის მაზრაში დაიწყება ამ დღეებში.

მიწსახკომში

◆ აგრო-დახმარება. მიწსახკომმა ხაშურში გახსნა აგრო-დახმარების სადგური.

◆ ღვინის ხარდაფი. მიწსახკომის ცნობით, სვირში დაიწყო ღვინის ხარდაფის აგება. ხარდაფი დაიტევს 50 ათას ვედრო ღვინოს.

ჯანსახკომში

◆ ახალი საავადმყოფო. ჯანსახკომის ცნობით, ხოფ. ჟინვალში (დუშ. მაზ.) დაიწყო ახალი საავადმყოფოს აგება.

◆ ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში შეწყდა ავადმყოფების მიღება 4 თვით ინსტიტუტის შეკეთების დაწყების გამო.

განათლების კომისარიატში

◆ გაზაფხულის სესიები. განსახკომის ცნობით, უნივერსიტეტში გაზაფხულის სესიები დაიწყება 20 მაისიდან.

◆ სკოლა. სოფელ ახმეტაში (თელ. მაზ.) განსახკომმა გახსნა ახალი სკოლა.

პროფკავშირებში

◆ მკითხველთა საერთო კრება, რომელიც უნდა შემდგარიყო დღეს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში, გადაიდო 13 მაისისათვის.

◆ 70.000 მ. კლუბისათვის. საბჭოთა კავშირის ფეიქართა კავშირიდან საქ. ფეიქართა კავშირმა ოზურგეთში ფეიქარ მუშებისათვის კლუბის ასაგებათ მიიღო 70.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ ხოცბოგენის აუდიტორიაში დღეს საღამოს 8 ს. შესდგება სახ. უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის საერთო კრება.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. წყნეთიდან—მეგრელიშვილს, ძველ ბუხარიდან — ხასრუაშვილს, ოზურგეთიდან — შარაშიძეს, კამარლინუდან ოგანეზოვს.

◆ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პროფბიურო (მუშათა პროფმოძრაობის ისტორიის შემსწავლი (კ. ა.) სთხოვს 1905—7 წლების პროფმუშაკ ნიკო დოლიძეს შემოიაროს პროფსაბჭოში. თუ თბილისში არ იმყოფება გვაცნობოს ბინადრობის ადგილი. მისამართი თბილისი, პროფსაბჭო, ოთახი № 12.

ხელოვნება

კამერული თეატრი

„ადრიენა ლეკუვრერ“.

კამერული თეატრი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ფორმალური ექსპრესია: აქტიორის გარეგანი ტეხნიკის აბსოლიუტურმა კულტმა სცენიური გამოსახულებათა ფორმები თვით მიზნად აქცია და არა საშუალებათ შემოქმედებითი ემოციების მაყურებელ დარბაზზე გადატანისა. ა. ტაიროვმა ესთეტიურ თეატრს თავისებური დახაბუთება მისცა და მით აქტიორის შინაგანი ემოცია ახალ ტყვეობაში მოაქცია: თუ ნატურალიზმმა ლიტერატურით ჩაჰკლა აქტიორის შემოქმედება და პირობითი თეატრმა ეს შემოქმედება მხატვრობის გეგემონიას დაუმორჩილა,—კამერულმა თეატრმა აქტიორის მხატვრული „მე“ მის გარეგანი მოძრაობის რიტმით განსაზღვრა და მით აქტიორის შემოქმედებითი ორგანიზმი უსიცოცხლო მანეკენათ აქცია. რასაკვირველია, მსახიობის „გარეგანი ტეხნიკა“ უდიდესი ღირებულების მქონეა სცენიური შემოქმედების გამოვლინების საქმეში, მაგრამ ეს ტეხნიკა მხოლოდ საშუალება უნდა იყვეს მაყურებლის ემოციონალური დაპყრობისათვის და არა თვით მიზანი, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრი დაკარგავდა საზოგადოებრივი ფაქტორის ღირებულების ხასიათს და მით ის უძლური შეიქნებოდა შეესრულებინა რამე დადებითი სოციალური ფუნქცია. ასე მოუვიდა კამერულ თეატრს. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ მოსკოვის კამერულ თეატრს უდიდესი მიღწევები აქვს აქტიორული მასალის დამუშავების საქმეში. ჩვენ იმასაც ხაზს ვუსვამდით, რომ მთლიანათ ამ მიღწევებს განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ყოველ მის დადგმებში მოცემულია აბსოლიუტური რიტმი. მაგრამ აქ არ არის ამ რიტმის, ამ ფორმების ემოციონალური შინაარსით დატვირთვა, რისთვისაც ის ვერ მიდის რევოლიუციონურ თანადროულობასთან და ობიექტურათ ახაბუთებს თავის თავს, როგორც ახალი სახის ფორმალისტური თეატრი. თეორეტიულათ კამერულ თეატრის ფორმალისტურ გადახრამ გამოხატულება ჰპოვა იმ შემცდარ დებულებაში, თითქოს თეატრის მთავარი ელემენტი მარტო აქტიორია და არა აქტიორი და მაყურებელი.

ყველა ამ შეხედულებათა ცოცხალ ილიუსტრაციას წარმოადგენს „ადრიენა ლეკუვრერ“-ის დადგმა. პიესის შინაგანი ფონი სანტიმენტალური ინტრიგაა, სადაც მთავარ პერსონაჟებათ გამოდიან ფრანგული კომედიის აქტიორისა და ადრიენა ლეკუვრერ, გრაფი მორის საქსონიელი და ბულონელი პრინცესა. მორის საქსონიელს და ადრიენას უყვართ ერთმანეთი. მაგრამ მათ წინ ეღობება ბულონელი პრინცესა, რომელიც ძლიერ შეყვარებულია გრაფზე. გრაფს უნდა ნებართვა მთავრობისაგან პოლკების შესადგენათ, რომ დაიპყროს თავის საჰერცოგო. პრინცესა აღუთქვამს მას დახმარებას ამ ნებართვის მიღებაში, რისთვისაც ისინი უნდა შეხვდნენ ერთმანეთს აქტრისა დიუკლოს ბინაზე. ბულონელი პრინცი დაინტერესებულია დიუკლოთი და როგორც კი გაიგებს, რომ მორისი დიუკლოს ბინაზე იქნება, გადაიწყვეტს, რომ მორისი დიუკლოზე შეყვარებულია, რისთვისაც მან შური უნდა იძიოს მორისისათვის უხერხული მდგომარეობის შექმნით. ეს უხერხული მდგომარეობა შეიქმნებოდა, თუ პრინცი ყველა მოხელეებს და მათ შორის ადრიენასაც მოიპატიჟებდა დიუკლოს ბინაზე გრაფის იქ კონსპირატიულად ყოფნის დროს. მორისი და პრინცესა ხვდებიან ერთმანეთს დიუკლოს ოჯახობის დროს და როდესაც გრაფი ღებულობს ნებართვას პოლკების შედგენის შესახებ, ის უმხელს პრინცესას, რომ მას ის არ უყვარს. სტუმრების მოსვლის ხმაურმა შეაწყვეტინა მათი ლაპარაკი. მოდის ადრიენა და შემდეგ პრინცესას გაქცევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო სკანდალი. მორისისაგან მიტოვებული პრინცესა შურს იძიებს მასზე: მან გამოიძახა გრაფები მორისის წინაშე და წარუდგინეს მას ვალის თამასუქები. მორისს ციხით ემუქრებიან, მაგრამ ადრიენა ჰყიდის თავის ძვირფასეულობას და იხსნის მას. თვითონ პრინცესასაგან მოწამლული კვდება.

ასეთია მოკლედ პიესის ფაბულა. თანამედროვე ეპოქისათვის პიესას არავითარი სოციალური ღირებულება არ გააჩნია; ერთია „სიყვარულის პრობლემა“, გაშლილი ახალი ყოფის და ახალი საზოგადოებრივი წესწყობის ფაზებში, და მეორეა, როცა ამ პრობლემის ფონი მე—18 საუკუნის ფრანგული ფლირტია. მთელი დადგმა მოცემულია როკოკოს სტილში. როკოკოს თქვენ ხედავთ არა მარტო პარიკებში, კოსტიუმებში და მიხვრა-მოხვრაში, არამედ სცენიურ მოძრაობებშიაც; როკოკოს სტილი მთლიანათაა მოცემული. სინათლის ეფექტები, როგორიც ჩვეულებრივათ, ოსტატურათაა გაკეთებული. ამსრულებლებში აღსანიშნავია კოონენი და წერეთელი. პირველმა მშვენივრად შესძლო ფრანგ აქტრისის ტრაგედიის განცდების გადმოცემა, ხოლო წერეთელმა ფრანგული ცერემონიალური თეატრის ტონებში მხატვრულად სწორი სახე მოგვცა ახალგაზრდა გრაფ საქსონიელისა, რომელიც ცდილობს თავის სიყვარულის დაპყრობისაკენ. ცინიზმი, „გრაცია“, ფლირტი, აბსოლიუტური ხაზი ცალკეულ ეპიზოდებში—აი როკოკოს ეპოქის დამახასიათებელი შტრიხები. „ადრიენა ლეკუვრერის“ დადგმა მთლიანად ამ შტრიხებშია მოცემული. მაგრამ იბადება კითხვა: „დღე და ღამე“, „ქარიშხალი“, „სიროკკო“, „ადრიენა ლეკუვრერი“, „ჟიროფლე-ჟიროფლა“ ნუთუ ეს არის თანამედროვე თეატრი? პასუხი აქ ერთი უნდა იყვეს:—რასაკვირველია, არა, ეს არის ფორმალური ექსპრესია კამერული თეატრისა, რომელიც, თუ ამ გზით წავიდა, აუცილებლად ხრამში გადაიჩეხება.

შ. დ.

ხელოვნების ქრონიკა

მუშათა საკვირაო კონსერვატორია

სახელოვნო დაწესებულებათა მთავარ მმართველობამ შეიმუშავა პროექტი, რომლის თანახმად, საქართველოს სახ. კონსერვატორიასთან უნდა დაარსდეს მუშათა საკვირაო კონსერვატორია.

მუშათა საკვირაო კონსერვატორიაში მეცადინეობა სწარმოებს 8 თვის განმავლობაში კურსის დამთავრებისას მსმენელთ ენიშნებათ გამოცდები, რომელზედაც გამოირკვეულ იქნება მათი მუსიკალური მომზადების ხარისხი. ზოგიერთი მსმენელთაგანი, რომელიც უფრო მეტ უნარიანობას გამოიჩენს, დატოვებული იქნება კონსერვატორიის დამატებით კურსებზე მუსიკალური მომზადების გასაღრმავებლად.

მუშათა საკვირაო კონსერვატორიაში მიღებული იქნებიან ორივე სქესის მუშები და გლეხები არა უმცროსი 12—16 წლისა. შემსვლელთა უპირველეს ყოვლისა მოეთხოვებათ კარგი მუსიკალური სმენა და სხვა ფიზიკური შესაძლებლობანი, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ სპეციალობაში სამუშაოდ (ხმა—მომღერალისათვის, მოქნილი ხელები—პიანისტის დამკვრელისათვის და სხ.).

მუშათა საკვირაო კონსერვატორიაში სწავლა უფასო იქნება.

„პოეზიის დღე“

შეხვედრით სიტყვის დღესთან დაკავშირებით მწერალთა ფედერაცია სცემს სპეციალურ გაზეთს: „პოეზიის დღეს“.

ამავე დღისათვის გამოვა ჟურ. „ქართული მწერლობის“ მორიგი ნომერი.

◆ კამერულ თეატრის მიერ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დღე და ღამე“.

◆ საბავშვო თეატრი. თბ. ალმასკომის განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მომავალ წლიდან თბილისში გახსნას საბავშვო თეატრი.

◆ უმუშევართა სასარგებლოდ დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „მაგდალინე დელ ორტო“.

◆ სათეატრო თათბირი. ორშაბათს, 7 მაისს საღამოს 7 საათზე, ხელოვანთა სახლში გაიხსნება სათეატრო რესპუბლიკანური თათბირი. დელეგატებს მანდატების მიღება შეუძლიათ ხელოვნების განყოფილებაში.

◆ ნ. რაიდნოვას საღამო - კონცერტი. ამ დღეებში კონსერვატორიაში გაიმართება ნ. რაიდნოვას ვოკალურ წრის საღამო-კონცერტი.

◆ მე-9 შრომის სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, კვირას დილით კინო „აპოლოში“ ნაჩვენები იქნება სურათი „ნათელა“. დასაწყისი დილის 11 ს.

კინო

„ბ ო რ ა“

ვოინიჩის რომანის მიხედვით, დადგმა კ. მარჯანიშვილის, ოპერატორი სერგეი ზაბოზლაევი

ვოინიჩის „ბორა“ მთელ ლიტერატურაში განთქმული პოპულარული ნაწარმოებია. მარტო რუსეთში ის ოცდაათჯერ გამოიცა. რომანის ასეთი პოპულარობა ალბად აიხსნებოდა იმ იდეებით, რომლებსაც რომანი ქადაგებდა, და მისი ოსტატური აღნაგობით. კლერიკალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც უკავშირდებოდა იტალიის განმანთავისუფლებელ მოძრაობას წარსულ საუკუნის 40 წლებში,—აი რომანის მთავარი იდეა. ანტირელიგიურ ნაწარმოებთა შორის თავისი სიძლიერით, და ოსტატობით „ბორა“-ს ერთი პირველი ადგილთაგანი ეჭირა. „ბორა“-ს, როგორც ანტიკლერიკალურ ნაწარმოების, კინემატოგრაფიული გადმოღება აუცილებლად მისაღებია. აქ შესაძლებელია მხოლოდ ერთი კორექტივა, სახელდობრ ის, რომ ძველ და განყენებულ ეპოქასთან გვაქვს საქმე და თანამედროვეობაში ბევრი რამ უკეთესი და მნიშვნელოვანი შეიძლება მოიპოვებოდეს.

მაგრამ არ შეიძლება ძველი სკოლის და მსოფლმხედველობის ოსტატს, როგორიც არის ფაქტიურად მარჯანიშვილი, მოსთხოვოთ თითქმის სურათის გადაღება. მაშასადამე, თუ აუცილებელია მარჯანიშვილის კინემატოგრაფიაში მუშაობა, საჭიროა ისეთი მასალის მოძებნა, რომლის კინემატოგრაფიულად გადამუშავება მინიმალური დადებით ეფექტს მაინც მოახდენს. ვოინიჩის ლიბერალური „ბორა“ ამ მხრივ, რასაკვირველია, გაცილებით უფრო თანადროული და მისაღებია, ვიდრე „ამოკ“, ან კიდევ სხვა რამ. რით არის საინტერესო და მისაღები ვოინიჩის „ბორა“. იმით, რომ „ბორა“-ს ავტორი გამართული პრინციპიალური ხაზით ებრძვის კლერიკალიზმს,—სარწმუნოებას. ეს ბრძოლა კი ეხლა მეტად საჭიროა. პოლიტიკურად და ეკონომიურად თავისუფალ მშრომელ ხალხს, კულტურულ დონის ამაღლების და სოციალისტურ მშენებლობისათვის სჭირდება საღი რაციონალური გონება და გრძნობა, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს ყოვლგვარ ცრუმორწმუნეობისაგან. სარწმუნოების და სამღვდელოების წინააღმდეგ ჩვენ გაფართოებულ ბრძოლას ვაწარმოებთ და ამ ბრძოლაში კინომ, რასაკვირველია, თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს. მაგრამ ბრძოლის მეთოდი მეტის მეტად ფრთხილი და ზომიერი უნდა იყოს. სარწმუნოებრივ გრძნობის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა სწარმოებდეს იმგვარად, რომ არ შეურაცყოს მორწმუნის გრძნობა, არამედ დაუმტკიცოს მას სარწმუნოების არარაობა და უარყოფითი როლი ახალ კულტურულ ცხოვრების პროცესში. აქ საჭიროა სწორად დაყენებული მეცნიერული პროპაგანდა და მხატვრული ფაქტების რიგიანი მობარჯვება.

„ბორა“-ს ერთად ერთ სოციალურ დანიშნულებას წარმოადგენს კლერიკალიზმის და სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა. შეასრულა თუ არა მარჯანიშვილმა ეს მთავარი დაკვეთა, რომლითაც შეიძლებოდეს სურათის გამართლება. უეჭველად შეასრულა. სურათი პირველ კადრიდან უკანასკნელამდე გამსჭვალულია კლერიკალიზმის მოწინააღმდეგე იდეოლოგიით. და ეს დადებითი შთაბეჭდილება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აქ სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა როდია ვულგარულ ფორმებში წარმოებული. და მართლაც, განა გულწრფელად არ სწამს ახალგაზრდა უმანკო არტურს ქრისტე და მისი მსახური „პადრე მონტანელის“ ღვთაებრიობა და სიწმინდე. განა გულწრფელად არ წარმოადგენს ის წამებულ ქრისტეს ჯვარზე და აგრეთვე გულწრფელად არ მოეჩვენება მას უფსკრული ჯოჯოხეთში. მით უფრო ძლიერია მისი გრძნობა, მიმართული ამავე ქრისტესა და „პადრე“-სადმი, როდესაც ის ღვთის მსახურის მიერ გაცემული იქნა. არტური—გულწრფელი მორწმუნე მღვდელს ეუბნება აღსარებაზე მუშაკთა სახელებს და როდესაც რწმუნდება, რომ ის სწორედ ამ ღვთის მსახურმა გასცა, რომ ის მოატყუილა მონტანელმა, რომელიც წლობით უმალავდა მას მამობას, ის გულწრფელად ამსხვრევს ჯვარს. აიღეთ, თუ გნებავთ თვით მონტანელის ტრაგედია. რასაკვირველია, შეიძლებოდა—და ეს ადვილიც იქნებოდა (მაგრამ ნაკლებად დამაჯერებელი) რომ მონტანელი თავიდან გარყვნილ რასპუტინისებურ ბერად ყოფილიყო გამოყვანილი. მარჯანიშვილმა მშვენივრად სხვა პრინციპიალურ ხაზს და ის, ჩვენის აზრით, სწორად მოიქცა. მონტანელი მან გამოიყვანა, როგორც გულწრფელი მორწმუნე, ღვთის მსახური, რომელიც ბოლომდის გულწრფელად ემსახურება სარწმუნოებას. მაგრამ როდესაც ამ სარწმუნოებამ ის იქამდი მიიყვანა, რომ აძულა ნება დაერთო საკუთარ შვილის დახვრეტაზე, მან ასევე გულწრფელად დაამსხვრია ეკლესიაში ჯვარი და უარი სთქვა სარწმუნოებაზე. რასაკვირველია, ამ მეთოდით წარმოებული ანტირელიგიური ბრძოლა გაცილებით უფრო მეტ დადებით ეფექტს გვაძლევს, ვიდრე ყოველი მღვდლის ან სხვა წოდების ღმერთ-მსახურის აუცილებლად გარყვნილ და გათახსირებულ ადამიანად გამოყვანა. სწორედ ეს არის დამაჯერებელი. სურათი მაყურებელს ეუბნება: შესაძლებელია შენ გულწრფელი მორწმუნეც იყო, მაგრამ შენი გულწრფელობა მით უფრო დიდი დანაშაულია, რომ შენ გულწრფელობას კლერიკალიზმი ყოველივე მოწინავე პროგრესიულ და კულტურულ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებს. ვიმეორებ, რომ ეს ხაზი მარჯანიშვილმა აუცილებლად სწორად აიღო და კიდეც გაამართლა სურათში.

კინემატოგრაფიულადაც სურათი გაცილებით უფრო კარგად არის გაკეთებული, ვიდრე მარჯანიშვილის პირველი სურათები. მარჯანიშვილის უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ის კინოში მოვიდა დიდი თეატრალური კულტურით დატვირთული. მისი პირველი სურათები ფაქტიურად უფრო თეატრალურ ხერხების გაკინემატოგრაფიულება იყო, ვიდრე გადასაღებ მასალის სპეციალურ კინო-ხერხებით დაძლევა. ამიტომ დამარცხდა „ამოკ“, რომელიც უფრო დიდი თეატრალური მოვლენა იყო, ვიდრე კინო-სურათი. „ბორა“-ში მარჯანიშვილი ნაწილობრივ გამოვიდა თეატრალური ჩიხიდან. მაგრამ თეატრალობის რეციდივები ბევრგან იჩენს თავს. ჩვენ აქ არას ვიტყვით წმინდა თეატრალურ მიზანსცენებზე, რომლებიც უხვად მოიპოვება სურათში. აღსანიშნავია მარჯანიშვილის თეატრალური მანერა, რომლითაც ის ათამაშებს აქტიორს. პსიქოლოგიზმით დატვირთვა მსახიობის ყოველივე ჟესტის, გამუდმებული ოხვრა და კინოსათვის სრულიად გაუმართლებელი და მიუღებელი მიმიკა ბევრად აჩენებს შთაბეჭდილებას მაყურებელში. მსახიობის მუშაობა კინოში უნდა ემყარებოდეს მის პლასტიურ შესაძლებლობას და არა იაფფასიან ამოოხვრებს და წარბების წამდაუწუმ აწევ-დაწევას. მაგრამ ეს მარჯანიშვილის ბრალი კი არ არის, ეს მისი დიდი თეატრალურ კულტურის ზეგავლენაა, რომელსაც ვერ უძლებს კინო აპარატი და მასთან ერთად ბევრი მაყურებელიც დარბაზში.

მიუხედავად ამისა აუცილებლად აღსანიშნავია ის განსაცვიფრებელი შედეგი, რომელსაც მიაღწია მარჯანიშვილმა ახალგაზრდა მერაბიშვილთან მუშაობაში. მერაბიშვილი ეკრანზე ფაქტიურად პირველად გამოვიდა დიდ და პასუხისმგებელ როლში და იმ რეჟისორულ დაკვეთით, რომელსაც ის ასრულებდა,—მან აუცილებლად დადებითი შედეგს მიაღწია. რა მერაბიშვილის ბრალია, თუ კინო არ ღებულობს და უკუაგდებს ყოველგვარ ფალსიფიკაციას, განსაკუთრებით 20—22 წლის ჭაბუკის 40 წლის ხნიერ მამაკაცად გამოყვანას. აქ რეჟისორის შეცდომაა და არა მერაბიშვილის სუსტი თამაში.

ნ. ანდრონიკაშვილმა (ჟანნამ), თუ მას სურს მომავალში კინემატოგრაფიაში მუშაობა, აუცილებლად მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კინემატოგრაფიულ მსახიობის კულტურას. უკვე გავიდა ის დრო, როდესაც ხალხს მხოლოდ მისი სახე ხიბლავდა. ნ. ანდრონიკაშვილის ყურადღება სერიოზულ კინო-მუშაობისაკენ უნდა იქნეს მიმართული, თორემ მისგან მხოლოდ კარგი მოგონება დარჩება. ამის სიმპტომები უკვე „ბორა“-ში მოისმის.

აუცილებლად აღსანიშნავია ოპერატორ სერგეი ზაბოზლაევის მეტად კარგი კულტურული და ოსტატური ნამუშევარი. იმ საშინელ ტეხნიკურ პირობებში, რომლებშიაც უხდება სახკინმრეწვის ოპერატორებს მუშაობა, ზაბოზლაევი კარგ პროდუქციას იძლევა.

ლ. მალანჩიშვილი.

სასამართლო

გარყვნილების ბუდე

ნესტორ აბაიშვილი, დომენტი კორვალიძე და სერგო გოგაძე „იოლი ხელობის“ ხალხია.

განებივრებულ ცხოვრებას იყვნენ ჩვეული წინად. ასევე სურდათ განეგრძოთ საბჭოთა ხელისუფლების დროსაც.

თითონ ჯაფა არ გაეწიათ და არაფერს დაეძებდნენ. ყოველგვარ უმზგავსოებას მიჰკიდებდნენ ხელს.

ამ ერთი წლის წინათ მათ აიღეს იჯარით სასტუმრო „ბრიმა“ და ასე გაინაწილეს ფუნქციები:

ნესტორ აბაიშვილმა იკისრა სასტუმროს „მორთვა-მოკაზმვა“. მეძავ-ქალების მისაღებად.

კორვალიძე და გოგაძე გარყვნილ ქალების და „დაინტერესებულ“ მამაკაცების აღრიცხვას აწარმოებდნენ.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გარდა ნომრის ფულისა მოიჯარადრეებს დაწესებული ჰქონდათ „პროცენტული ანარიცხი“ ქალების „ნავაჭრზე“. იღებდნენ 30 და მეტ პროცენტს.

ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის თვალის ასახვევად, იმ ოთახებზე, სადაც გარყვნილება ხდებოდა, ბოქლომები ეკიდა გარედან ასე, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელს არ შეეძლო გაესინჯა ოთახები.

სასამართლომ გუშინ გაარჩია საქმე. სამივეს დაუმტკიცდა ეს „პატიოსანი ხელობა“. მიესაჯა თვითეულს თავისუფლების აღკვეთა თითო წლით.

—:—

ქურდი სახლის პატრონის ტანისამოსში

ღამეა. ხატიაშვილის ბინას (ლენინის ქუჩაზე) ქურდები „ალაგებენ“. ერთმა მოკრა ფუთა და გაუდგა სამშვიდობოს.

მეორე ქურდს არ ეჩქარება. ტანისამოსის შკაფი დარჩა „დაუთვალიერებელი“. დანარჩენი ყველაფერი გაცხრილა. მოამზადა კარგა მოზრდილი ფუთა.

—კარგია! დიდებული აზრია! ამ კოსტიუმს ჩავიცვამ. ჩემსას დაუკიდებ სამაგიეროდ. კონცერტზე გამოადგება!—ჩაიცინა ქურდმა და შეუდგა მორთვა-მოკაზმვას.

გალსტუკის გაკეთება ვერ მოახერხა, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქცია. სახელდახელოდ უგალსტუკოდაც შეიძლება ქუჩაში გასვლა.

კართან მეეზოვე შემოხვდა ქურდს.

— გამარჯობათ!—მიესალმა მეეზოვე, რომელსაც ხატიაშვილი ეგონა ქურდი.

ქურდმაც თავი დაუკრა საპასუხოდ.

მეეზოვე დააკვირდა ფუთას, რომელიც ზურგზე ჰქონდა მოგდებული ქურდს. რაღაც ეჭვმა არ მოასვენა და მიაძახა:

— სად, მიბრძანდებით ასე გვიან?

ქურდმა უჩქარა ფეხის ნაბიჯს.

— კაცო, შენ ხატიაშვილი ხომ ხარ? მოიცა დე აქეთ.

ქურდი გარბის. მეეზოვემ მოიმარჯვა ჯოხი და განუწყვეტელი სტვენით გამოუდგა უკან.

— არ გაუშვათ! ქურდია! ყვირის მეეზოვე.

შეიპყრეს ქურდი, რომელიც აღმოჩნდა სერგო შალამოვი.

შალამოს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა და გადასახლება საქართველოს ფარგლებიდან 3 წლის ვადით.

თავხედი მილიციელები

კ. მარქსის [illegible] ვაგონი, რომელიც [illegible] დიდუბისაკენ.

გასაჩერებელ ადგილას ვაგონი გაჩერდა. ვაგონს მირბოდა მიაწყდა ორი მოქალაქე—ერთი მილიციის ფორმაში გამოწყობილი, მეორე ჩვეულებრივად ჩაცმული. მგზავრებმა „საპატიო“ ადგილი დაიკავეს წინა ბაქანზე.

— თქვენი ბილეთი?— ეკითხება მათ კონდუქტორი.

მგზავრებმა ამოიღეს პირადობის მოწმობა, რომელიც, ადასტურებს, რომ ისინი არიან საუწყებო მილიციის თანამშრომლები.

—მე თქვენ ბილეთებს გთხოვთ და არა პირადობის მოწმობებს.

— ჩვენ მილიციელები ვართ და უფლება გვაქვს უფასოდ ვიმგზავროთ,—ერთმანეთს აწყვეტინებენ მილიციელები.

— თუ უფლება გაქვთ, სათანადო უფასო ბილეთებიც თან უნდა გქონდეთ, მილიციელმა მაინც უნდა იცოდეს ეს უბრალო საყოველთაოდ დაწესებული წესი,—უპასუხებს კონდუქტორი.

— ჩვენ „პრინციპიალურად“ არ ავიღებთ ბილეთს.

კონდუქტორმა ვაგონი გააჩერა და განმეორებით სთხოვა მათ ბილეთების აღება.

ერთ-ერთმა მილიციელმა გადასწია გვერდზე პალტო და რევოლვერი „თვალსაჩინო“ ადგილას გამოიტანა.

არ შეუშინდა კონდუქტორი.

— არც რევოლვერი გამოგადგებათ ბილეთის მაგიერ, გთხოვთ შეიძინოთ ბილეთი.

მილიციელმა მიხეილ გრეკოვმა დედა შეაგინა რუსულად, მისმა ამხანაგმა ვლადიმერ მახარობლიძემ დედის გინება გადმოთარგმნა ქართულად.

—ვაჰმე! ესე უნდა იქცეოდეს მილიციელი? არც კი გრცხვენიათ, ერთი შაურის გულისათვის რა ამბავს ჩადიხართ!..

მახარობლიძემ ასეთი შენიშვნა იუკადრისა და მაგარი პანღური ამოჰკრა კონდუქტორს.

კონდუქტორი გამოვიდა მოთმინებიდან და პანღურის საპასუხოდ ერთი სილა გააწნა მახარობლიძეს.

მახარობლიძეს წამოეშველა გრეკოვი, უკანასკნელმა ხელები შეუკრა კონდუქტორს, მახარობლიძემ კი ურტყა და ურტყა კონდუქტორს. ხანამ გული კარგად არ იჯერა.

ბოლოს ერთ ერთმა მილიციელმა წიხლი ჰკრა კონდუქტორს, რომელიც მოწყვეტით გადმოვარდა ვაგონიდან და გაიშხლართა ქვაფენილზე-გადაუტრიალდა ბილეთების ბუდე-მოწყობილობა სიფულე ჩანთა და ქვაფენილი დაიფარა ხურდა ფულით.

ასეთი „საგმირო საქმე“ ჩაიდინეს „წესრიგის დამცველებმა“.

ორივე თავხედი მილიციელი პასუხისგებაშია მიცემული.

საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

ზერ.

მდგომარეობა ხორცის ბაზარზე

უკანასკნელ დღეებში თბილისის ბაზარზე შემჩნეულია ხორცის ნაკლებობა.

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ უკანასკნელ დღეებში ჩრდილო-კავკასიიდან საკლავი საქონელი შემოვიდა მცირე რაოდენობით.

მიღებული ცნობების თანახმად, ჩრდილო კავკასიიდან გამოგზავნილია და გზაში იმყოფება 16 ვაგონი საკლავი საქონელი. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიმართა რკინის გზათა სამმართველოს, რომ ეს საკლავი საქონელი სასწრაფო წესით და შეუჩერებლივ გამოიგზავნოს თბილისში.

გუშინდელი ცნობის თანახმად, ვაგონებმა უკვე გამოიარეს სად. ევლახი და დღეს მიღებული იქნება თბილისში.

სომხეთის ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციას მიეცა განკარგულება —სასწრაფოთ გადმოგზავნოს თბილისში 100 სული ყარსის საქონელი.

მიღებული ცნობების თანახმად, ეს საქონელი თბილისში იქნება 8 მაისს.

ამ რიგათ, ამ საქონლის მიღების შემდეგ მდგომარეობა საბოლოოთ გამოსწორდება და ხორცის მიწოდება თბილისის ბაზრისთვის ჩადგება ნორმალურ კალაპოტში.

ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, სააქციო საზ. „მისოპროდუქტი“, რომელიც მუშაობას იწყებს ამიერ-კავკასიაში „ზაკმიასოტორგი“-ს ნაცვლად, ფართო მასშტაბით აწარმოებს საკლავი საქონლის შესყიდვას ჩრდილო-კავკასიაში. საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის მიერ გაცემულია განკარგულება, რომ ეს საქონელი გამოგზავნილი იქნეს საქართველოში რიგს გარეშე.

ყოველივე ზემოხსენებულის მიხედვით, ხორცის ბაზარი ახლო მომავალში მოწესრიგებული იქნება სავსებით.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

დღეს, 5 მაისს გაიხსნება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეექვსე მოწვევის მეხუთე მორიგი პლენუმი.

პლენუმი გაიხსნება საღამოს სრულ 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

პროფინტერნის მეოთხე კონგრესის შედეგები (მომხსენებელი ამხ. გ. ყურულიშვილი);

საურთიერთო დამხმარე სალაროების მდგომარეობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ანთიძე);

უმუშევართა აღწერის შედეგები (მომხსენებელი ამხ. ხვედელიძე და გძელიშვილი);

შრომის გმირების გამოყენების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ხვედელიძე).

დასასვენებელ სახლებში კავშირებისათვის ადგილების განაწილების შესახებ (ამხ. ჭელიძე, ნარჩემაშვილი);

შრომის გმირების საქმეებისათვის გამოყოფილ კომისიის შევსება.

პლენუმზე მოწვეული არიან ს. პ. ჴ. ს. პლენუმის ყველა წევრები და კანდიდატები.

პლენუმს უნდა დაესწრონ კავშირების ც. გ. და ფაბქარხადგილკომების წევრებიც.

„ზაკსოიუზის“ რწმუნებულთა ყრილობა

მეორე სხდომა

მეორე სხდომა გაიხსნა გუშინ დილას, ყრილობამ მოისმინა ამხ. ვ. კანდელაკის მოხსენება ა. კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის 1927—28 წლის ოპერატიული საქმიანობის შესახებ.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მიმდინარე სამეურნეო წელს ა. კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის საერთო ბრუნვა გადიდებული იქნება 77 მილიონ მანეთამდე. ამავე წელში გათვალისწინებულია 42 მილიონი მანეთის ფართლეულის შემოზიდვა.

ამხ. კანდელაკის შემდეგ გამოვიდა ა. კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის საფინანსო განყოფილების გამგე მიულბა, რომელმაც ყრილობას დასამტკიცებლად წარუდგინა კავშირის 1925—26 და 1926—27 წლის საფინანსო ანგარიშები და 1926—27 წლის მოგების განაწილების პროექტი, რომლის თანახმად წმინდა მოგებიდან 55 პროც. ირიცხება კავშირის ძირითად კაპიტალში, 20 პროც. სათადარიგო თანხებში, 10 პროც.—მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდში, 5 პროც. კულტურულ ფონდში და 10 პროც. გრძელვადიანი კრედიტების ფონდში.

მესამე მოხსენებით სხდომაზე გამოვიდა ვერმიშევი, რომელმაც ყრილობას გააცნო სარევიზიო კომისიის მუშაობა. მან მიმოხილვა გაუკეთა ა. კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის გამგეობის მუშაობას ამ უკანასკნელ ორი სამეურნეო წლების განმავლობაში.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ სარევიზიო კომისია გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

კამათი

ვერმიშევის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი ამხ. ბუკრეევის და კანდელაკის მოხსენებების გარშემო.

მეორე სხდომაზე კამათში გამოვიდა ათი დელეგატი.

სამკურნალო დახმარება მომთაბარეებს

(თათბირი ჯანსახკომში)

გუშინ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი მომთაბარეთათვის ზაფხულის სეზონის განმავლობაში სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

თათბირზე მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ფრანგულიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი მაზრებიდან ზაფხულობით მოსახლეობა მიდის მთიან ადგილებში და იქ ეწევა სასოფლო-სამეურნეო მუშაობას. მომთაბარეთა დიდ რიცხვს იძლევა ბორჩალოს მაზრა, საიდანაც მთიან ადგილებზე მიდის 30.000 კაცი, შემდეგ ახალქალაქის, ახალციხის, სიღნაღის, თელავის და ნაწილობრივ გორის მაზრა. მთელი ეს ხალხი ზაფხულის განმავლობაში რჩებიან ყოველგვარი სამკურნალო დახმარების გარეშე, რის გამო მათ შორის ვრცელდება სხვადასხვა სენები.

მომხსენებლის განცხადებით, ჯანსახკომმა გადასწყვიტა მომთაბარეთათვის მოაწყოს სამკურნალო ქსელი, გახსნას პირველი სამკურნალო დახმარების პუნქტი, გაგზავნოს საბებიო-გინეკოლოგიური რაზმები და სხვა. ახალციხის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, მაზრიდან სამომთაბარეოთ გადიან უმთავრესად ბავშვები და ქალები, რომლებიც მოკლებული არიან ყოველგვარ კონსულტაციას და ქალებს კი მშობიარობა უხდება უჰაერო კარვებში და ანტისანიტარულ პირობებში.

თათბირმა დაადგინა, რომ ზაფხულისათვის მომთაბარეობის ყველა რაიონებში გაგზავნილ იქნას ექიმები და ბებია ქალები. ახალქალაქის მაზრაში სამკურნალო დახმარების საქმის მოწყობა თავის თავზე მიიღო საქართველოს წითელმა ჯვარმა. ბორჩალოს მაზრაში არსებული სამკურნალო პუნქტები ზაფხულის განმავლობაში გადაყვანილ უნდა იქნენ სამომთაბარეო რაიონებში, სადაც ჯანსახკომი დამატებით გაგზავნის კიდევ ბებია ქალებს. ახალციხის მაზრაში გაგზავნილ იქნება რამოდენიმე ექიმი, ბებია-ქალი და სანიტარული გამოფენა, რომელიც უნდა მოაწყოს ჯანსახკომის სანიტარულ-ეპიდემიურმა განყოფილებამ.

რაზმების გაგზავნა დაიწყება 15 მაისიდან.

ქუთაისი

მუშაობა წყალსადენზე

ქუთაისის წყალსადენზე უკვე გაჩაღდა მუშაობა. ჯერ ჯერობით ამ მუშაობაში ჩაბმულია 70-მდი მუშა-მოსამსახურე. ამჟამად მუშაობა სწარმოებს წნევის აუზის აგებაზედ. ამ დღეებში მუშაობა დაიწყება წყალსადენი აუზის ასაგებად. წნევის აუზი შენდება მწვანე ყვავილაში, კანდელაკის ყოფილ მამულში, რომელიც 50 საჟენით უფრო მაღლაა რიონის წყლის დონეზე. ამ აუზის სივრცე 160 კვ. საჟენი იქნება, მოცულობა კი—400 კუბ. საჟენამდი. ადგილის სივრცე, სადაც აუზი უნდა აიგოს 1.800 კუბ. საჟენია. აუზი შენდება მიწაში, რომლის ნიადაგი კლდიანია და აუზის სიმტკიცის სრულ გარანტიას იძლევა. წყალსადენისათვის საჭირო მასალის ნაწილი უკვე შეძენილია. სამშენი ქვა ადგილობრივ ეზოში მოტყდება. რადგანაც ნაჩვენები ადგილი ურმებისა და ეტლებისათვის ამჟამად თითქმის მიუვალია,—რაც საშენი მასალის ადგილობრივ მოტანას ძლიერ აძნელებს,—სასწრაფოდ კეთდება გზა.

სასწრაფო დახმარების სადგური

ადგილობრივმა ალმასკომმა გააკეთა ქალაქში სასწრაფო საექიმო დახმარების სადგურის წესდება. ამ წესდებით ყველა მოქალაქეს უფლება აქვს—ისეთ შემთხვევებში, როდესაც ავადმყოფის ხასიათი ექიმის მოწვევას გადადებას არ ითმენს,—მიმართოს ხსენებულ სადგურს. უკანასკნელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ გაგზავნოს ექიმი ავადმყოფისათვის სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად.

წითელი ჯვრის ბურახი

წითელი ჯვრის ქუთაისის კომიტეტმა ამ დღეებში გაუშვა გასასყიდათ თავის წყალთა ქარხანაში დამზადებული სუფრისათვის ხარისხის ბურახი (კვასი), რომელსაც მომხმარებელი ძლიერ ეტანება.

ქაშაკაშვილის კონცერტები

ქუთაისს საგასტროლოდ ჩამოსულმა ცნობილმა მომღერალმა ვ. ქაშაკაშვილმა თითქმის ზედი-ზედ გამართა ოთხი კონცერტი, რომელსაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

ტუბერკულიოზის სამდღიური

ალმასკომის პრეზიდიუმმა ნება დართო ჯანმრთელობის განყოფილებას ჩაატაროს მიმდინარე თვის უკანასკნელ რიცხვებში ქ. ქუთაისსა და ქუთაისის მაზრაში ტუბერკულიოზის სამდღიური.

შემთხვევები

დაჯახება

გუშინ, დილით, მელიქიშვილის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი № 40 დაეჯახა 7 წლის პეტრე ნიკოლოზის ძე ღრობდოვს და მსუბუქად დააზიანა. ღრობდოვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

როგორც გამოირკვა, დაჯახება არ მომხდარა ვატმანის დაუდევრობით.

გვამის პოვნა

გუშინწინ, ღამით, მერვე მილიციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ახლად დაბადებულ ბავშვის გვამი, მდედრობითი სქესის.

გვამი გაიგზავნა რესპუბლიკის საავადმყოფოს პროზექტურაში.

ქურდობა

გუშინ, დილით გაქურდეს თამარ ახათინის ბინა (ბესიკის ქ. № 3), წაიღეს სხვადასხვა ტანსაცმელი ნივთები; გაქურდეს სიმა ხარაგაშვილის ბინა (არტილერიის ქ. № 15), წაიღეს 270 მანეთის ნივთები; გაქურდეს ილო ყანჩაველის ბინა (შ. ჩიტაძის ქ. № 31), წაიღეს 100 მანეთის საოჯახო ნივთები; გაქურდეს გულამ ბადალსაროვის ბინა (კალინინის ქ. № 118), წაიღეს 115 მანეთის ტანსაცმელი.

თბილისის სისხლის სამძებრომ მილიციამ ქურდობისათვის პასუხისგებაში მისცა: ვასილ ივანეს ძე მუხლაძე, ალექსანდრე მიხეილის ძე ქეჩრაძე, ერვანდ დავითის ძე ჯანბულაევი და ტიგრან აკოპის ძე ბაღრიანცი.

სიმთვრალის მსხვერპლი

21 აპრილს ლეჩხუმის მაზრის სოფ. ლენტეხის 4 წლედის მასწავლებელმა ვასილ სიღინიძემ თავის ბინაზე თავი მოიკლა. როგორც გამოირკვა სიღინიძე [illegible] სიმთვრალის გამო [illegible].

გვამის პოვნა

რამდენიმე დღის წინათ ლეჩხუმის მაზრის ფარგლებში მდინარე ცხენისწყალში იპოვეს ქალის გვამი. დამხრჩვალი აღმოჩნდა სოფ. გულიდაშის მცხოვრები ქრისტინე ანდრიას ასული ქურასპეტიანი. ძიება სწარმოებს.

სახლის დაწვა

სოფ. ლაჰეპიტაში (ლეჩხ. მაზ.) მცხოვრებ ვლადიმერ უგრეხელიძეს დაეწვა სახლი და ბეღელ-ბოსელი. ბოსელთან ერთად დაიწვა 35 სული საქონელი. ზარალი დიდია.

„თავისუფალი“ პრესა ბურჟუაზიულ ქვეყნებში

ოქტომბრის გამარჯვებული რევოლუცია რამოდენიმე თვის განმავლობაში ითმენდა ბურჟუაზიულ-ესერულ-მენშევიკურ პრესას, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა უკანასკნელი შხამიანი კბილი ამოეძრო შებრძოლებულ კონტრ-რევოლუციისათვის. ვინ არ ახსოვს, თუ რა განგაში ასტეხეს კორნილოვ-კალედინის ბანაკში თავშეფარებულმა „დემოკრატებმა“ და მათმა ევროპიელმა მოძმეებმა პრესის „თავისუფლების“ გაუქმების გამო. ახლაც, საბჭოთა ქვეყანაში არსებულ წესწყობილებისათვის ხასიათის გასახატავად ერთ-ერთ ბრალდებათ „დემოკრატიას“ მოჰყავს პრესის თავისუფლების მოსპობა. ჩვენ არ ვმალავთ, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობს პრესის თავისუფლება მუშათა კლასის მტრებისათვის, თავისუფლება მათთვის, ვისაც სურს უკუღმა მოაბრუნოს ისტორიის ჩარხი და დაასაფლაოს დაწყებული სოციალისტური მშენებლობა. მაგრამ ჩვენში არსებობს პრესის თავისუფლება პროლეტარული გაგებით, თავისუფლება საბჭოთა პრესის, რომელიც ემსახურება მუშათა კლასს, ზრდის, მისი კულტურულად ზრდის, სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს. ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის მტრებთან, ყველაფერ ამასთან, რაც ხელს უშლის სოციალიზმის საქმეს, საბჭოთა პრესა სარგებლობს თავისუფლებით, რომელიც არაც კი დაესიზმრება რომელიმე ჟურნალისტს ბურჟუაზიულ ქვეყანაში. ნაკლოვანებათა კრიტიკა „პიროვნებათა მიუხედავათ“,—ე. ი. კრიტიკა ყოველგვარი დეფექტების, ნაკლის, ვისი ბრალიც არ უნდა იყოს ეს—საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის თუ რომელიმე ტრესტის დირექტორის—ასეთი ლოზუნგის წამოყენება, კრიტიკის ასეთი თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა რესპუბლიკაში.

ახლა კი, თვით პრესის „თავისუფლების“ ბურჟუაზიულ მოტრფიალეებს ვკითხოთ—არსებობს თუ არა პრესის თავისუფლება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში?

ბურჟუაზიული ქვეყნების პრესის ისტორიის შესწავლა გვიმტკიცებს, რომ იქ პრესა სარგებლობს თავისუფლებით იმ პირობით, თუ იგი ემსახურება მმართველ კლასებს.

„მადრიდში,—ამბობს სევილიელი დალაქი ბომარშეს უკვდავ კომედიაში,—დამყარდა პრესის თავისუფლება: იმ პირობით, რომ პრესამ არ შეეხოს არც მთავრობას, არც პოლიტიკას, არც მორალს, არც მოხელეებს, არც უმაღლეს წოდებას, არც ოპერას, არც სხვა რომელიმე თეატრს, არც სხვა რაიმეს, რასაც რაიმესთან კავშირი აქვს,—მე ყველაფერი შემიძლია ვბეჭდო ორი სამი ცენზორის მეთვალყურეობით“.

ასეთია პრესის ბურჟუაზიული თავისუფლების უკეთ დახასიათება.

ბურჟუაზიას დასაშვებათ მიაჩნია მხოლოდ ისეთი თავისუფლება, რომელიც მის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. სასამართლო, ეკლესია, პარლამენტი, საარჩევნო უფლებები—ყველაფერი იმნაირად არის მოწყობილი, რომ ემსახუროს კაპიტალის ინტერესებს. გამონაკლისს არც პრესა შეადგენს.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

ჭეშმარიტად რევოლიუციონური პრესა სასტიკ რეპრესიებს განიცდის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და მის საარსებო წყაროს წარმოადგენს მუშათა გროშები.

მენშევიკური პრესა არსებობისათვის ბრძოლაში მიმართავს იმავე მეთოდებს, როგორსაც კაპიტალისტური პრესა, სარგებლობს გამენშევიკებულ ბურჟუების სუბსიდიებით ან ხანახევრად ხელის ლოკვას.

მაგრამ დგას ფეხზე ბურჟუაზიული პრესა, კაპიტალმა იგი გადააქცია ისეთ შემოსავლის წყაროდ, როგორიც რომელიმე სამრეწველო დაწესებულება და ამით წაართვა მას ყოველგვარი დამოუკიდებლობა, გადააქცია თავის ერთგულ მსახურად.

„დიდი პრესის ხაზეინები“

საკმაოა გავეცნოთ, თუ ვის ხელშია ევროპა-ამერიკის მთელი რიგი გავლენიანი დიდი გაზეთები და ცხადი შეიქნება, რომ ამ პრესას შეუძლია ემსახუროს მხოლოდ ფართე მასების მოტყუების და ძარცვა-გლეჯის ინტერესებს.

ავიღოთ თუ გინდ ინგლისი:

„დეილი ქრონიკლი“. ეს გაზეთი 1926 წ. 8 მილიონ სტერლინგათ შეიძინა ლოიდ ჯორჯისაგან საზოგადოებამ „დეილი ქრონიკლ ინვესტმენტ კორპორეიშენმა“, რომელსაც სათავეში უდგას: ინგლისის მეფის ყოფილი ნაცვალი ინდოეთში ლორდი რედინგი, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ბანკებთან, დამზღვევ საზოგადოებებთან, ელექტრო-ტექნიკურ და მანქანების სააღმშენებლო მრეწველობასთან; დავიდ იდელი—ბანკების, დამზღვევი საზოგადოებების, ელექტრო-ტექნიკურ და სამანქანო წარმოებების აქციონერი; ტ. ს. კატო—ნახშირი, ჩაი, ნავთი, ნაოსნობა; ჯ. ძ. ბერრი—ბანკები, ნაოსნობა, რკინის გზები; რ. ხეტჩისონი—კაუჩუკის მრეწველი.

„დეილი ექსპრესს“—დირექციის სათავეში დგას ლორდი ბივერბრუკი, რომელმაც მილიონები შეიძინა კანადის ცემენტზე; დირექტორებია—მეი (ელექტრო-ტექნიკური მრეწველობა); ე. რობერტსონი (კინო); გენერალ-მაიორი საიკსი (ტრამვაი, ლონდონის მიწისქვეშა რკინის გზა); ლორდი ვორვერიევი (ბანკები, ლუდი, გაზი, ტრამვაი).

„დეილი მეილ“—დირექტორია ლორდი როტერმირი, მილიონერი; გარდმან ლევერი (ბანკირი, კაუჩუკის მრეწველი); ფ. ა. ხარვაში (ხალეიქრო ნახშირისა და კაუჩუკის მრეწველობა); გენერალ-მაიორი საიკსი („დეილი ექსპრესიდან“).

„დეილი ნიუს“ და „ვესტმინსტერ გაზეტტ“. გაზეთების გაერთიანებულ გამგეობას სათავეში უდგას ლორდი კაუდრეი (მჭიდრო კავშირი აქვს ნავთის ფირმებთან); ლორდი ლ. კედბერი (კაკაო, შოკოლადი); ლორდი დოლმენი (დამზღვევი საზოგადოებები); ჟ. ლეოტონი (დამზღვევი საზოგადოებები); ჯ. მორიელი (კაკაო, რესტორანები, სასტუმროები).

„დეილი ტელეგრაფ“ ამჟამად ეკუთვნის ძმ. ბერრის, რომლებიც არიან ნახშირის, საფეიქრო და ლითონის მრეწველობის აქციონერები.

„მორნინგ პოსტ“ გაზეთის დირექციაში შედის ნორტუმბერლენდის ჰერცოგი, მსხვილი მემამულე და ნახშირის მრეწველი. გაზეთის დირექტორია აგრეთვე: ა. ბეიტსი (ნაოსნობის საზოგადოებები, (ბანკირი); მაიორი ჯ. ს. კორტოლდი (მემამულე, სამხრეთ-აფრიკის ოქროს მაღაროების აქციების მფლობელი); რ. ვ. ლლოიდი (საღებავების მრეწველობა).

„ტაიმსი“—დირექტორია ჯ. ასტორი (მილიონერი); ჯ. ვალტერი (დამზღვევი საზოგადოებები); გრანტი (ბანკები, ნახშირი, რკინა).

ზემოხსენებული სიის გაგრძელება შეიძლებოდა უსასრულოდ, მაგრამ ეს მოკლე ცნობებიც ინგლისის შესახებ საკმაოა იმის ცხადსაყოფად, რომ მემამულეთა და ბანკირ-მრეწველების ხელში მყოფი პრესა ვერ ემსახურება ფართე საზოგადოებრივ ინტერესებს, არამედ იცავს და ემსახურება მყვლეფელთა და მძარცველთა ვიწრო ჯგუფის ინტერესებს.

რომ უფრო უკეთ დააკმაყოფილონ ცალკე კაპიტალისტური ჯგუფების ინტერესები და უფრო უკეთ შეძლონ მშრომელი მასების გაბითურება, ბურჟუაზიული პრესა გაერთიანებულია ტრესტებში. ინგლისის მთელი პრესა თითქმის მთლიანად ასეთ საგაზეთო ტრესტების ხელშია: ლორდი როტერმირი, ლორდი ბივერბრუკი, ძმები ბერრი—აი ვინ არის ინგლისის მთელი პრესის პატრონები. მათ კონტროლის გარეშე დარჩენილი მხოლოდ ორი დიდ გაზეთი: „დეილი ჰერალდ“—ინგლისის მუშათა პარტიის ორგანო და „დეილი ნიუსს“—შოკოლადის ცნობილ ფაბრიკანტების კედბერის გაზეთი.

ძმებ ბერრის ხელშია 15-დე პროვინციალური გაზეთი (4 დილის, 6 საღამოს და 4 საკვირაო პროვინციალური გაზეთი).

უკანასკნელ ხანებში ლორდმა როტერმირმა უდიდესი ყურადღება მიაქცია პროვინციალურ პრესას. ლონდონში უკვე დაარსდა როტერმირის ახალი საგაზეთო ტრესტი სპეციალურად პროვინციალური საგაზეთო ქსელის მოსაწყობათ. ტრესტის სახელწოდებაა „ნორტკლიფ *) ნიუსპეიპერს ლიმიტედ“, რომლის ძირითადი კაპიტალი იქნება 75 მილიონი მანეთი. პირველ რიგში ახალი ტრესტი გაზეთების დაარსებას აპირობს 5 შემდეგ სამრეწ. ცენტრში: მანჩესტერში, გლაზგო, ნიუ-კესტლი, ბირმინგამი, ბრისტოლი; შემდეგში კი: ედინბურგში, ებერდინში, შეფილდში, ლივერპულში (საფეიქრო ცენტრი), კარდიფში (ნახშირის მრეწველობის ცენტრი), გულში (რკინის მრეწველობის ცენტრი) და სხვ.

კიდევ უფრო დიდ ფარგლებს მიაღწია გაზეთების ტრესტიფიკაციამ შეერთებულ შტატებში, რომელიც საერთოდ ტრესტებისა და კარტელების კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენს. 1927 წ. იანვარში შეერთებულ შტატებში *) არსებობდა 55 ოფიციალური ტრესტი, რომლებიც აერთიანებდა 328 გაზეთს. ამ ტრესტებში გაერთიანებულ ყოველდღიური გაზეთების ტირაჟი უდრიდა 13.190.710 ცალს, სურათიან გაზეთების (ეგრედ წოდებულ ტაბლოიდების)—2.200.878 და საკვირაო გაზეთების—11.052.450 ცალს.

ყველაზე მეტი გაზეთები ეკუთვნის ხერსტ—გოვარდის ტრესტს: 28 ყოველდღიური და 10 საკვირაო; ტრესტის ყოველდღიური გაზეთების ტირაჟი უდრის 1.868.686 ცალს, საკვირაოსი—407.000. ტრესტი უმთავრესად პროვინციალური ქალაქების გაზეთებს აერთიანებს.

მეორე ადგილი გაზეთების რაოდენობის მხრივ უჭირავს ხერსტის ტრესტს—25 გაზეთი. მაგრამ ტირაჟის მხრივ ხერსტის პრესას პირველი ადგილი უჭირავს. ხერსტის ყოველდღიური გაზეთების ტირაჟი უდრის 4.391.330, საკვირაოსი—4.635.212 ცალს.

მეორე ადგილი ტირაჟის მხრივ უჭირავს პეტერსონ-მაკ-კორმიკის ტრესტს, რომლის განკარგულებაშია მხოლოდ ორი გაზეთი: „ჩიკაგო ტრიბუნ“ და ნიუ-იორკის „ნიუს“.

ასეთ მდგომარეობაშია პრესა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ყოველგან კაპიტალი სცდილობს, რომ ძალადობის აპარატთან ერთად ხელში იქონიოს მასების იდეურად დამონავების აპარატი—პრესა.

მასების გონების დაბნელების ფაბრიკა

ბურჟუაზიული ქვეყნების „თავისუფალი“ პრესა მოხერხებულად ემსახურება მასების გონების დაბნელების საქმეს. მეოცე საუკუნე წარმოადგენს ეპოქას, როცა ოქტომბრის რევოლუციის წყალობით სოციალიზმის განხორციელების იდეა თეორიიდან დღის წესრიგის პრაქტიკულ ამოცანად დაისვა.

ბურჟუაზია დაინტერესებულია, რომ მასების ყურადღება ჩამოაშოროს პოლიტიკის საკითხებს, დაავიწყოს მშრომელ მასებს „წყეული კითხვები“.

მაგრამ არც ერთ ბურჟუაზიულ გაზეთს აზრათ არ მოუვა აშკარად ურჩიოს მუშებს ხელი აიღონ პოლიტიკაზე. ამას ბურჟუაზიული ჟურნალისტები უფრო მოხერხებულად სჩადიან. შემუშავებულია მთელი ურთულესი სისტემა იმ მიზნით, რომ მშრომელმა მასებმა დაივიწყონ თავისი კლასიური პოლიტიკა.

ხშირად პოლიტიკასთან ერთად გაზეთის პირველ გვერდს ამშვენებს ჯიშიან ძაღლების, ცნობილ მოკრივეების ან ნახევრად გაშიშვლებულ დედაკაცების სურათები. გაზეთში შეიძლება ერთი სიტყვაც არ იყოს კოლონიალურ გაფიცულ მემაღაროეთა და პოლიციის შეტაკების შესახებ, მაგრამ დაწვრილებით იქნება აღწერილი რომელიმე შეხვედრაში მომხდარი „უცნაური“ მკვლელობა, მოთავსებული იქნება მოკლულის და მისი უმცირესი ნათესავების სურათები, საუბარი მათთან და სხვა., ერთი სიტყვით, ის, რასაც საბჭოთა პრესაში უკანასკნელ გვერდზე 5—6 სტრიქონზე მეტს არ დაუთმობენ, ბურჟუაზიულ პრესაში გაბერილი იქნება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტამდე. ყოველგვარი უმნიშვნელო ცნობაც კი ისე არის დამუშავებული, რომ მკითხველმა გაალვივოს და გააძლიეროს არაჯანსაღი ინტერესები და ინსტიქტები. უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული მშრომელი მასების კლასობრივი შეგნების შესუსტება-შერყევას: ყოველმხრივ მალავენ და ჩრდილავენ კაპიტალისტური სისტემის უკუღმართობას და მის ნაცვლად პირველ რიგში აყენებენ ფაქტებს, რომლებმაც უნდა დაამტკიცოს, რომ კაპიტალიზმი არის „სამოთხე“. ბურჟუაზიული პრესა არ სტოვებს ცხოვრების არც ერთ კუნჭულს, რომ თავისი შხამი არ ჩააწვეთოს შიგ: მომგებიანი ცხოვრება, ქორწინებისა და ოჯახის საკითხები, თავისუფალ დროის გატარება—ყველა სამისო რეცეპტებს იძლევა იგი, ცდილობს დაეუფლოს თავისი მკითხველის ყოველდღიური ცხოვრების ყველა მხარეებს და ამ მხრივ ეკლესიასთან ერთად მშვენივრად ემსახურება კაპიტალიზმის ინტერესებს.

მშრომელი მასებისათვის კლასიური პოლიტიკის დავიწყების შემდეგ საშუალებას წარმოადგენს ბულვარული რომანები. თვითეულ დიდ გაზეთს ჰყავს საკუთარი სპეცი—რომანისტი, რომელიც განუწყვეტლივ აწვდის მას ასეთ რომანებს, რომელთა თემა ერთნაირია მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიულ ლიტერატურაში მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა შერლოკ ხოლმსის, ნიკ კარტერის, ნატ პინკერტონის ან ტარზანის მაგვარმა ისტორიებმა.

მთელი რიგი გაზეთები არ კმაყოფილდება მასების გაბითურების არსებულ ხერხებით და ცდილობს შეიმუშაოს ახლები: თუ არ არის მორიგი „სენსაცია“ საჭიროა შეიქმნას იგი: ამ მიზნით აწყობენ გადაფრენებს ოკეანეზე, სამეცნიერო ექსპედიციებს და სხ.

ისეთი ხალხისათვის, რომელთაც არ უყვარს თავის შეწუხება ტექსტის წაკითხვაზე, არსებობს სპეციალური სურათებიანი გაზეთები (ტაბლოიდები), სადაც მსოფლიო ქრონიკა მოცემულია ილიუსტრაციების სახით.

აღსანიშნავია ერთი მომენტი ბურჟუაზიული პრესის ცხოვრებაში: ეს არის ბრძოლა მკითხველისათვის.

თვითეული გაზეთი ცდილობს იყოლიოს რაც შეიძლება მეტი მკითხველი. ამის გარეშე არ იქნებოდა შესრულებული ბურჟუაზიული პრესის მთავარი დანიშნულება—მასების გამოგლეჯა „მავნე იდეათა“ გავლენისაგან.

ერთ-ერთ სამისო საშუალებას წარმოადგენს გაზეთების სიიაფე. როტერმირის ტრესტის მრავალგვერდიანი, დიდი ფორმატის, დასურათებული გაზეთები ეღირება 2 ნახ. კაპიკად. ამ გაზეთებს უწოდებენ „ხაფპენი პრესს“ (ნახევარ-პენსიანი პრესა). მეორე საშუალებას წარმოადგენს პრემიების დარიგება მკითხველებისათვის.

ვ. კუგელი „ჟურნალისტში“-ს წარსული წლის № 7—8-ში გვაცნობს მკითხველისათვის ბრძოლის ერთს მეტად საინტერესო ისტორიას.

ხერსტმა, რომელიც ძლიერ უკმაყოფილო იყო იმით, რომ მისმა მეტოქეებმა პეტერსონმა და მაკ-კორმიკმა ნიუ-იორკში დაარსეს გაზეთი „დეილი ნიუს“, რომელიც დიდ კონკურენციას უწევდა მის გაზეთებს გადასწყვიტა როგორმე ჩაეკლა მეტოქეთა გაზეთი და ამ მიზნით შემოიღო ლატარიის სისტემა და თავის „ამერიკენ“-ის მკითხველებისათვის პირველ მოგებათ გამოაცხადა ორი ათასი მანეთი და რამოდენიმე ათასმანეთიანი მოგება.

პეტერსონმა მიიღო გამოწვევა და პირველ მოგებათ გამოაცხადა 5.000 მანეთი, ხერსტმა ეს თანხა გააორკეცა, მაშინ პეტერსონმა პირველი მოგება 20.000 მანეთამდე აიყვანა, ხერსტმა ვერ გაბედა მოგების კიდევ უფრო გადიდება და მანაც გამოაცხადა 20.000 მან. ამ ჯიბრობის განმავლობაში პეტერსონის გაზეთის ტირაჟმა იმატა 300000 ცალით, ხერსტის 200.000. როცა ეს გამოირკვა, პეტერსონმა პირველი მოგების ჯამი გაადიდა 30.000 მანეთამდე, ხერსტმა გაბედა და პირველ მოგებათ 40.000 მანეთი გამოაცხადა, პეტერსონმა ეს თანხა 50.000 მანეთამდე გაადიდა და თან გამოაცხადა, რომ „თუ რომელიმე გაზეთი გაადიდებს მოგების თანხას, ჩვენი ფირმა მოგებას ავტომატიურად გააორკეცებს“.

შეჯიბრების მეორე კვირამ ასეთი შედეგები მოიტანა: პეტერსონს 500.000, ხერსტს კი 400.000 ახალი მკითხველი.

ამ ორი კვირის განმავლობაში მთავარმა გაზეთმა დაჰკარგა თავისი ტირაჟის ნაწილი, ზოგიერთები დაიხურა. „ამერიკენ“-ის და „დეილი ნიუ“-ს ყველა სვეტები დაკავებული ჰქონდა მოგებულ ნომრებს.

ორივე გამომცემელმა დაინახა, რომ შორს შესტოპეს: ორ კვირაში მკითხველებს დაურიგეს ორი მილიონ მანეთამდე და ამიტომ შეწყვიტეს შეჯიბრება.

მთელ ამ ისტორიაში გარდა მკითხველების მოპოვების თავისებური, წმინდა კაპიტალისტური მეთოდისა, საინტერესოა კიდევ მეორე მომენტი—მასების დაავადმყოფება სპეკულიანტური განწყობილებით. ეს მომენტი შემთხვევითი როდია. სპეკულიაციის, აჟიოტაჟისა და ერთბაშად გამდიდრების ინსტიქტს განზრახ კვებავს ბურჟუაზიული პრესა, რომ მშრომელი მასების ყურადღება ჩამოაშოროს კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს.

ბურჟუაზიული გაზეთის თვითეული სტრიქონიდან ისხმება შხამი, რომლითაც იწამლება ფართე მასების გონება. ბურჟუაზიული პრესის რედაქციები—ეს არის ლაბორატორიები, სადაც თავისებური ქიმიკოსები—კალმით შეიარაღებული ადამიანები ამზადებენ შხამს ფსიქიკის მოსაწამლავად.

მძარცველების და შანტაჟისტების სამეფო

მაგრამ კაპიტალისტური პრესა არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია. იგი თავის პირდაპირი დანიშნულების შესრულებასთან—კაპიტალისტური სისტემის უპირატესობის პროპაგანდასთან ერთად, უნდა ემსახუროს თავის პატრონების ჯიბესაც, მატერიალურადაც უნდა გაამართლოს თავისი არსებობა.

უპტონ სინკლერს თავის წიგნში „სპილენძის მარკები“ ასეთი ცნობები მოჰყავს გაზეთის გამოცემის ღირებულების შესახებ ამერიკაში. 32 გვერდიანი გაზეთის გამოშვება კვირაში დაჯდებოდა: თანამშრომელთა ხელფასი—2.000 მანეთი, ბეჭდვა—18.000 მანეთი, აწყობა—2 ათასი მან., კორესპონდენციები—2.000 მან., ფოსტა—2.500, ტელეგრაფი—500, გავრცელება—1.000, სულ—28.000 მანეთი კვირაში. ეს არის ღირებულება პროვინციალური გაზეთის გამოშვების. თავისთავად ცხადია, გაზეთის ხარჯები მსხვილ სამრეწველო და პოლიტიკურ ცენტრებში კიდევ უფრო დიდი იქნება. აშკარაა, რომ შემოსავალი გაზეთის გავრცელებიდან დაფარავს დაახლოებით ხარჯების მეხამედს, დიდი-დიდი—ნახევარს. რამდენადაც მეტი იქნება ტირაჟი—იმდენად დიდი იქნება დეფიციტი.

„ნიუ-იორკ ტაიმს“-ის რედაქტორმა ოქსმა უნებლიეთ გამოამჟღავნა, თუ სად პოულობს ბურჟუაზიული პრესა საარსებო საშუალებებს:

„ძნელია მუშაობა. მარტო ქაღალდი გვიჯდება წელიწადში 20 მილიონამდე მანეთი. ქაღალდი კიდევ არაფერია, მარტო ექსპედიცია გვიჯდება დღეში 2.000 მანეთამდე. ახლა ავიღოთ ჩინეთის ამბები. დღე არ გავა, რომ 2.000 მანეთი არ შთანთქოს დეპეშებმა შანხაიდან. სხვა კორესპონდენტები? ასეთები ხომ უთვალავი გვყავს. გაზეთს ჩვენ გროშებათ ვაძლევთ—24 მანეთად წელიწადში, თვითონ ჩვენ კი წლიურად თითო ნომერი 50 მანეთი გვიჯდება. პირდაპირ უნდა ითქვას: რამდენადაც მეტია ტირაჟი, იმდენად მეტია ზარალი. ერთი ხსნაა—განცხადებები. ჯერ გვშველის, აწი რა იქნება—ვნახოთ“.

განცხადებები—ამაშია ხსნა. ამავე დროს, განცხადებები არის საშუალება, რომლის წყალობით, პრესა მაგრათ არის ლაგამ ამოდებული კაპიტალის მიერ.

თუ განცხადებები არის ერთად ერთი ხსნა—არც ერთი სიტყვის დაწერა არ შეიძლება იმათ წინააღმდეგ ვისაც შეუძლია ამ განცხადებების მიცემა, არც ერთი სიტყვით არ შეიძლება იმათი გაკრიტიკება ვის ხელშიც არის გამომცემლობის „სული“. გაზეთების გამომცემლებმა მშვენივრად იციან ეს და ისინი გაფრთხილებლადაც ერიდებიან ისეთი ცნობების მოთავსებას, რომლებსაც შეუძლია განცხადებების მომცემთა უკმაყოფილების გამოწვევა. ამ მხრივ გაზეთის ფაქტიური რედაქტორია არა ის, ვინც რედაქტორათ ითვლება, არამედ გაზეთის განცხადებების განყოფილების გამგე.

მაგრამ ბურჟუაზიული პრესიდან განდევნილია არა მარტო ის, რაც უშუალოდ მიმართულია კაპიტალისტთა ცალკე ჯგუფების ინტერესების წინააღმდეგ, არამედ ყოველივე, რაც შეიძლება არ მოეწონოს ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ამ მხრივ დამახასიათებელია ისტორია, რომელიც შარშან მოხდა შეერთებულ შტატებში. გაზ. „უორლდ“-იდან (ყველაზე გავრცელებული ლიბერალური გაზეთია) დაითხოვეს ძველი თანამშრომელი ხეივუდ ბროუნი მხოლოდ იმიტომ, რომ მან აღიმაღლა ხმა საკოსა და ვანცეტის დასაცავად.

ბურჟუაზიულ პრესაში არ შეიძლება არავითარი ცნობის მოთავსება კაპიტალისტების ბოროტმოქმედებათა და ფალსიფიკაციის შესახებ.

ასეთი ერთგული სამსახური, რასაკვირველია, დაუსაჩუქრებელი არ დარჩება და გაზეთები რეკლამის სახით უხვად ჰკრეფენ ხარკს ვაჭარ-მრეწველებისაგან.

მაგრამ უსინდისობისა და მტაცებლობის რეკორდი საარსებო საშუალებების გამონახვაში აღებული აქვს საფრანგეთის პრესას. „კომუნისტი“-ს მკითხველებს ალბათ ახსოვთ თავის დროზე „ლიუმანიტე“-დან მოყვანილი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ფრანკი მიიღეს ფრანგულმა გაზეთებმა მეფის იმ სესხების პროპაგანდისათვის, რომლის გადახდასაც ფრანგი ბირჟევიკები ახლა მოითხოვენ ჩვენგან. საფრანგეთის მოსახლეობისაგან ამ სესხების გასანაღდებლად აკრეფილი თანხის ორი მეხუთედი საფრანგეთის გაზეთების ხელმძღვანელებმა ჩაიჯიბეს.

მეფის ფინანსიურ წარმომადგენელს პარიზში ა. რაფალოვიჩს გასაქანს არ აძლევდნენ სხვადასხვა რადიკალური და „დემოკრატიულ“ გაზეთების გამომცემლები, რომლებიც ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი აეგლიჯათ მეფის მთავრობისათვის. მეფის აგენტსაც კი სასოწარკვეთილებაში აგდებდა პარიზის პრესის ასეთი გაუმაძღრობა და იგი 1904 წ. 30 აგვისტოს ასეთ წერილს სწერს ფინანსთა მინისტრ კოკოვცევს:

„პატივი მაქვს გაცნობოთ თქვენს მაღალკეთილშობილებას საფრანგეთის პრესასთან დადებული შეთანხმება. თათბირში ამ საკითხზე მონაწილეობა მივაღებინე ბანკირ ოტინგერსა და დირექტორ შევრანს პარიზ-ნიდერლანდის ბანკიდან, რომლებიც სავსებით მეთანხმებიან მე. თუ მომავალში საჭირო იქნება ერთგვარი ფინანსიური მსხვერპლის გაწევა, საჭიროა მაინც საზღვარი დაუდოთ ამას და დიდი ხარჯები შევკვეცოთ...

საიუბილეო წლის პირველი ათი თვის განმავლობაში საფრანგეთის პრესის ეს საძაგელი გამყიდველობა ჩვენ დაგვიჯდა 600.000 ფრანკი. აქ არ არის მითვლილი ის თანხები, რომელიც ჩვენ გავეცით რუსეთის სესხების პოპულიარიზაციისათვის და ის 300.000 ფრანკი, რომელიც ამავე მიზნით დახარჯა ბანკების სინდიკატმა“.

ამრიგად ცხადი ხდება 2 რამ: რომ ბურჟუაზიული გაზეთები იყიდებოდა ისე, როგორც პარიზის ქუჩებში მოხეტიალე როსკიპი ქალები და მეორე მხრივ—ეს გამყიდველი პრესა მზად არის ფულის გულისთვის აქოს ის საქონელი, რომლის უვარგისობაში მას ეჭვი არ ეპარება: ფრანგი ჟურნალისტები, რომლებიც გრძელ-გრძელ წერილებს აცხობდნენ, რომ განემტკიცებინათ ნდობა მეფის სესხებისადმი, შეგნებულად ატყუებდნენ საფრანგეთის მოსახლეობას, რადგან კარგათ იცოდნენ, თუ რას წარმოადგენდა რუსეთის თვითმპყრობელობა, შესძლებდა, თუ არა ის ამ ვალების გადახდას.

შანტაჟისა და გამოტყუების მხრივ საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესას არ ჰყავს ბადალი. თუ არ „იძლევიან“, საჭიროა „მოგვნა“, —ეს პრინციპი კარგად აქვს შეთვისებული „მატენის“, „ფიგარო“-ს და „ტანის“ ტიპის გაზეთებს.

ახე მაგალითად „მატენ“-მა, რომელსაც საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ბანკი—ლიონის კრედიტი არ აძლევდა განცხადებებს, შემდეგ ხერხს მიმართა, რომ განცხადება მიეღო: ბირჟის ბიულეტენში, რომელიც ამ გაზეთში იბეჭდებოდა, სრულიად გაქრა ცნობები ლიონის კრედიტის შესახებ. როცა რამოდენიმე დღის შემდეგ ბანკის ადმინისტრაციამ დაიწყო შეკითხვების მიღება ყოველი კუთხიდან —ხომ არ დახურულა ბანკი—იგი დათმობაზე წავიდა და გაზეთს მისცა 120.000 ფრანკიანი განცხადება და „მატენმაც“ განაახლა ცნობების ბეჭდვა ლიონის კრედიტის შესახებ.

პოლიტიკური მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად კაპიტალი არ ერიდება არაფერს. 1914 წ. საფრანგეთის მსხვილი კაპიტალი შეშფოთებული იყო მაშინდელი ფინანსთა მინისტრის კაიოს მიერ შემუშავებულ საგადასახადო პროექტით. და რომ მოეცილებინათ კაიო, მიმართეს ისეთ ხერხს, რომელიც აღშფოთებას გამოიწვევს ყოველ ცოტათ თუ ბევრათ პატიოსან ადამიანში: პუანკარემ, რომელიც მეთაურობდა კამპანიას კაიოს წინააღმდეგ გაზ. „ფიგაროს“ რედაქტორს კალმეტს მიაწოდა საჭირო მასალები. კალმეტმა თავის მხრივ იშოვა კაიოს ცოლის კერძო წერილები, რომლებიც ეკუთვნოდა იმ დროს, როცა იგი სხვას ჰყავდა ცოლად და კაიოსთან ფარულად ცხოვრობდა. კალმეტი ყოველდღე ბეჭდავდა ამ წერილებს. სასოწარკვეთილებამდი მისული კაიოს ცოლი შევიდა კალმეტთან რედაქციაში და მოჰკლა შანტაჟისტი.

მაგრამ არა მარტო „მატენ“ და „ფიგარო“ ასეთი. მათ ამ მხრივ არ ჩამორჩება არც „ტანი“ „პტი ჟურნალ“, „ჟილბლაზ“, „ეკო დე პარი“ და სხვ., რომლებიც ჰქმნიან „საზოგადოებრივ აზრს“. ზოგიერთ ამ გაზეთებს სათავეში უდგას ხალხი, რომელნიც დიდი ხანია ბორკილებ გაყრილი უნდა იყვნენ, მაგრამ გავლენითა და პატივისცემით სარგებლობენ. მათ ბოროტმოქმედებათა აღწერისათვის გაზეთის მთელი გვერდები იქნებოდა საჭირო.

ასეთია ბურჟუაზიული პრესა.

მენშევიკურ-რეფორმისტული პრესა?—იკითხავს ვინმე.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით იგი პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული ბოროტმოქმედების დაფარვისათვის, იმისათვის, რომ მისთვის სამდუმლოებას არ შეადგენს მთელი ის სისაძაგლე, რაც ხდება ბურჟუაზიული პრესის კულისებში და არ ამხილებს ამას, იმისათვის, რომ რევოლიუციონურ ელემენტებთან ერთად ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების ნაცვლად, იგი ბურჟუაზიულ პრესასთან ერთად შეხმატკბილებით ებრძვის ყველაფერს, რაც კი რევოლიუციონურია მუშათა მოძრაობაში და განსაკუთრებით კი—მსოფლიო რევოლიუციის ერთად-ერთ ციხესიმაგრეს საბჭოთა კავშირს. მენშევიკურ-რეფორმისტული პრესა არა მარტო ფარავს ბურჟუაზიული პრესის სისაძაგლეს, არამედ რევოლიუციასთან საბრძოლველად სარგებლობს მისი არსენალიდან მიღებული იარაღით: ჭორებით, ცილისწამებით.

აი, როგორი არიან პრესის „თავისუფლების“ მოტრფიალენი, აი როგორი „თავისუფლების“ ეტრფიან ისინი.

ჩვენ კი ვიტყვით: ჩვენ არ გვსურს პრესის ასეთი თავისუფლება, ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ასეთი „თავისუფლება“.

ა. შ—ლი.

---

*) ნორტკლიფი, ლორდ როტერმირის ძმა, გარდაიცვალა 1923 წ. ძმების ნამდვილი გვარია ხარმსვორთი. გვარების სხვადასხვაობა აიხსნება იმით, რომ ინგლისში ლორდის წოდების მინიჭება დაკავშირებულია რაიმე გეოგრაფიულ პუნქტთან. ლორდობა ორივე ძმებმა მიიღო „დამსახურებისათვის“ საგაზეთო საქმეში.

*) ცნობები ამოღებულია ვ. ვიქტოროვის წერილიდან „ამერიკის საგაზეთო ტრესტები“, იხ. „ჟურნალისტი“ № 9—10, 1927 წ.

ბრძოლა წყალდიდობასთან

აფხაზეთში

წყალდიდობასთან მებრძოლ ცენტრალურ კომისიაში მიღებულია ცნობები, რომ აფხაზეთის მდინარეთა გასამაგრებელი სამუშაოები ყველგან შესრულებულია 70 პროცენტით.

წყალდიდობას მოელიან კოდორის რაიონში, სადაც მდ. კოდორმა უკვე დაიწყო ადიდება.

თოვლის დნობა კავკასიონზე

წყალთა მეურნეობის სამმართველოს სამხრეთ-ოსეთიდან ატყობინებენ: „უკანასკნელ დღეებში კავკასიონის ქედზე თოვლის დნობა ინტენსიურად სწარმოებს. ამის გამო ადიდება დაიწყო მდ. ლიახვმა, რომელიც ბევრგან გასცილდა ნაპირებს. მდინარე განსაკუთრებულ საფრთხეს უმზადებს ქალ. ცხინვალს, სადაც აგებულია ახალი ჯებირები. ქალაქის დასაცავად წყალდიდობისაგან საჭიროა [illegible] კვლავ ახალი ჯებირების აგება და ქალაქის ფარგლებში მდინარის ნაპირების უფრო საფუძვლიანად გამაგრება".

როკის უღელტეხილთან ადგილი აქვს თოვლის ზვავებს.

მდინარეების დონე

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჰიდრომეტრიული განყოფილების ცნობით, 4 მაისს განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მდინარეებს არ დაუკლია. მდ. ცხენის-წყალი და ინგური მატულობს. მდ. ყვირილამ დაუკლო 8 სანტიმეტრი.

აღმოსავლეთ საქართველოში მდ. ალაზნის დონე უცვლელია. თბილისში მდ. მტკვარმა დაიკლო 272 სანტიმეტრამდე.

შაბიამანი

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოკვლევით, საქართველოში (აფხაზეთის გამოკლებით) მიმდინარე წელს შაბიამანი საჭიროა 1.700 ტონის რაოდენობით. ვინაიდან საქართველოში მევენახეობა ყოველწლიურად ფართოვდება და შაბიამანის აღნიშნული რაოდენობა შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს, „სოფლის კავშირმა" საკავშირო მრეწველობასთან დასდო ხელშეკრულება 1300 ტონა შაბიამანზე. შაბიამანის შემოზიდვა უკანასკნელ ხანამდე ნორმალურად ვერ მიმდინარეობდა; ჯერ ჯერობით შემოზიდულია მხოლოდ 841 ტონა. ვინაიდან შაბიამანის შემოზიდვის დაგვიანება საფრთხეს უმზადებდა ჩვენს მევენახეობას, შაბიამანის შემოზიდვის მოსაწესრიგებლად მიღებული იქნა სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები. ამჟამად შაბიამანის შემოზიდვა გაცილებით მეტი ინტენსივობით სწარმოებს, ვიდრე წინეთ და არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მაისის დამლევისათვის შემოზიდული იქნება მთელი განზრახული რაოდენობა.

რკინისგზებზე

ქარმა გაიტაცა

ღამით 3 მაისს სადგ. ბალაჯარაში მანევრების დროს ქარმა გაიტაცა სამი ღია ვაგონი. გატაცებული ვაგონები დაეჯახნენ ხაზზე მდგომ ვაგონებს.

დაჯახების დროს ერთ-ერთი ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან.

ისრის გადაყვანის გამო

4 მაისს სადგ. ეიბათში საბარგო მატარებლის შემოსვლის დროს მორიგე მეისრემ სულთაკოვმა მოძრავ შემადგენლობის ქვეშ გადაიყვანა ისარი.

ამის გამო ორი ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან და დაიკავა ყველა დანარჩენი ხაზები გარდა მესამისა.

ბილაჯარიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებელი. მოძრაობა სწარმოებს მხოლოდ ერთი ხაზით.

პროფტექნიკური განათლება

პროფტექნიკურ განათლებას ტრანსპორტზე სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული.

ა. კ. რკინის გზების განათლების საბჭოს უახლოეს სხდომაზე განხილული იქნება საკითხები იმის შესახებ, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე არსებულ პროფტექნიკური სკოლების ქსელი, რამდენად აკმაყოფილებს იგი რაოდენობრივად და თვისობრივად გზის მოთხოვნილებას, რა ზომებია საჭირო იმისათვის, რომ ამ ქსელმა სავსებით დააკმაყოფილოს გზის მოთხოვნილება, როგორ იყენებენ ტრანსპორტზე იმ პირებს, რომელთაც მიიღეს პროფტექნიკური განათლება და რა არის საჭირო ამ სკოლების შემდგომი მუშაობის გასაძლიერებლად.

პური

პურის ცხობის მოწესრიგების მიზნით, ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა პურის მცხობელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი.

თათბირზე, გამოირკვა, რომ ამჟამად თბილისში დაგროვილია დიდძალი დაბალი ხარისხის ფქვილი, რომელიც აქნობამდე ცხვებოდა მცირე რაოდენობით.

აღნიშნული ფქვილის რაციონალურად გამოყენების მიზნით, თათბირმა საჭიროდ სცნო პურის ცხობა დროებით წარმოებულ იქნეს შერეული ფქვილისაგან. თათბირის დადგენილებით ნარევი უნდა შესდგეს 25 პროცენტი პირველი ხარისხის, 25 პროცენტი, მეორე ხარისხის და 50 პროცენტი მესამე ხარისხის ფქვილისაგან.

ჩატარებული იქნა აღნიშნული ნარევიდან პურის საცდელი გამოცხობა და პურის ხარისხის მხრივ მიღებული იქნა სრულიად დადებითი შედეგი.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის დადგენილებით, ნარევი ფქვილისაგან პურის ცხობა იწარმოებს 5 მაისიდან.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის დადგენილებით, ნარევ ფქვილისაგან გამომცხვარ პურზე დაწესებულია ფასი 1 კილოზე 15 კაპიკი.

ავიაქიმში

მეორე ავიალატარიის გათამაშება

საბჭოთა კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით, მეორე ავიალატარიის გათამაშება დანიშნულია ქ. ხარკოვში 26—27 მაისს.

ტირაჟის მოახლოებასთან დაკავშირებით, გაიზარდა მოთხოვნილება ლატარიის ბილეთებზე. საქ. თავდაცვა - ავიაქიმმა მოითხოვა მოსკოვიდან დამატებით 5000 ბილეთი.

თავდაცვა - ავიაქიმის საზაფხულო მუშაობა

თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების მიერ შედგენილია და დაგზავნილი ადგილებზე საზაფხულო მუშაობის გეგმა.

გეგმის მიხედვით მთავარი ყურადღება ზაფხულის განმავლობაში მიქცეულ ექნება უჯრედების პრაქტიკულ მუშაობის წარმოებას. ადგილებზე მოეწყობა ლაშქრობა, ტაქტიკური მეცადინეობა შეჯიბრი სროლაში და სხვ.

ადგილობრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცა მჭიდრო კავშირი დაამყარონ ბანაკად გასულ სამხედრო ნაწილებთან და საბანაკო პერიოდი გამოიყენონ მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ჯარის ნაწილები თავის მხრივ გაუწევენ ფართო დახმარებას ავიაქიმის უჯრედებს ცოცხალი ძალით, მასალებით და ინსტრუქციებით.

ჭადრაკი

სრ. საქართველოს ჩემპიონატი

ფიზკულტურის სრულიად საქართველოს დღესასწაულთან ერთად, საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თაოსნობით 2 ივნისს თბილისში ეწყობა სრ. საქართველოს პირველი საჭადრაკო ჩემპიონატი 1928 წლის პირველობაზე.

აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 8 საუკეთესო მოჭადრაკე. აქედან 4 ადგილი დათმობილი აქვს თბილისს, 1 აჭარისტანს, 1 ქუთაისს და 1 სოხუმს.

პარალელურად ამავე ხანებში მოეწყობა აგრეთვე მცირე ჩემპიონატი, რომელშიაც უმთავრესად მონაწილეობას მიიღებენ მაზრები. მცირე ჩემპიონატში თითო-თითო მოჭადრაკე უნდა გამოჰყოს აფხაზეთმა, აჭარისტანმა, ქუთაისმა, ოზურგეთმა, ფოთმა, ზუგდიდმა, ახალქალაქმა და სამხრეთ ოსეთმა.

ერთდროული სეანსი

მუშათა ცენტრ. კლუბში 1-ლ მაისს მოჭადრაკე აგამალიანმა ჩაატარა ერთდროული საჭადრაკო და საშაშო სეანსი 20 დაფაზე. აქედან 11 დაფა ჭადრაკის იყო და 9 შაშის ჭადრაკზე 9 მოიგო აგამალიანმა, ხოლო 2 წააგო. შაშებში კი მოიგო 8 და ერთი დამთავრა ყაიმით.

ერთდროული საჭადრაკო სეანსი ჩაატარა აგრეთვე სოროკინმა. სეანსი შესდგა 28 დაფაზე. აქედან სოროკინმა მოიგო 18, წააგო—4 და 7 დამთავრა ყაიმით.

საშაშო მატჩ-ტურნირი

საშაშო მატჩ-ტურნირის მეოთხე ტურის შემდეგ წინ მიდის აგამალიანი და დრონოვი. თითოეულ მათგანს აქვს 2 ნახ. ქულა.

ბიბლიოგრაფია

ვ. ა. სტაროსელსკი

გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში

სახელგამი, 1928 წ. გვ. 118, ფასი 80 კაპ.

ეს წიგნი ორმხრივ იწვევს ინტერესს. ერთი მხრივ, იგი ეხება ჩვენი წარსულის იმ პერიოდს, რომელიც უდიდესი ყურადღების საგანია; მეორე, წიგნი დაწერილია იმ პირის მიერ, რომელსაც წილად ხვდა განსაკუთრებულ პირობებში, 1905 წლის რევოლიუციონურ ქარიშხალის დროს, [illegible] აჯანყებულ გუბერნიის მართვა.

აგრონომი სტაროსელსკი სულ ხუთი თვე იყო ქუთაისის გუბერნატორად (1905 წ. აგვისტოდან—1906 წლის იანვრამდე). შთამომავლობით იგი ეკუთვნოდა რუსი დეკაბრისტის პროტესტანტულ ოჯახს, დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია და გამსჭვალული იყო სოციალისტური იდეებით. მოძრაობის წინა ხანებში მუშაობდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აგრონომად ამიერ-კავკასიაში, ზესტაფონის მახლობლად მან ვენახების სანერგეც კი გააშენა.

რევოლიუციონურმა მოძრაობამ რუსეთში, მსგავსად მოძრაობამ ამიერ-კავკასიაში, სადაც ამ მოძრაობას შეიძლება უფრო საშიში ხასიათი მიეღო ნაციონალურ თავისებურებათა გამო, გამოიწვია მხარისადმი ფრთხილი მიდგომა, რის შედეგი იყო მოლიბერალო გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის კავკასიაში მეფის მოადგილეთ გამოგზავნა. ამას მოყვა სტაროსელსკის ქუთაისის გუბერნიის მმართველად დანიშვნა.

ვორონცოვმა როგორღაც მიიღო სტაროსელსკის დემოკრატიული პროგრამა და შეეცადა მისი საშუალებით გამწვავებული მდგომარეობა შეენელებია.

თავისი მმართველობის პერიოდში სტაროსელსკიმ ბრწყინვალედ შეასრულა მძიმე მოვალეობა. მის ღვაწლს ეკუთვნის უაღრესად გამწვავებულ მდგომარეობის მრავალჯერ შემსუბუქება გურიაში, ქუთაისის ამოსაჟლეტად გამზადებულ ყაზახების შეჩერება, საერთო გაფიცვების მოწესრიგება, ლიბერალ, მაგრამ უნებო გრაფის „ბოროტ გენიის" ლეიბერალ შირინკინის წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლა და სხ.

მაგრამ რევოლიუციონური ქარტეხილის დამარცხების შემდეგ სტაროსელსკის ბედიც გადაწყდა. მეფის და დედოფლის განკარგულებანი ერთმანეთის მოსდევდნენ სტაროსელსკის დაპატიმრების და მათთან წარგზავნის შესახებ.

სტაროსელსკი მაინც ახერხებს საზღვარგარეთ გაპარვას. სახალხის დასამშვიდებლად ავრცელებენ ხმებს მისი თვითმკვლელობის შესახებ. იგი განაგრძობს თავის მუშაობას, როგორც ს. დ. პარტიის წევრი, მომხრე „პერედოვცების" ჯგუფისა. სცხოვრობს პარიზში, სწერს მოგონებებს.

ჟან ჟორესის მიერ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში 1907 წ. სტაროსელსკისადმი მიმართვა: „თქვენ გმირი ხართ, მოქალაქევ!". სადარბაზო სიტყვა კი არ იყო, არამედ დაფასება პიროვნების, რომელმაც საქმით დაიმსახურა ასეთი სახელწოდება.

საბიბლიოგრაფიო წიგნი წარმოადგენს სტაროსელსკის მოგონებებს აღნიშნულ ამბების შესახებ. წიგნი შესდგება ორი განყოფილებისაგან. პირველ ნაწილში მოცემულია გლეხთა მოძრაობის გამომწვევი ძირითადი მიზეზები და მოსამზადებელი პერიოდი, სადაც თანდათანობით იზრდება ეს მოძრაობა; მეორე ნაწილი წარმოადგენს თითონ ამ მოძრაობის განხორციელებას, თავისუფლების დღეებს, „ქუთაისის გუბერნიაში".

წიგნაკი დაყოფილია ცალკე თავებათ, თვითეული თავები მდიდარია მაგალითებით. განსაკუთრებით სერიოზულ ნარკვევს წარმოადგენს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის დახასიათება ბატონ-ყმობის რეფორმის შემდეგ, რასაც მოყვა მამულზე წინდაწინვე გადასახდის უაზრო იჯარა. გლეხებს მაშინაც უნდა ეხადათ საჭირო გადასახადი თუნდა მოუსავლიანობის გამო მას მიწიდან არაფერი არ მიეღო.

წიგნს წამძღვარებული აქვს ფრანგ კომუნისტ ჟალბოტის წინასიტყვაობა.

სამწუხაროდ, წიგნი მეტად ცუდათ არის გამოცემული. თარგმანი სრულიად დამახინჯებულია. წიგნში წარამარა ხვდებით ასეთს გამოთქმებს „პრისტავი", „ნამესტნიკი", „ნასაქერალი", „ლანჩხუტი", „შპიონობა", „იარმუკობა", დამახინჯებულია ქართული ენის კონსტრუქციაც.

გამოცემის გარეგნული მხარეც მეტად ცუდათ არის შესრულებული. წიგნის კანი მსუბუქ შთაბეჭდილებას ახდენს, ცუდია ქაღალდი.

მ. ტ—ი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

მრეწველობის საამშენებლო სამუშაოთა კლასიფიკაციის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საამშენებლო სამუშაონი მათი ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით განაწილებულ იქნეს შემდეგ ოთხ კატეგორიად:

1. ახალი მშენებლობა;
2. რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის წარმოებული სამუშაონი (ახალი სამუშაონი);
3. კაპიტალური რემონტი და
4. მიმდინარე რემონტი.

1-ლი კატეგორია

ახალ მშენებლობას მიეკუთვნება აგება ახალი შენობისა და ნაგებობისა, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და რომლის აშენებასაც შედეგად მოსდევს ახალი ღირებულების შექმნა, (მაგალითად: ახალი ფაბრიკისა და ქარხნის აგება, ახალი გზების გაყვანა, დასახლებული ადგილისა, საქალაქო [illegible], ქალაქის კანალიზაციისა და წყალსადენის ქსელისა, ცენტრალური გათბობის რაიონული სისტემისა და სხვ. მოწყობა).

მე-2 კატეგორია

ახალ სამუშაოს მიეკუთვნება [illegible] მუშაობა, რაც სწარმოებს არსებულ შენობათა და ნაგებობათა გადაკეთებისა და გაფართოებისათვის და აგრეთვე არსებულ შენობათა და ნაგებობათა სრული ან ნაწილობრივი გაუმჯობესებისათვის, რომელ მუშაობასაც შედეგად მოსდევს არსებული ღირებულების შემატება (მაგალითად: არსებულ შენობასა და ნაგებობაზე ახალი სართულის დადგმა, კაპიტალური გადაკეთება, მუშაობა ამა თუ იმ შენობის სხვა დანიშნულებისათვის მისაგვარებლად და სხვ.).

შენიშვნა: დიდ საწარმოში ცნება „ახალი სამუშაო" შეიძლება მიეკუთვნოს როგორც სამუშაოთა მთელ კომპლექტს, ისე ცალკე დიდ მშენებლობას (მაგალითად: ახალი სახლისა, საწყობისა, სამომსახურეო შენობისა და სხვა ნაგებობის აშენება არსებულ ფაბრიკასთან, რკინისგზასთან და სხვ., სამომსახურეო ნაგებობის აშენება საქალაქო შენობებთან და სხვ.).

მე-3 კატეგორია

კაპიტალურ რემონტს მიეკუთვნება შენობათა და ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილების მთლიანი განახლებისა და დაცვისათვის პერიოდულად ან. ცალკე შემთხვევაში, რიგს გარეშე (სტიქიური უბედურება, მოუვლელობა) წარმოებული მუშაობა და აგრეთვე მუშაობა ცალკე შენობათა და ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილების განახლებისათვის, რაც დაკავშირებულია დიდ გადაკეთებასთან (მაგალითად: სახურავისა და ხიდის მთლიანი შეღებვა, კედლისა, თაღებისა და ლუმელების საძირკვლის ხელახლად ამოყვანა, ჩალანგარისა, სახურავისა და იატაკის გამოცვლა, მოკირწყლული ქუჩისა და ტროტუარის მთლად ხელახლად დაგება, საკანალიზაციო და წყალსადენის ქსელისა და გათბობისა და ვენტილაციის სისტემის ნაწილთა კაპიტალური შეკეთება და სხვ.).

მე-4 კატეგორია

მიმდინარე რემონტს მიეკუთვნება რეგულიარულად წარმოებული მუშაობა შენობის ან ნაგებობის ნაწილთა შესწორებისა და შეკეთებისათვის, რათა ეს შენობა თუ ნაგებობა შესაფერ მდგომარეობაში იყოს ნორმალური დაცვლების პირობებისა და ამ შენობისა ან მისი აგებისათვის დაწესებული საამორტიზაციო ვადის განმავლობაში (მაგალითად: შეთეთრება, ნაწილობრივი შეღებვა, ნაწილობრივი (ადგილ-ადგილ შეკეთება სახურავისა, იატაკისა, ჭერისა, კიბის ნაწილისა და კარისა, შელესვა, შეკეთება ლუმელისა და საკანალიზაციო და წყალსადენის ქსელისა და გათბობის და ვენტილაციის სისტემის ნაწილებისა, გამოცვლა ფანჯრისა და კარის მოწყობილობისა და წყალსადენის, კანალიზაციის და ელექტრონის ქსელის ცალკე მოწყობისა, ფანჯრებისა და კარის [illegible] დაფუთვა, მინის ნაწილობრივი ჩასმა და სხვ.)

შენიშვნა: მიმდინარე რემონტი სწარმოებს შენობისა და ნაგებობის ღირებულების განსაზღვრული პროცენტის ფარგალში.

11. წინადადებას მიეცეს საქართველოს ს. ს. რ. ყველა სახალხო კომისარიატსა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და ორგანიზაციას—შეადგინოს ზემოაღნიშნულ საფუძველზე, წარმოებული მუშაობის ხასიათის მიხედვით, სამუშაოთა თვითეული ზემოხსენებული (ოთხი) კატეგორიისათვის, ამ სამუშაოთა სანომენკლატურო დახასიათება [illegible] თავის უწყებაში სახელმძღვანელოდ და წარუდგინოს იგი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საამშენებლო-სატექნიკო კომიტეტს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მაისის 3

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1927—28 წ. ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ

რათა 1927—28 წლისათვის დადგენილი ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება სისწორით იქნეს განხორციელებული. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ხელმძღვანელობს ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლის თებერვლის 3-ის გაერთიანებული სხდომის დადგენილებით (ოქმი № 248) და ადგენს:

1. აეკრძალოს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ყველა რესპუბლიკანურ უწყებას და აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებას გადაიტანოს კრედიტი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის და მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური ერთეულების სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით იმ სახარჯთაღრიცხვო ნაწილიდან, რომელიც საოპერაციო ხარჯებისათვის არის დანიშნული, იმ სახარჯთაღრიცხვო ნაწილში, რომელიც ადმინისტრატიულ-სამმართველობო ხარჯებს ითვალისწინებს.

აეკრძალოს აგრეთვე ყველა ზემოაღნიშნულ უწყებასა და დაწესებულებას გასწიოს რაიმე ხარჯი ადმინისტრატიულ-სამმართველობო საჭიროებისათვის მის განკარგულებაში ქონებული სხვა სახსრიდან.

2. აეკრძალოს იმავე უწყებებს და დაწესებულებებს აიღონ ვალდებულობა ადმინისტრატიულ-სამმართველობო საჭიროებისათვის და მატებითი სახსრის მიცემის შესახებ იმ თანხის ზედმეტად, რაც დანიშნულია ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით.

3. დაევალოს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს სისწორით დაიცვან შტატების დამტკიცებისა და შეცვლის არსებული წესი.

4. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციას თვალყური ადევნოს, რათა სისწორით იქნას განხორციელებული ს. ს. რ. კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის წესისამებრ დადგენილი ადმინისტრატიულ-სამმართველობო ხარჯების შემცირება და აგრეთვე განაგრძოს მუშაობა ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927—28 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვით ადმინისტრატიულ-სამმართველობო ხარჯების შემცირების შესახებ 1927 წლის აგვისტოს 30-ის თარიღით გამოცემული დადგენილების განხორციელებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის იმ დაწესებულებებსა და საწარმოებში, რომელნიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე არ იმყოფებიან.

5. დაევალოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციას და სახელმწიფო საფინანსო კონტროლს თვალყური ადევნონ, რათა დადგენილი შემცირება სისწორით იქნეს განხორციელებული ცალკე უწყებების მიერ ბიუჯეტის შესრულების პროცესში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი**

1928 წ. აპრილის 30

თბილისი—სასახლე.

ფეხბურთი

კალენდარული შეჯიბრები

დღეს, 5 მაისს, „დინამო"-ს სტადიონზე გამართება კალენდარული შეჯიბრი ა.-კ. ქვეითი სკოლის და მე-10 რკინისგზის პოლკის გუნდებს შორის; შეჯიბრი დაიწყება ნაშუადღევის 5 საათზე. მსაჯი იქნება დ. მდივანი.

კვირას, 6 მაისს, „დინამოს" სტადიონზე თამაშობენ:

დილის 11 საათზე „მელითონეთა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა" — „ძაფის ფაბრიკა"; მსაჯი — პროკოფიევი. დღის 1 საათზე: „მუშათა ცენტრალური კლუბი" — „კომუნალური მუშაკები — პირველი"; მსაჯი — ფაჩულია. ნაშუადღევის 3 საათზე: „არსენალი—პირველი" — „დინამო — პირველი"; მსაჯი — კუზნეცოვი. ნაშუადღევის 5 საათზე: „[illegible]-კვების მუშაკები" — „საბჭოთა მუშაკები"; მსაჯი—ზლანკმანი.

იმავე დღეს ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ:

დილის 8 საათზე: „მეტყავეები" — „სახკინმრეწვი"; მსაჯი — ორეხოვი. დილის 10 საათზე: „მედსანშრომა—მეორე" — „მექანიკური ქარხანა"; მსაჯი — გავრილოვი; ნაშუადღევის 1 საათზე: „დინამო—მეორე" —„სატყეო მრეწველობის ტრესტი"; მსაჯი—იოსავა. 3 საათზე: „მედსანშრომა—პირველი" — სტალინის სახელობის გუნდი; მსაჯი —შიოშვილი; 5 საათზე: „არსენალი—მეორე" — „მანგლისი"; მსაჯი—მდივანი.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არჩრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 5 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება არჩრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

—:—

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 5 მაისს, საღამოს 5 საათზე, საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 20) შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.

მიმღები კომისიის ყველა წევრებს და აგრეთვე იმ პირებს, რომელთა ანკეტები დასამტკიცებელია თბილისის კომიტეტის მიერ, დასწრება აუცილებელია.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არჩრაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ აღნიშნულ რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. სირაძესთან.

ტერუნოვი (მკერავი), ბადურაშვილი, მიქაძე, სარკისოვი (სახკინმრეწვი), დოლიძე (მუშკოოპი), ბაგრამოვი, ნერსესოვი, კვიჟინაძე (ტრამვაი), რუხაძე (კოოპერატიული კავშირი), კერდიკოევი, ზაბელინა (26 კომუნარების სახ. ქარხანა), სტეფანოვი და პოპოვი (არსენალი).

—:—

შაბათს, 5 მაისს, საღამოს 6 საათზე ალმასკომის შენობაში მოწვეულია ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რაიკომის წევრ-კანდიდატების, უჯრედების მდივნებისა და უჯრედების ბიუროს წევრებთან ერთად.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ჩაჩანიძესთან პირადი საქმეების მისაღებად: მიხეილ გამიაშვილი, გრიგოლ ცინცაძე, ფილიმონ ლაბაძე, სიმონ ტროტნევი, იაკობ დუბოვიკ დუბოვიკ-ანტაევი, ვლადიმერ პატარაია, შალვა მელაძე, ნინო მახარაძე, ვლადიმერ ცაბაძე, ივანე გალკინი, ვალიკო სიხარულიძე, სიმონ გოგიშვილი, ალექსანდრე ნაზაროვი, ნიკოლოზ ენუქიძე, ალექსანდრე გოგიაშვილი, ივანე ხუხულური, ივანე კვიცარიძე, მიხეილ ჩიკვაიძე, ზაქარია ალადაშვილი, გრიგოლ კოჩვაძე, ელისაბედ ჯორჯაძე, კუნტა ჯელია, გიორგი ნათბელაძე, საკო ალთუნაშვილი, სიმონ ნარიმანიძე, სოფიო თალაკვაძე ნიკოლოზ ცხაკაია, ისაკ კაზაროვი, შაქრო პაატაშვილი, მოსე ორმოცაძე, გრ. შიშკაევი, გრიგოლ გაბისონია, კირიაკ მურადოვი, ნინო გიგაური, გიორგი ბაბაევი, ნიკოლოზ ბაბლიძე, იაკობ მჭედლიშვილი, ივანე ფეიქრიშვილი, პლატონ ოზმილავა, ნიკოლოზ ტატიშვილი. ნიკოლოზ კოპალეიშვილი და აშოთ გელკონიანი.

რადიო გადაცემა

შაბათი, 5 მაისი

დღეს, 5 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—ქართულ ენაზე.

გაზეთი „ახალი სოფელი" — ქართულ ენაზე.

მოხსენება საბჭოთა პრესაზე—ქართულ ენაზე.

კოოპერაცია და ახალი ყოფა-ცხოვრება —მოხსენება ქართულ ენაზე.

მოხსენება [illegible] პრესაზე—რუსულ ენაზე.

გაზეთი „[illegible]"—რუსულ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

გრიგოლ ვეშაპელის

დაკრძალვა

მოხდება კვირას, 6 მაისს, დიდუბის პანთეონში

სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება დღეს, საღამოს 7 საათზე ხელოვანთა სასახლეში

სრულიად საქართველოს გლეხთა სასახლის მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას. რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, ჩვენი თანამშრომლის ამხ. დავით რომანოზის ძის ფანცხავას საყვარელი მამა

რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავა

(ხომლელი)

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე (წულუკიძის ქუჩა № 8) დაკრძალვა მოხდება ა. წ. 8 მაისს ქართველ მოღვაწეთა პანთეონში ბინიდან—2 ნახ. საათზე.

ღრმად დამწუხრებული ძმა დიომიდე მეუღლით ოლღათი; შვილები ვასილიდა, ალნესა, ქეთევან, ილიკო და აკაკი ფანცხავები და ნიკოლოზ სუხიაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ მათთვის დაუვიწყარ

რომანოზ სპირიდონის ძე ფანცხავას (ხომლელი)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 8 მაისს, გამოსვენება დანიშნულია 2 ნახ. საათზე. 2277

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: ქალიშვილი მარიამი, დები,—სალომე, პატუ და ბუდუნიკო, ძმა პიმენ მიქელაძე მეუღლით ევგენიათი, სიძე სილოვან ხუნდაძე, დისწულები,—გიორგი, ლევანი, ელენე, ფატი, თამარი და მარიამ ხუნდაძეები ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ბესარიონ კონსტანტინეს ძე მიქელაძე

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 6 მაისს სოფელ კულაშში. (ე)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დავითი; მამა ზაქარიე; დედა მართა; მაზლები: გიორგი და ალექსანდრე, სიძე ვარლამი და მული გაიანე, აუწყებენ საზოგადოებას, რომ ქალაქის პირველ საავადმყოფოში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ნინა ანთიმოზის ასული მელქაძე-რუხაძისა

გამოსვენების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1039

გულმოკლულნი მეუღლე ნადია, შვილები: მიშა, საშა, თამარა, ჟორჟიკა და ივანე, რძალი მინიკო თავისი მშობლებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 3 მაისს უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, სადგურ ლიხის უფროსი

ქრისტო ივანეს ძე კიკნაძე

დაკრძალვა კვირას, 6 მაისს სოფ. ქვიშხეთში. ნ. 1042

უზომოთ დამწუხრებული დედა ეფემია პაზიეროვისა, და სონა, სიძე ვანო და დისშვილი ჯიკო ჩხენკელები იუწყებიან, რომ მათი დაუვიწყარი

ოლღა ივანეს ასული ლოზჯანიძის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 6 მაისს, დილის 1 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 2269

მწუხარებაში მყოფნი დედა ივლიტა მებუკე, შვილები: ვახტანგი და გივი, ძმა პოლიექტი მებუკე, დები: ქეთო და ნინო, სიძე რაჟდენ ჩულუხაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ოლღა (ოლია) ლუკას ასული სანოძისა

დაკრძალვა კვირას 6 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან. სამოქალაქო პანაშვიდი 6 საათზე 2276

აპოლო
არფასტო
სოლეი
პროლეტარი ავლაბარი
ოდეონი
დარბაზი

სახკინმრეწვის კინოები

მხატვრული სურათი

„ბორა"

დადგმა—კ. მარჯანიშვილის. ოპერატორი—ს. ზაბოზლაევი

მთავარ როლებში: ნატა ვაჩნაძე, მერაბიშვილი, იმედაშვილი, იმერელი.

საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება.

ელენეს მოტაცება და ტროიას დაცემა 1 და 2 სერია ერთად

ვილიამ ხარტ სურათში **„მომღერალი ჯიმი"**

ა ნ ო ნ ს ი: უცხოეთის ორიგინალური კომედია „ორი ქმრის ცოლი" 0—2

კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტის, თბ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო

გრძელდება ხელის მოწერა 1928 წლისათვის

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

1 თვით .	1 მ.—კ.	4 „ .	3 „ 85 „
2 „ .	2 „ — „	5 „ .	4 „ 80 „
3 „ .	2 „ 90 „	6 „ .	5 „ 75 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით 1 მ. 30 კ.—4 თვით 5 მ. —კ.
2 „ 2 „ 60 „—5 „ 6 „ 25 „
3 „ 3 „ 80 „—6 „ 7 „ 55 „

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით. . 1 მან. 50 კ.

საზღვარ-გარეთ

1 თვით . 1 ნახ. დოლარი
3 „ . 4 „
6 „ . 8 „

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 34

0—2

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამარ. აღმასრულებელი

დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ ის 24 მაისს, 1928 წ. დღის 11 საათზე, სახლში № 82, ზდანოვიჩის ქუჩაზედ, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ზოსიმე გურეშიძის მოძრავ ქონებას: ორ ძროხას, ხბოებს, მაგიდას და სხ. შეფასებულს 202 მანეთად, ნინა უგლავას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთ. I სახელმწიფო სანოტ. კანტორის წარწერისა, 13 თებერვალს 1928 წ. თარიღით, № 208. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ნ. 1040

ქუთ. მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ ის 28 მაისს 1928 წ. დღის 11 საათზე, სახლში № 58, თეთრა მიწის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ეპიფანე ბუცხრიკიძის ძროხას, შკაფს და სხ., შეფასებულს 150 მანეთად, ვარლამ კილუაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ქუთ. II სახელმწ. სანოტ. კანტორის წარწერისა 14 დეკემბრიდან 1927 წ. თარიღით, № 1587. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1040

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ამ.-კავ. რკ. გზების გამგეობა

(თბილისი, სადგურის და კლარა ცეტკინის ქუჩების კუთხე, სამეურნეო—მატერიალური განყოფილება, 3 სართული, ოთახი № 314)

აცხადებს

შერეულ საჯარო ვაჭრობას

შემდეგი საქონლის მიწოდებაზე:

სქელი ნაცრისფერი ბრეზენტის კოსტუმები (ორივე მხარეზე შესაბნევი კურტკა და შარვალი)—2.000 კომპლ., იგივე მუქი ფერის—370 კომპლ., იგივე კაპიუშონით—100 კომპლ., იგივე ბამბის მსუბუქი ქსოვილის მუქი ფერის (ერთ მხარეზე შესაბნევი ტუჟურკა და შარვალი)—1650 კომპლ., იგივე სქელი ქსოვილის—7050 კომპლ., იგივე მთლიანი (კომბინიზონები)—255 კომპლ., იგივე კაპიუშონით—420 კომპლ., იგივე მსუბუქი ქსოვილის უკაპიუშონოთ—1150 კომპლ., მუქი ფერის სქელი ბრეზენტის კოსტიუმები მთლიანი—130 კომპლ., შალის კოსტიუმები (ტუჟურკა და შარვალი) 10 კომპლ., ტყავის კოსტიუმები (ორ მხარეზე შესაბნევი ტუჟურკა და შარვალი)—26 კომპლ., ქიმიური ნივთიერებით გაჟღენთილი ორ მხარეზე შესაბნევი ბრეზენტის პლაშჩი—3290 ცალი, იგივე შავი წყალგამძლე ნარმისაგან, წყალგაუმტარი—455 ცალი, სქელი ნაცრისფერი ბრეზენტის ნახევარი პალტო—60 ცალი, ბლუზები მსუბუქ ბამბის ქსოვილიდან—35 ცალი, იგივე ტილოსი—10 ცალი, ხალათი მუქი-ლურჯი ფერის მსუბუქ ქსოვილიდან—920 ცალი, იგივე სქელი ქსოვილის—55 ცალი, სქელი ნაცრისფერი ბრეზენტის შარვალი—305 ცალი, იგივე (განიერი შარვალი) მოლესკინის, ბამბა დადებული—595 ცალი, სქელი შავი მაუდის ნახევარი პალტო ბამბა დადებული—4770 ცალი, იგივე პალტო—80 ცალი, წინსაფარი ტყავის გულისპირით—155 ცალი, იგივე სქელი ნაცრისფერი ბრეზენტის—1500 ცალი იგივე უგულისპიროთ—15ცალი, იგივე ტილოსი გულისპირით—100 ცალი, ნახევრქურქი („პოლუშუბკა") ცხვრის, სიგრძით 21—23 ვერშოკი—50 ცალი, ტულუპი ცხვრის—5 ცალი, ქურქი ცხვრის—1460 ცალი, ტყავის ფეხსაცმელი მამაკაცის ორმაგი ლანჩით პარუსინის სარჩულით—8200 წყვილი, იგივე ქალის —580 წყვილი, ტყავის ჩექმა იუხტის ან ილოვის ორმაგი ლანჩით, ყელის სიგრძე 12 ვერშოკი,—4000 წყვილი, ხელოვნური ბატკნის ქუდი, მალოროსიული—5200 ცალი, ტყავის ქუდი ყურზე ჩამოსაწევით შოფერებისათვის—75 ცალი, სქელი ბრეზენტის სახელურები ორმაგი ხელის გულით და თითით—70.000 წყვილი, იგივე ტყავის 3.700 წყვილი, იგივე კრაგებით შოფერებისათვის—10 წყვილი, იგივე ცხვრის—2.000 წყვილი, შალის ხელთათმანი ნაქსოვი—15 წყვილი, შალის „ვარეჟკები"—610 წყვილი და ნაბდის პაიჭები შავი ტყავით შემოკერებული—82 წყვილი. აღნიშნული რაოდენობა საჯარო ვაჭრობაზე შეიძლება შემცირებულ ან გადიდებულ იქნეს გზების ნამდვილ მოთხოვნილების ფარგლებამდე. ზოგიერთი სპეცტანსაცმელები და სპეცფეხსაცმელები შეიძლება გამორიცხულ იქნას საჯარო ვაჭრობიდან გამგეობის შეხედულებისამებრ. მთელი საჭირო რაოდენობის, სპეცტანსაცმლის და სპეცფეხსაცმლის ჩაბარების ვადათ დაწესებულია 1928 წლის პირველი სექტემბერი. საქონელი ჩაბარებულ უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილად თანაზომიერათ. ჩაბარება ხდება თბილისში რკინის გზების მთავარ მაღაზიაში. მთელი მიწოდების საერთო ღირებულება დაახლოებით უდრის 510.000 მანეთს.

საჯარო ვაჭრობა შესდგება 1928 წლის 1 ივნისს დილის 10 საათზე ზემოდაღნიშნულ ადგილას. თუ საჭირო გახდება ზეპირი ხელახალი საჯარო ვაჭრობის მოწყობა რკინის გზების გამგეობა ასეთს ნიშნავს 4 ივნისს 10 საათზე ე. ი. ორი დღის შემდეგ განცხადებების მიღებიდან.

დაწესებულებებმა და პირებმა, რომელთაც სურთ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა შემოიტანონ სადერბო მარკებ დაკრული განცხადებები არა უგვიანეს ზემოდაღნიშნულ რიცხვისა და საათისა. კონვერტზე აღნიშნულ უნდა იქნეს **„1 ივნისის საჯარო ვაჭრობისათვის სპეცტანსაცმლის მიწოდებაზე"**. კონვერტები უნდა ჩააგდონ ყუთში, რომელიც მიმაგრებულია სამეურნეო-მატერიალურ განყოფილების შესავალთან, ან გამოგზავნონ ფოსტით ზემოაღნიშნულ მისამართით.

განცხადებაში აუცილებლათ უნდა იქნეს დაწვრილებით აღნიშნული: საქონლის აღწერილობა, რაოდენობა, ფასი, ფრანკო სად (სასურველია ფრანკო თბილისი), მიწოდების ვადა, ანგარიშის გასწორების პირობები და დაწვრილებითი მისამართი.

საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე დაწესებულებებს და კერძო პირებს შეაქვთ გზების სალაროში ან ერთ-ერთ სახელმწიფო ბანკში საწინდარი განცხადებაში აღნიშნულ თანხის 10 პროცენტის რაოდენობით, თუ ისინი კანონის მიერ არ არიან განთავისუფლებული ამ მოვალეობისაგან.

სპეცტანსაცმლის და სპეცფეხსაცმლის ნიმუშების ორ-ორი ეგზემპლიარი იარლიკებით ჩაბარებულ უნდა იქნეს უკვე მზად შეკერილი 10 დღით ადრე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე. ამ ვადის შემდეგ მოტანილ ნიმუშებს გზების გამგეობა არ მიიღებს.

გზების გამგეობა იტოვებს უფლებას სპეცტანსაცმლის და სპეცფეხსაცმლის მიწოდება მოწონებულ ნიმუშების მიხედვით გასცეს მთლიანად ან ნაწილობრივ რამდენიმე ცალკე კონკურენტზე.

ცნობების მიღება შეიძლება ზემოდაღნიშნულ მისამართით 9-დან 13 საათამდე სამუშაო დღეებში.

ნ. 1038

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 6 მაისს დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3 საქფინკომის და დამზღვევ კომიტეტის დავალიანების ასანაზღაურებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება: ბუფეტები, კამოდები, ხალიჩები, საგალანტერეიო საქონელი, ფართლეული და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1041

სია გაზ. „კომუნისტის" იმ ხელისმომწერლებისა, ლებიც არ იღებენ გაზეთ „კომუნისტს" სწორი მისამართების უქონლობის გამო

№№ რიგზე	ხელის მომწერის სახელი და გვარი		ხელის მომწერის მოცემული მისამართი
1.	კიასაშვილი		აბულაძის ქუჩა № 15.
2.	ჯარიძე		კანის ქუჩა № 1.
3.	კობეხერიძე	მუშათა სასახლე	საბურთალო, სახლი დეკანოზიშვილი
4.	კარგარეთელი		ბაქოს ქუჩა № 17.
5.	საჯაია		გორის შესახ. № 2.
6.	ქარიაული		რუსთაველის ქ. № 3.
7.	მესხიძე		თამარის და რევაზოვის ქ. კუთხე
8.	კახიანი გრიგოლ		სასწოვის ქ. № 17.

ზემოთაღნიშნულ ხელისმომწერლებს **გაზეთ „კომუნისტის"** ექსპედიცია სთხოვს დაჩქარებით გვაცნობონ თავიანთი სწორი მისამართები.

მისამ.: კამოს (ყ. დიდი მთავრის) № 68, ტელ. 5—43. 0—1

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება **ფსიქოთერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.

საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ჟორესის ქ. კუთხე.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ხოდორიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8.

ქ. ქუთაისი

ექ. თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—76

ექიმი

ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ექიმი ს. ი. ანდრეევისა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ ერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან

ექიმი მეგრაბიანცი

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ს. ა. ლ. კ. კ. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ კ. კავშირის წევრი **ნაპო ისლამის ძე ხარებავა** უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1928 წლის პირველი მარტიდან და ვთხოვთ ყველა პარტიულ, საბჭოთა და კ. კავშირის ორგანიზაციებს და მილიციის სამმართველოებს, რომ თუ სადმე აღმოჩნდება ამხ. **ხარებავა** ამის შესახებ აცნობონ ზუგდიდის სამაზრკომს; ხარებავა არის შემდეგი ნიშნის: ტანად საშუალო, თმა მწიფე წაბლის ფერი, თვალი თაფლის ფერი, წლოვანებით 18 წლის, 1910 წ. დაბადებული.

ს. ა. ლ. კ. კ.

ზუგ. სამაზრკომი.

№ 2274

დავკარგე სამხ. საარიცხვო წიგნაკი ოზურგეთის სამხედრო მაგიდიდან გაცემული იაგორ კონსტანტინეს ძე კალანდაძის სახელზე ჩ. გ. № 2271

დავკარგე: შვიდწლედის დამთავრების მოწმობა, მოცემული ვანის შრომის სკოლიდან ვარლამ დომენტის ძე დადუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. № 2275

დავკარგე: მარტვილის სამხედრო მაგიდიდან გაცემული სამხ. საარიცხვო წიგნაკი ფ. № 4 № 657 და ნაგვაზაოს აღმასკომიდან გაცემული სამგზავრო მოწმობა № 226/825 იასონ ფარნას ძე გვაზავას სახელზე ჩაით. გაუქ. № 2273

დავკარგე: სამხ. წიგნაკი ფ. № 6, სამსახურის მოწმობა № 87957, და ბიულეტენი მიღებული რკ. გზის საავადმყოფოდან გრიგოლ კონსტანტინეს ძე კიკნაძის სახელზე, ჩ. გ. № 2270

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68